

ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეგულირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№2 2015 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,
ბიზნესმენტა და მეცნიერთა პოზიციები)

ბადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა,
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი,
მეანაბრე)

საბანკომდებლო სიასლენი (სამეწარმეო
სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა პითხვები და პროფესიონალთა
პასუხები



**ქურნალი “ახალი ეკონომისტი”
რევიტირდებო:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ
გამოცემებში “ქართულ რევიტირდულ
ქურნალში”.

ალიტირდული რევიტირდული:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებოთა
აკადემიო;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებოთა
აკადემიო;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობოქიძის სახელობის
უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი,
ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთო რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი;
- შოთო მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული
უნივერსიტეტი (ქ. ოდესო, უკრაინო);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის
ინსტიტუტი (ქ.ბოქო, აზერბოიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
(ქ. მინსკი, ბელორუსიო);
- ყოზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისო დო
სოგარეო ვოჭრობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი. (ოსტონო, ყოზახეთი).

მისამართი: 0105, საქართველო, თბილისი
ჯორჯოძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტო: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

**The Magazine “Akhali Ekonomisti” (New
Economist) IS REVIEWED:**

In “Georgian Reviewed Magazine” –
P.L.L.E. Institute of Techninform

IS KNOWN AS REVIEW BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business
School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia
- Odessa Mechnikov National University
(Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus
(Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia;
(Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy,
Finances and International Trade.
(Astana, Kazakhstan).

ADDRESS: 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური სამართაშორისო რეჟირირებალი და რეცენზირებალი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2(37), 2015

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი;
საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბუსაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბუსაძე; ანსორ აბრეღვაძე; იური ანანიავაძე; როსტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელზა ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამახაშვილი; თინა ბეჟაშვილი; სიმონ ბეჟაშვილი; რევაზ ბეჟაშვილი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ ბობოხია (ქურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ ბრიტოლია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლგანა ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაიძე; ნუზარ თოდუა; გოჩა თუთხაძე; სერგეი იაკუბოვიჩი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილაძე; ბია კვაშილაძე; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ვერა კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაბვილაძე; რევაზ ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ქაბილ მანაშოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა

მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელზა მამუკაძე (საქართველოს ნაღარბია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ლაშო ნარმანია (თბილისის მერი); თაქო ნინიძე; სოლომონ კავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სარმანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); შიმონ სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ქურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); ბეჟა სვირიცა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამიტიან ტუმუკუაშვილი (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ვატილაძე; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენბელია; ბიორბი შინაშვილი; თამარ შულრა; ვანა შულენბაძე (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიაშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩხეიძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხაღერი (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; შიმონ ხარაიშვილი; რევაზ ხარბაძე; მერაბ ხმალაძე; ლაშო ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამალ მთაწვანა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯემრენია (ქურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.



The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №2(37), 2015

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doctor of Business Administration, Associated Professor,
Academician, Member of the Presidium
of the Georgian Academy of Business Sciences.
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

საქართველოს ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (President of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Germany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Germany); ENVER LAGVILAVA; REVAZ LORDKIPANIDZE (Deputy of Editor-in-Chief); QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasident of

Caucasus University in sciences field); ELGUJA MEQV-ABISHVILI; NUGZAR NADARAIA (President of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rector of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; TAMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, President of the Georgian Academy of Economics Sciences); NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); MICHAEL JIBUTI.



რედაქტორის გვამრდი

მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიური ნიმუში
კონკრეტულ მაგალითზე 5

მეცნიერება

სლავა შატელავა - მომხმარებელთა უფლებების დაცვა 12

პაატა არაშვილი - “უჩინარი ხელის” ეფექტი ნავთობის ფასის განსაზღვრისას 19

თინათინ ბუბუაშვილი, მელა ლომინაშვილი-ვრუშაძე - საწარმოს ფინანსური კრიზისის
დიაგნოსტიკის ზოგიერთი საკითხისათვის 23

ანზორ მესხიშვილი, თამარ კოლუაშვილი – უძრავი ქონების - მიწის კანონები საჭიროებენ
ცვლილებებს 28

შოთა ვეშაპიძე - ეკონომიკური მეცნიერების სწავლების მეთოდოლოგია: რა უნდა მივიჩნიოთ
ცხოვრებაში ჩარევის სწორ მიმართულებად ანუ რა შეიძლება, და რა არ
შეიძლება ვაკეთოთ 33

აკაკი ცერცვაძე - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების
უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში 44

ლავა ტაბატაძე - საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი – რეალობა
და პერსპექტივები 47

ირმა ბურაშვილი - წიგნით ვაჭრობის თავისებურებანი 55

თამთა შატელავა - კონფლიქტის მოგვარება მესამე მხარის მონაწილეობით 58

სტუდენტური ხელვა

ალექსანდრე მაისურაძე, ანა მერკვილაძე - დუპოლია, სამხედრო მოქმედებები და თამაშთა თეორია:
როგორ შეიძლება გამოვიყენოთ სასრული ანტაგონისტური
თამაშები მოდელირებისას? 63

მართვის ახალბაზრდული სკოლა

ნანა ლომიძე – საოფისე ეტიკეტი 67

XATO KVARACHELIA - ПРОФЕССИЯ ОФИС- МЕНЕДЖЕР (секретарь-референт). 69

რეცენზია 73

THE NEW ECONOMIST



EDUTORIAL PAGE 5

SCIENCE

Slava Fetelava - Consumer Protection 12

Paata Aroshidze - The effect of the invisible hand of determining the price of oil 19

Tinatin Gugeshashvili, Medea Lominashvili-pruidze - Some aspects of diagnostics of the enterprise’s financial crisis 23

Anzor Meskhishvili - The Real Estate – the Land Laws Require Changes 28

Shota Veshapidze - Economic science teaching methodology: what should be considered as the right direction of interference in life, or what can and what can not be done summary 33

Akaki Tsertsvadze - Foreign direct investment as an important source of capital inflows in Georgia 44

Lasha Tabatadze - Higher Education Market of Georgia – Reality and Prospectives 47

Irma Gurashvili - Features of Book Trade 55

Tamta Fetelava - Resolving the conflicts by the third party intervention 58

STUDENT’S VISION 63

Alexander Maisuradze, Ana Merkviladze - Duopoly, military actions and game theory: how we can use finite antagonistic games in modeling? 63

THE YIUTH SCHOOL OF MANAGEMENT 67

BOOK REVIEWS 73

მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიური ნიმუში კონკრეტულ მაგალითზე



ნებისმიერ ორგანიზაციას, კერძო თუ იურიდიულ პირს, მათ შორის, სახელმწიფო ორგანიზაციებს და თვითონ სახელმწიფოს, რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს აუცილებლად სჭირდება სტრატეგიული განვითარების გეგმა. ქვეყნის სტრატეგიულ გეგმაზე ამ ჟურნალშიც გვქონდა საუბარი 2 წლის წინ და სხვა შრომებშიც არაერთხელ. ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება მივიპყროთ მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს მისი პასპორტიზაცია, ანუ აღწერილი უნდა იყოს ყველა რესურსი წვრილმანების გათვალისწინებით. ჩვენ ამის გაკეთება ვცადეთ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მაგალითზე. მართალია, სრულყოფილი არ არის რიგი მიზეზების გამო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩატარებული სამუშაოების გაცნობა საზოგადოებასთვის გარკვეულ როლს შესარულებს მსგავსი პრობლემების გადაჭრაში სხვადასხვა მუნიციპალიტეტების, რეგიონისა თუ მთლიანად ქვეყნის სტრატეგიის შემუშავებაში.

სტატისტიკური მონაცემები ჩვენ შევარგოვეთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გამოყენებით. ცნობისათვის, ადრე, ჯერ კომუნისტების დროს, მერე დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, სანამ „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდოდა ხელისუფლებაში, მეტნაკლებად ყველაფერი აღირიცხებოდა სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მიერ. (ამ სამსახურს ბევრჯერ შეეცვალა სახელი და ამიტომ არ ვაკონკრეტებთ სახელწოდებას, არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა) როგორც წესი, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური შეიმუშავებს ინფორმაციის შეგროვების მეთოდოლოგიას, ხოლო თვითონ ალაგებს და შეკრებს შესაბამის ციფრებს, რის საფუძველზეც თვითონაც და სხვა მკვლევარებიც

აკეთებენ შესაბამის ანალიზებს, რაც უნდა მოხსენდეს ხელისუფლებასა და საზოგადოებას. წესით, ამ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ყველა ინფორმაცია სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების შესახებ.

გვინდა საზოგადოებას გავაცნოთ ინფორმაცია 2 წლის წინ ჩვენს მიერ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ვფიქრობთ, ეს გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ სხვადასხვა დონის სტუდენტებს, მეცნიერ-მკვლევარებსა თუ სახელმწიფო მოხელეებს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ, მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, 2013 წლის გაზაფხულიდან სწორი კურსი აიღო მუნიციპალიტეტის განვითარების გზების ძიების მიმართულებით. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართეს რაიონიდან წამოსული ადამიანებიც, რომელთაც შესაბამისი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნიათ. კონკრეტულ მაგალითზე ისინი რჩევის მიღების მიზნით დაუკავშირდნენ ცნობილ პოლიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს - ბატონ ბაკურ გულუას, რომელიც წარმოშობით ჩხოროწყუდან გახლავთ. თავის მხრივ, ბატონმა ბაკურმა, იცოდა რა ჩემი დამოკიდებულება მშობლიური მუნიციპალიტეტისადმი და მოსაზრებები მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, რაზედაც ხშირად გვიმსჯელია, შესთავაზა მათ ჩემთან ერთად განეხილათ აღნიშნული საკითხი. ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას,

გვექონდა აქტიური კომუნიკაცია და შევადგინეთ სპეციალური სოციალურ-ეკონომიკური კვლევის კითხვარი (დანართი 1), რომელიც მოგვემდინა იქ არსებული მდგომარეობის რეალურ სურათს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ადგილობრივი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით, რამდენიმე თვიანი მუშაობის შედეგად, მოცემული კითხვარის შესაბამისად, შეადგინა ფაქტობრივი მონაცემების სტატისტიკური ცხრილი (დანართი 2 და 3). ესაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადამიანური (მ.შ. შრომითი) და მატერიალური რესურსის შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომელიც რეალურ სურათს იძლევა თუ რისი პოტენციალი აქვს მუნიციპალიტეტს და რაზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტები სტრატეგიული განვითარების თვალსაზრისით.

ამის პარალელურად, მე მათ გავაცანი ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორის იდეა და შევთავაზე, რომ ჩხოროწყუს მაგალითზე მოგვემზადებინა ნიადაგი, რათა 2013 წლის ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლებისთვის შეგვეთავაზებინა აღნიშნული პროექტი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კვლევის პრაქტიკული გაგრძელება.

ამ მიზნით, 2013 წლის აგვისტოში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ოფიციალური მიწვევით ჩავედი რა ადგილზე, ერთი კვირის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ ერთობლივად შედგენილი გრაფიკის მიხედვით მათივე წარმომადგენლებთან ერთად თითოეული სოფლის (თემის) რწმუნებულების ორგანიზებით შევხვდი მოსახლეობას ყველა სოფელსა და თემში, შესაძლო პოტენციურ ფერმერსა და მეწარმეს, ვისაც კი შეიძლება კარგი იდეა ჰქონდეს მცირე და საშუალო ბიზნესის დასაწყებად ან/და განსავითარებლად.

ბუნებრივია, გლახობის მხრიდან ვერ იქნებოდა შემუშავებული კლასიკური ბიზნეს-გეგმა, მაგრამ ჩვენ შევადგინეთ სპეციალური კითხვარი - „პირველადი განაცხადი პროექტის შესადგენად“ (დანართი 5), სადაც ინიციატივიან მოსახლეობას შეეძლო დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება, თუ რა დარგის განვითარება მიაჩნია შესაძლებლად მის სოფელში, თემში, რა დაჯდება ეს მისი გაანგარიშებით და რა ფინანსური რესურსია ამისთვის საჭირო. მოსახლეობის მხრიდან დიდი დაინტერესება და გამოხმაურება მოჰყვა აღნიშნულ ღონისძიებას. გარკვეულმა ნაწილმა წარმოადგინა ცალკეული ბიზნესიდეის მონახაზი და გამოგვიგზავნა, რომელიც საჭიროებს დამატებით

დამუშავებასა და ბიზნესგეგმის შედგენას, მათ შორის კი, ბევრი მათგანის პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსებას. წინადადებები ჯერ კიდევ ბევრი იქნება, მაგრამ შეწყდა ამ მიმართულებით მუშაობა, რადგან არ ჩანდა დაფინანსების პერსპექტივა ხელისუფლების მხრიდან. მართალია, ხელისუფლებამ ბევრი საინტერესო და სასარგებლო პროექტები განახორციელა ბოლო წლებში, რომელიც დღემდე გრძელდება, მაგრამ ვფიქრობთ, „ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორის“ იდეაც ყურადღებას იმსახურებს და კარგი იქნებოდა მისი განხილვა ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რადგან ის ორიენტირებულია დასაქმებაზე, ინიციატივიანი ადამიანების გამოვლენაზე, მათ სტიმულირებაზე და სწავლებაზე, პრაქტიკულ ხელშეწყობაზე კრედიტის დაბრუნებამდე.

ჩვენს შეხვედრებს მოსახლეობასთან, რომელსაც ესწრებოდა გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები, ძალიან დიდი დაინტერესება მოჰყვა. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო, რომ თვითონ მოსახლეობის მხრიდან წამოსულიყო ინიციატივა, რათა ადგილობრივი შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში დაეწყოთ მცირე თუ საშუალო ბიზნესი, რომლის პროდუქცია ორიენტირებული იქნებოდა როგორც შიდა ბაზრისთვის, ასევე ექსპორტისთვის. მე გათვალისწინებული მქონდა ერთ თვის ფარგლებში რამდენიმე პრაქტიკული კურსების ჩატარება ადგილზე (მუნიციპალიტეტში) საკუთარი პროგრამით, ბიზნესის მართვის მთავარ საკვანძო საკითხებში. ამავე პერიოდში მოხდებოდა ბიზნესგეგმის შედგენაც ჩემს მიერ შერჩეული ექსპერტ-კოლეგების დახმარებით იდეის ავტორთან ერთად, თუ ხელისუფლების მხრიდან იქნებოდა ფინანსური მხარდაჭერა. ამასთან, ჩემივე შედგენილი ექსპერტების ჯგუფი გააკონტროლებდა თითოეულ ახალ ბიზნესს, სანამ ის უკან არ დააბრუნებდა მთლიან თანხას და თავისით გაიმართებოდა სრულყოფილად. ამ პროექტს ერქვა - „ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორი“. ეს პროექტი დემდე ძალაშია. მკითხველს ალბათ გაუჩნდება კითხვა:

რა განსხვავებაა ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორსა და სახელმწიფო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“ შორის? ამაზე ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ ჟურნალის მომდევნო ნომერში.

ლოილ ქარჩავა
07.07.2015 წელი.

სოციალურ-ეკონომიკური კვლევა (კითხვარი)

პირველ რიგში მიეცით დავალება ყველა სოფლის ხელმძღვანელობას, უმოკლეს ხანში გააკეთონ სოფლის მოსახლეობის სოციალური გამოკვლევა, დაახლოებით ასეთი სქემის მიხედვით:

1. მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა, რამდენია:

- ჩაწერილი;

- რეალურად მცხოვრები.

მათ შორის:

- პენსიონერი;

- მოსწავლე; (მ.შ. მე-9 მე-12 კლასელი)

- შრომის უნარიანი.

მათ შორის:

- უმაღლესი განათლებით (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მაგ. 20-40წ., 40-60წ.)

- საშუალო განათლებით (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მაგ. 20-40წ., 40-60წ.)

2. რამდენი არის გასული სამუშაოდ:

მათ შორის:

- საქართველოს ფარგლებში (სხვა ქალაქში);

- საზღვარგარეთ (აღწერონ თითოეულს რამესადმელობები აქვთ, რითი არიან დაკავებულნი, განსაკუთრებით საინტერესოა შეძლებული, წარმატებული ბიზნესმენების შესახებ ინფორმაციები და შესადმელობები.)

- მიუთითონ მათ შორის რამდენია ქალი და კაცი.

- ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ჰკითხონ, ასევე, რომელი აპირებს დაბრუნებას, ან რომელი შეიძლება დაბრუნდეს პირობების შექმნის შემთქვევაში (მხედველობაში გვაქვს კომინაციები, გზები და სამუშაო ადგილები. . .)

3. ძირითადი ეკონომიკური დარგების მდგომარეობა:

მიწის კადასტრისა და აღრიცხვიანობის მდგომარეობა

სულ სავარგული:

მათ შორის:

- სახნავი,

- სათიბ-სადოვარი;

- ტყე;

- ტყე-ბუჩქნარი;

მათ შორის:

- კერძო საკუთრებაში;

- სახელმწიფო საკუთრებაში,

- გაურკვეველი (თუ ასეთი არის)

მემცენარეობა,

მათ შორის:

- მარცვლეული კულტურა, მათ შორის: (რომელი მარცვლეული კულტურა მოდის თითოეულ სოფელში და რამდენი. რამდენი შეიძლება მოვიდეს ფიზიკურად, თუ სრულად დამუშავდება და რა უშლის ხელს? მუშახელის ნაკლებობა, მოთხოვნა არ არის ბაზარზე თუ ფინანსების არარსებობა); კომენტარი: თქვენ მართო ციფრები გაქვთ მითითებული. მარცვლეულის ეს რაოდენობა მოდის, როგორც ჩანს, მაგრამ ჩვენ

გვანტერებს რამდენად შეიძლება ის გაიზარდოს და რა არის ამისთვის საჭირო.

- მემცენარეობა-მეხილეობა (აქაც იგივე პრინციპით თითოეულ სახეობაზე მივუთითოთ პრობლემები და გადაჭრის გზები);

- მეჩაიეობის მდგომარეობა (რამდენი იყო პლანტაცია, რამდენი დარჩა, რა მდგომარეობაშია)

მათ შორის:

- კრეფისთვის მზადაა;

- საჭიროებს მოწესრიგებას (მძიმე გასხვლა, შევსება);

- უვარგისია.

მეცხოველეობა:

- პირუტყვების სახეობები, რაც ამჟამად არის ან შეიძლება მოშენდეს ამა თუ იმ სოფელში; რამდენი ჰყავს ოჯახს დღეის მდგომარეობით მაქსიმუმი და რამდენი შეიძლება იყოლიოს მინიმუმ.

- ქარხანა ან ფაბრიკა თუ იყო და რა არის დარჩენილი, რა მდგომარეობაშია ისინი დღეს? აქაც არაა სრული პასუხი. კომენტარი: მხოლოდ ჩაის ფაბრიკებია მითითებული.

ასევე, იფიქროს ყველამ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ადგილზე და დეტალურად მერე განვიხილავთ თქვენთან ერთად.

4. რამდენია დღეისათვის რეგისტრირებული მოქმედი ფირმები რაიონში.

მათ შორის:

- სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, დამხმარე სფეროებიდან;

- სავაჭრო ობიექტები (სავაჭრო ობიექტები დავაჯგუფოთ ცალკეული მიმართულებებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მაგ.: სასურსათო, შერეული, ავეჯის, წიგნების, აფთიაქი და ა.შ. მდებარეობა

- რომელ სოფელში ან დაბაში);

- ტურისტული

- სამშენებლო-სარემონტო

- სატრანსპორტო

- სოფ.ტექნიკის (თუ არის ასეთი, მანქანა-ტრაქტორები . . .)

- საყოფაცხოვრებო

- ავეჯის

- სამედიცინო,

- პურსაცხოვრებო

- რამდენია მოქმედი ეკლესია

და ა.შ.

5. რამდენი ადამიანია დასაქმებული, რომელიც ხელფასს იღებს და შესაბამისად საშემოსავლოს იხდის დამქირავებელი.

მათ შორის:

- მუნიციპალიტეტში და სოფლებში

- სკოლის პედაგოგები

- მედიცინის მუშაკები

- პოლიცია

- სახანძრო

- ელექტროსისტემა

- კინო, თეატრი

- სასტუმროები

და ა.შ. თქვენ დაამატეთ რაც გამოგვრჩა.

ბუნებრივი რესურსები

წიაღიწეული

მხორციელთა მიწისფლობის მქონე პირების რაოდენობის ცხრილი (2013 წლის მარტიდან) [2013 წლის მარტიდან]

№	დახმარების დახმარება	საქმიანობა	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები		საქმიანობის კოდები																		
										საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები	საქმიანობის კოდები						
1	დახმარების მხორციელი	6020	5950	1590	227	227	2900	450	390	1320	800	420	140	420+240+180+460	240+40	180+40	720	50	35	100	1,8	0,9	2	10	5	1000	30	245	30	60
2	სახლის მხორციელი	2093	1730	508	45	46	925	45	76	252	810	156	352	252	35	117	920	150	30	160	3,5	4	10	80	40	816	105	181	40	25
3	სახლის მხორციელი	734	756	190	91	27	210	45	15	120	80	25	26	31	15	16	350	80	5	30	1	0,5	1	45	6	120	7	114	70	15
4	მხორციელი	3017	2748	571	87	87	1960	273	210	467	797	269	50	75	50	26	830	300	15	120	1,2	1	4	75	6	1782	4	135	430	56
5	მხორციელი	2100	1900	377	100	96	1290	75	120	450	650	150	60	120	80	40	947	400	5	90	2	3	4	135	5	2000	-	308	322	20
6	მხორციელი	427	395	99	47	18	259	29	26	108	90	31	10	25	18	7	220	30	15	5	0,8	0,4	1,5	40	5	300	-	210	200	10
7	მხორციელი	4350	4200	600	393	134	3000	450	215	1000	1100	200	450	420	180	240	1350	600	15	190	3	3	1,5	280	20	995	150	350	50	85
8	მხორციელი	1607	1484	294	104	25	1086	42	38	449	557	65	58	58	51	53	540	120	30	50	1,5	1,3	2	50	5	470	30	180	170	59
9	მხორციელი	1878	1586	316	172	43	851	142	104	312	293	131	63	180	60	120	350	300	30	150	1,5	1,1	1	60	4	7,2	15	250	58	8
10	მხორციელი	1967	1840	385	23	47	1583	120	180	830	837	155	60	180	45	135	900	80	5	60	2	1	1	20	6	500	50	120	200	50
11	მხორციელი	2100	1935	298	180	81	815	80	90	18	20	65	10	55	30	25	900	600	30	100	2,5	1,2	5	80	8	1500	100	550	350	20
12	მხორციელი	2273	2220	350	253	86	1350	120	58	610	440	70	240	450	300	150	1800	65	30	120	4	2	4	30	8	1900	210	284	260	58
13	მხორციელი	4095	3795	730	290	83	2320	92	1401	1080	1008	180	120	225	145	80	950	800	30	160	3,5	1,5	-	120	15	956	10	205	120	25
	ჯამი	32661	30049	6218	1953	990	18149	1963	2863	7016	7482	1919	1839	2072	1009	1009	10777	3575	195	1835	28,3	20,9	37	1025	188	12446	711	3132	2500	432



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაციები
და დასაქმებულთა რაოდენობა

1. რამდენია დღეისათვის რეგისტრირებული მოქმედი ფირმები რაიონში.

მათ შორის:

- სოფლის მეურნეობა – 75 იურიდიული პირი, კვების მრეწველობა – 20 იურიდიული პირი, დამხმარე სფეროებიდან - 85 იურიდიული პირი.

- სავაჭრო ობიექტები (სავაჭრო ობიექტები დავაჯგუფოთ ცალკეული მიმართულებებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მაგ.: სასურსათო, შერეული, ავეჯის, წიგნების, აფთიაქი და ა.შ. მდებარეობა - რომელ სოფელში ან დაბაში);

დაბა:

სავაჭრო მაღაზია - 28

გასამართი სადგური - 5

აფთიაქი - 11

ავეჯის მაღაზია - 3

საკანცელარიო და წიგნების მარაზია - 3

სასურსათო - 8

რესტორანი - 2

კაფე-ბარი - 8

ტელეკომპანია - 1

- ტურისტული - 1 -

- სამშენებლო-სარემონტო - სოფლის პროგრამაში მონაწილეობდა 16 ი/მ და 4 შ.პ.ს

- სატრანსპორტო საშუალებები - შ.პ.ს „ავტომობილისტი“ - 22 მარშუტკა; შ.პ.ს „ნიკა“ 3 მაღალი კლასის ავტობუსი (ჩხოროწყუ- თბილისი). სახანძრო - 3; სასწრაფო - 3; ა/ტაქსი - 25; ა(ა)იპ-ის 4 მარშუტკა; 3 სპეც. მანქანა; პოლიცია - 7; პროჯორჯია - 2.

- სოფ. ტექნიკის (თუ არის ასეთი, მანქანა-ტრაქტორები . . .)

შ.პ.ს „აბაში“ სერვის ცენტრი - 14 ტრაქტორი. ი/მ „ამხანაგობა“ - 8 ტრაქტორი, კერძო - 43 და 8 სხვადასხვა იურიდიული პირების.

- საყოფაცხოვრებო - საპარიკმახერო ი/მ 10. თემებში საპარიკმახერო ჯიხურები -

- ავეჯის - 2 ი/მ რეალიზაცია და რესტავრირება

- სამედიცინო - 5 მომსახურეობის შ.პ.ს დაბაში, ხოლო თემებში 12

- პურსაცხოვრებო - 2 მოქმედი ობიექტი, ასევე თონე - 1.

თემში:

- სამედიცინო - 12 მომსახურეობის შ.პ.ს.

- სავაჭრო მაღაზია - 17

- გასამართი სადგური - 3

- აფთიაქი - 3

- სასურსათო - 4

- რესტორანი - 1

- კაფე-ბარი - 1

სულ: 162 ორგანიზაცია

- რამდენია მოქმედი ეკლესია - 3 წმინდა გიორგის (ქვედა ჩხოროწყუ), წმინდა ბარბარეს(ლესიჭინე, ოჩხომური), დაბაში ამჟამად მშენებარე წმინდა დავითის.

და ა. შ.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



2. რამდენი ადამიანია დასაქმებული, რომელიც ხელფასს იღებს და შესაბამისად საშემოსავლოს იხდის დამქირავებელი.

მათ შორის:

- მუნიციპალიტეტში და სოფლებში

საკრებულო - 27 ხელშეკრულებით აყვანილების ჩათვლით.

გამგეობა - 178 ხელშეკრულებით აყვანილების ჩათვლით

ა(ა)იპ - ში დასაქმებულია 396 ადამიანი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში - 219. მათ შორის სამუსიკო სკოლა - 6.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 15.

მუზეუმები - 9

კლუბი - 11, მათ შორის, სოფლის კლუბი - 5

ბიბლიოთეკა - 21

თეატრი - 20

საფეხბურთო - 18

კულტურის სახლი - 11

ჯანდაცვის ცენტრი - 16

დასუფთავების ცენტრი - 38

- სკოლის პედაგოგები — 632. მთლიანად დასაქმებულია - 672.

- მედიცინის მუშაკები დაბის საავადმყოფოში - 89. სოფლის აბულატორიაში - 30.

- პოლიცია - 39

- სახანძრო - 33 სამტატო ერთეული.

- ელექტროსისტემა - 18 დასაქმებული

- კულტურის ცენტრი - 8 შტატი

- სასტუმროები - დასაქმებულია 1 ადამიანი.

- კერძო სექტორში: ???

სულ: 1880 დასაქმებული, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.



სლავა ფეტელავა
ეკონომიკის დოქტორი (PhD), იურისტი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.
sfetelava@geo.gov.ge
ტელ.: 577 779 775

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატია ეხება მთელ მსოფლიოში აქტუალურ პრობლემას მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე, ტრადიციული სამეურნეო კავშირების რღვევისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში. იქვე აღნიშნულია, რომ მომხმარებლის ყველაზე საუკეთესო დამცველი ჯანსაღი კონკურენციაა, თუმცა, როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს საბაზრო სტრუქტურები თავისთავად დაცული არ არიან არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და მონოპოლიური ქმედებისაგან. ასევე საუბარია იმაზე, რომ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მომხმარებლის გაუთვითცნობიერებლობა სამომხმარებლო საკითხებში, საკონტრაქტო სისტემების, საგარანტიო პირობებისა და მომხმარებელთა ინფორმირების დამოუკიდებელი სისტემების არსებობა და სხვ.

სტატიაში წარმოჩენილია, დამოუკიდებლობის მოპოვების (გასული საუკუნის 90-იან წლების დამდეგი) პერიოდში, საქართველოში არსებული რეალობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით და ხაზგასმულია მომხმარებელთა იმ უუფლებობასა და საკანონმდებლო საფუძვლებისა და შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის არ არსებობაზე, რაც ამ პერიოდის მახასიათებელს წარმოადგენდა. ამასთან, კრიტიკულადაა მიმოხილული მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების შემდგომი პერიოდი და წარმოჩენილია შესაბამისი საკანონმდებლო ხარვეზები.

სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვას მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში და შემოთავაზებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონპროექტის შემუშავების პროცესში გამოსაყენებელი რეკომენდაციები. ასევე, მოცემულია რეკომენდაციები მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინსტიტუციონალური მოწყობის კუთხით.

მთელ მსოფლიოში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვა. მითუმეტეს, აქტუალობას იძენს იგი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე, ტრადიციული სამეურნეო კავშირების რღვევისა და ახალი ურთიერთობების ფორმირების პერიოდში. ამასთან, ცხადია ისიც, რომ მომხმარებლის ყველაზე საუკეთესო დამცველი ჯანსაღი კონკურენციაა. თუმცა, როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს საბაზრო სტრუქტურები თავისთავად არ არიან დაცული არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და მონოპოლიური ქმედებებისაგან. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს - მომხმარებლის გაუთვითცნობიერებლობა სამომხმარებლო საკითხებში, საკონტრაქტო სისტემების, საგარანტიო პირობებისა და მომხმარებელთა ინფორმირების სფეროში არსებული სისტემების არასრულყოფილება (არასაკმარისობა) და სხვ.

ზოგადად, მომხმარებელთა უფლებების დაცვას განვითარებულ ქვეყნებში ახორციელებენ, როგორც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. რაც შეეხება საქართველოს, აქ ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში მომხმარებელი ტრადიციულად უუფლებო იყო. არ არსებობდა არც მომხმარებელთა დაცვის საკანონმდებლო საფუძვლები და არც შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა. წინა პლანზე იყო წამოწეული უწყებრივი ინტერესები და ეკონომიკის რაოდენობრივი ორიენტირები. ქვეყანაში გაბატონებული იყო მარკეტინგული გაგებით მწარმოებლის ბაზარი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მწარმოებლის დიქტატი და მომხმარებლის ინტერესთა უგულვებელყოფა. მომხმარებელი იძენდა იმას რასაც და რა ფასადაც სთავაზობდნენ, იგნორირებული იყო მომხმარებლის მთელ მსოფ-



ლიონში აღიარებული თავისუფალი არჩევანის, საქონლის (მომსახურების) დამამზადებლისა და გამყიდველის შესახებ ინფორმაციის მიღების, უსაფრთხოების და სხვა უფლებები. ასეთ ვითარებაში მომხმარებლის მდგომარეობას მეტ-ნაკლებად ამსუბუქებდა მათი ელემენტარული სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები, რაც ავტომატურად მოიშალა გარდამავალ პერიოდში. ყოფილი საბჭოთა კანონიც - „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც მიღებულ იყო 1991 წელს ქალაქ ზუგდიდში, მისი განხორციელების ქმედითი მექანიზმების უქონლობის გამო.

საქართველოში, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო აქტზე მუშაობა დაიწყო 1992 წელს, ხოლო მისი განხილვა სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობდა 1993 წლიდან. საბოლოოდ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 1996 წლის 20 მარტს, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ვაკუუმისა და მომხმარებელთა და მეწარმეთა საბჭოური მენტალიტეტის პირობებში. აღნიშნული კანონით, პრაქტიკულად საფუძველი ჩაეყარა მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივ ბაზას. კანონი არეგულირებდა სამართლებრივ ურთიერთობებს მომხმარებლებსა და მეწარმეებს შორის, როგორც სავაჭრო ქსელში, ასევე სამუშაოს შესრულებისას და მომსახურების გაწევის პროცესში; განსაზღვრავდა მომხმარებლის ძირითად უფლებებს; კანონი ითვალისწინებდა აგრეთვე, მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დაცვის შესაძლებლობებს და განსაზღვრავდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებში სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებებს.

ამასთან, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე - საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 20 მარტის №152-11 დადგენილებისა და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად, განისაზღვა იმ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტთა ჩამონათვალი, რომელთა მიღება მოგვიანებით, სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების ერთობლივი ბრძანებების საფუძველზე მოხდა (მიღებულ იქნა სულ 26 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ვაჭრობისა და მომსახურების წესები). სამ-

წუხაროდ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 3 ივნისს მიღებული - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დასკვნითი დებულებების შესაბამისად (მუხლი 16, „გ“ პუნქტი), ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება. ე.ი. გაუქმებულ იქნა - როგორც „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ასამოქმედებლად აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (ვაჭრობისა და მომსახურების წესები), ისე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში მისაღები აქტების, ანტიმონოპოლიურ ორგანოსთან შეთანხმების ვალდებულება. ამ ცვლილებების ფონზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩატოვებულ იქნა 153-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ სანქციას ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევაზე. ამდენად, ერთის მხრივ, გაუქმებულ იქნა ე.წ. „ვაჭრობისა და მომსახურების წესები“, ხოლო მეორეს მხრივ, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში ჩარჩა მუხლი რომელიც ამ წესების დარღვევაზე ადმინისტრაციულ სანქციას ითვალისწინებდა.

რაც შეეხება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას, ეს კანონის ძალაში შესვლის პირველ ეტაპზე (1996 წელი) დელეგირებული იყო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროზე, როგორც ანტიმონოპოლიურ ორგანოზე (მუხლი 30), ხოლო საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბების (01.01.1997 წელი) შემდეგ კი ამ უკანასკნელზე.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებში, საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით (საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 მაისის №314 ბრძანებულების შესაბამისად), საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებობდა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო, რომლის მუშაობასაც ხელმძღვანელობდა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ვალდებულება, ერთის მხრივ - განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 30) და სამოქალაქო

კოდექსით (342-348 მუხლები), ხოლო მეორეს მხრივ - გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს უკვე მიღებული იყო შესაბამისი ჩარჩო კანონი და მისგან გამომდინარე თითქმის ყველა ქვემდებარე ნორმატიული აქტი - ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვით კუთხით საქართველოში გაწეული საქმიანობა - არ შეესაბამებოდა მოწინავე საერთაშორისო სტანდარტებს. უფრო მეტიც, ვაჭრობისა და მომსახურების 26 წესის გაუქმებით და შესაბამისი ჩარჩო კანონის აღმასრულებელი ინსტიტუტის ლიკვიდაციით, ქვეყანაში რეალიზებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა - უფრო დაშორდა, ხოლო ჩარჩო კანონის გაუქმების შემდეგ კი საერთოდ ამოვარდა მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკიდან. თავის მხრივ, ინსტიტუციური პრობლემები გამოწვეული იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაკონტროლებელ სახელმწიფო ორგანოთა შორის ფუნქციების აღრევით, რაც იწვევდა უწესრიგობას სამომხმარებლო ბაზარზე და მომხმარებელთა უფლებების შელახვას. ამდენად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის შემუშავების პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ძლიერი აღმასრულებელი ინსტიტუტის (მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით) შექმნისა და შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფის (მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების) საკითხი, რასაც გასული საუკუნის ბოლოს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მხრიდან, ხოლო შემდგომ პერიოდში (სამსახურის გაუქმების შემდეგ) კი საერთოდ მოიშალა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1995-2005 წლებში ქვეყანაში რეალიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის (მოიცავდა მომხმარებელთა უფლებების დაცვასაც) სრულყოფისა და შესაბამისი კადრების მომზადების საქმეში, მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი (საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით), საერთაშორისო დონის შემდეგ ექსპერტებს: 1) ურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი უილიამ კოვასიკი (მოგვიანებით უკვე აშშ-ს ფედერალური ვაჭრობის კომისიის თავმჯდომარე) და ბატონი ბენ სლეი (საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების ცენტრის - ამერიკელი ექსპერტები); 2) პროფესორი ტერი ბერგუანი (ლუვენისა და ლუვენ-ლანგის უნივერსიტეტი - ბელგია); 3) ქალბატონი ანა-მარია ლაკოსტი (მომხმარებელთა სამართლებრივი ცენტრი,

ლუვენ-ლანგის - ბელგია); 4) ბატონი ჟან-პოლ პრიტჩარდი, ქალბატონი ფრანსუაზ მანიე (მომხმარებელთა სამართლებრივი ცენტრი, ლუვენ-ლანგის - ბელგია); 5) ბატონი რობინ სიმპსონი (მომხმარებელთა ეროვნული საბჭოს დირექტორის მოადგილე, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო); 6) პროფესორი ბერნდ სტაუდერი (ჟენევის უნივერსიტეტი, შვეიცარია); 7) დოქტორ ნორბერ რეიხი (გერმანიისა და ევროპის ეკონომიკური სამართლის პროფესორი, ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია) და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომლები გადიოდნენ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან სტაჟირებას (სწავლების კურსს სპეციალური პროგრამით) ლუვენისა და ლუვენ-ლანგის უნივერსიტეტში, ბელგიაში პროფესორ ტერი ბერგუანის ხელმძღვანელობით.

ცხადია, რომ საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირება ეკონომიკური ოპერატორებიდან განსაკუთრებით ეხება მომხმარებელს. ამასთან, ბაზრის გამჭვირვალობის ზრდა და მომხმარებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გააქტიურებს რაციონალურ არჩევანში მომხმარებლის მონაწილეობას. ამდენად, ქვეყანას სასწრაფოდ ესაჭიროება მომხმარებელთა დაცვის ერთიანი პოლიტიკა და მისი განხორციელების ქმედითი მექანიზმები, რომელთა შემუშავებისას აუცილებელია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც გაუქმებულ იქნა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი /საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 8 მაისს მიღებული კანონის (№6157-III) - „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს დასკვნითი დებულებების (მუხლი 104), პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს 1996 წლის 20 მარტის კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. ამავე პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ასევე ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული: 1) საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონი - „სტანდარტიზაციის შესახებ“; 2) საქართველოს 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი - „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“; 3) საქართველოს 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი - „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ და 4) საქართველოს 2010 წლის 8 აპრილის კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის



შესახებ“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობის პროცესში მხედველობაშია მისაღები გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 9 აპრილის 39/248 რეზოლუციის მე-5 მუხლის კომენტარები, რომლებშიც განხილულია მომხმარებელთა დაცვის ზოგიერთი შესაძლებელი ასპექტი და რომლის თანახმადაც რიგ ქვეყნებში კანონმდებლობა შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის თაობაზე არსებობენ ცალ-ცალკე.

ასევე მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის 151 რეზოლუცია მომხმარებელთა დაცვის შესახებ, რომლითაც გენერალურმა ასამბლეამ 1985 წელს მიიღო ყოველმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები ამ საკითხზე. ეს რეზოლუცია ეხება - მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების ხელშეწყობისა და ამ ინტერესების დაცვის ღონისძიებებს; უსაფრთხოების ნორმებსა და სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ხარისხს; ძირითადი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების განაწილების სისტემას; ზომას, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მიიღოს კომპენსაცია; განათლებისა და ინფორმირების პროგრამებსა და ა.შ. ამასთან დაკავშირებით, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის მოცემულია მკაფიო მინიშნება შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკის კონტროლისათვის პრინციპებისა და წესების კომპლექსზე, ასევე რეკომენდაცია მთავრობისათვის, რათა შემუშავდეს, გაძლიერდეს ან შენარჩუნებულ იქნეს ზომები, რომლებიც ეხება შემზღუდავ და სხვა იმ მანერე საქმიანი პრაქტიკის კონტროლს, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მომხმარებელს, ასეთი ზომების განხორციელების უზრუნველყოფათა ჩათვლით.

თუ განვიხილავთ მოწინავე ევროპული ქვეყნების პრაქტიკას მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, დავინახავთ რომ აქ ერთნაირი მიდგომა არ გააჩნიათ იმაზე, თუ რა ადგილი უნდა ეკავოს მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოს. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციამდე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში საქართველოში არსებული ინსტიტუციური მოდელი, საფრანგეთის ინსტიტუციურ მოდელს ჰგავდა, რადგანაც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მსგავსად საფრანგეთის ეკონომიკის

სამინისტროს გენერალური დირექცია იყო პასუხისმგებელი კონკურენციასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე; გაყიდვის მეთოდებზე; რეკლამის რეგულირებასა და შესაბამისი კანონპროექტების შემუშავებაზე /საფრანგეთში ამ დირექციის პერსონალის რიცხოვნება მის 22 რეგიონალურ ოფისთან და 101 დირექციასთან (ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურების შესაბამისად) ერთად აღემატება 4000 კაცს და გააჩნია 8 ლაბორატორია დამოუკიდებელი ექსპერტიზისათვის/.

გაერთიანებულ სამეფოში, სამომხმარებლო კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელია ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალიტეტები). კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისი კი პასუხისმგებელი არის სამომხმარებლო პოლიტიკის შემუშავებასა და მის ხელშეწყობაზე. ამასთან, იგი არ ახორციელებს კონტროლის ფუნქციას. ქვეყანაში არსებობს ვაჭრობისა და სტანდარტების მაკონტროლებელი 126 ორგანო, სადაც მუშაობს 1500-მდე სპეციალისტი. აღნიშნულზე ბევრად მეტი მუშაკი ჰყავთ ამ მიმართულებით დასაქმებული გარემოს დაცვის ორგანოებს და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ავსტრალიაში, კანონი „შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკის შესახებ“ შეიცავს თავს, რომელიც ეხება მომხმარებლის დაცვას, ხოლო კონკურენციის პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვასთან. ზუსტად ასევეა საქმე, მაგალითად ვენესუელაში, ინდოეთში და კანადაში, სადაც „კონკურენციის შესახებ“ კანონში მოცემულია დებულებები, რომლებიც ეხება, „არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას“. ტიპური კანონის ან „უნქტადის“ კანონის ტექსტში (1984 წლის ვარიანტი), რომელიც შედის დოკუმენტში TD/B/RBP/15/REV1, ჩამოთვლილია ზოგიერთი ელემენტი, რომლებიც სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკის შესახებ თავიანთ კანონმდებლობაში ჩართვის თაობაზე. თუმცა, თანამედროვე პერიოდში იქ სადაც მიიღება ასეთი კანონმდებლობა შეიმჩნევა ტენდენცია ორი - 1) „შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკის“ ან „კონკურენციის შესახებ“ და 2) „მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ - კანონის მიღების. მიუხედავად იმისა, რომ არის ტენდენცია ამ კანონების ცალ-ცალკე მიღების კუთხით, მათ შორის არსებული კავშირის გამო, მათ აღსრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი რიგ ქვეყნებში ეკისრება ერთსა და იმავე ორგანოს. კერძოდ, კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კონტრო-

ლი ერთი ინსტიტუტის ხელში: ავსტრალიაში; ალჟირში; კანადაში; კოლუმბიაში; კოსტა-რიკაში; ახალ ზელანდიაში; ნიდერლანდებში; პანამაში; პერუში; პოლონეთში; სალვადორში; ამერიკის შეერთებულ შტატებში; საფრანგეთსა და შრი-ლანკაში, ხოლო ამ კანონმდებლობათა აღმასრულებელი ორგანოები ცალ-ცალკე არსებობენ: გერმანიაში; ესპანეთში; უნგრეთში; იტალიაში; ლიტვაში; ბელგიაში; ხორვატიაში; ავსტრიაში; რუმინეთში; ბულგარეთში და ჩეხეთში.

აქვე გვინდა შედარებისთვის წარმოვანი-ნოთ აშშ-ს პრაქტიკა მომხმარებელთა უფლებები დაცვის სფეროში. კერძოდ, ამ ქვეყანას არ გააჩნია ერთიანი, ყოვლისმომცველი კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს როგორც საქონლისა და მომსახურების ხარისხს, ისე მომხმარებელთა და გამყიდველთა უფლებებს. ამდენად, აშშ-ში მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრინციპები გვხვდება სახელშეკრულებო სამართალსა და კონგრესის მიერ მიღებულ სხვადასხვა კანონებში (რომლებსაც მოიხსენიებენ როგორც „ფედერალური კანონები“ ან „ფედერალური საკანონმდებლო აქტები“), ფედერალური კანონების საფუძველზე, ფედერალური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ წესებსა და ნორმატივებში, ფედერალური სახელმწიფო ორგანოების ან სასამართლოს მიერ მიღებულ დადგენილებებში (რომელთა მიღებაც ხორციელდება კონკრეტულ შემთხვევებში).

გარდა ამისა, აშშ-ში მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრინციპები გვხვდება ფედერალური სახელისუფლებო ორგანოების განცხადებებში, რომლებიც განმარტავენ კანონს. და ბოლოს, ცალკეული შტატებისა და ქალაქების მუნიციპალიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგულში ახორციელებენ სამართალდამცავ საქმიანობას ამ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონების აღსრულების სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აშშ-ში მომხმარებელთა უფლებების დაცვას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ემსახურებიან შემდეგი ფედერალური ორგანოები - 1)ფედერალური ვაჭრობის კომისია, 2)სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების კომისია (დამოუკიდებელი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო), 3)საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხის სანიტარული ზედამხედველობის სამმართველო (შედის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შემადგენლობაში), 4)კვების პროდუქტების ინსპექტირების და უსაფრთხოების სამსახური (შედის სოფლის

მეურნეობის სამინისტროში), 5)სასაქონლო ნიშნებისა და პატენტების ოფისი (შედის ვაჭრობის სამინისტროს შემადგენლობაში), 6)ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ეროვნული სამმართველო (შედის ტრანსპორტის სამინისტროს შემადგენლობაში), 7)კავშირგაბმულობის საშუალებათა ფედერალური კომისია (დამოუკიდებელი მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო), 8)ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია (დამოუკიდებელი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო).

გარდა აღნიშნულისა, აშშ-ში არსებობს კიდევ რამდენიმე სახელმწიფო ორგანო, რომლებიც არეგულირებენ საბანკო სფეროს. ესენია: 1)ფულადი ოპერაციების მაკონტროლებელი სამსახური (შედის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში), 2)შემნახველი დაწესებულებების სახელმწიფო კანცელარია, 3)ფედერალური სარეზერვო სიტემა, 4)დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრობლემატიკა, რაც დასტურდება იმითაც, რომ საქართველოს ხელისუფლება 2014 წლიდან ინტენსიურად მუშაობს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმის შემუშავებაზე, რამაც უნდა ამოავსოს 2005 წელს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ძალადაკრულებად გამოცხადებით დაწყებული და 2012 წელს უკვე ამ კანონის გაუქმებით შექმნილი ვაკუუმი - მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში. ამასთან, ცხადია, რომ კანონპროექტის შემუშავება მოხდება მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, თუმცა, ადვილი გადასაწყვეტი არ იქნება ის თუ რომელი სახელმწიფო ორგანო (არსებული თუ ახალი) უნდა იყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის აღმასრულებელი ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ კანონპროექტის ავტორებს მოუწევთ შემდეგი ერთ-ერთი მოდელიდან რომელიმეზე არჩევანის გაკეთება:

- სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილება, სადაც არსებობენ მომხმარებელთა უფლებების დამცველი დამოუკიდებელი ორგანოები;
- ინგლისური მოდელი, რომლის შესაბამისადაც კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისი (ანტი-მონოპოლიური ორგანო) განსაზღვრავს სამომხმარებლო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს,



ხოლო სამომხმარებლო ბაზრის კონტროლი ეკისრება მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაკონტროლებელ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში) და თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს.

- გერმანიის მოდელი, რომლის თანახმადაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციას ასორციელებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის, კვებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ან ის მოდელი, რომლის თანახმადაც ევროპის რიგ ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციას ასრულებენ ეკონომიკური პროფილის სამინისტროების შესაბამისი სამსახურები.

- პოლონეთის მოდელი, რომლის თანახმად მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანო არის ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი -

კონკურენციის და მომხმარებელთა დაცვის ოფისი.

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ აღნიშნული მოდელებიდან ყველაზე ნაკლებად უნდა იყოს მხარდაჭერილი პოლონური ვარიანტი, რადგანაც ამ მოდელით მუშაობდა 2005 წელს ლიკვიდირებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური. შესაბამისად, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ამ მოდელმა არ გაამართლა. ამდენად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩო კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის მხრიდან, უნდა იყოს მაქსიმალური მცდელობა, უფრო მოწინავე ევროპული გამოცდილების (გერმანული ან იტალიური მოდელი) დანერგვისკენ.

ბამოქმენებული ლიტერატურა:

1. ხუან რამონ იტურია გაგოიტია, „ჯეპლაკის“ საქმიანობა - საქართველოს ახალი პოლიტიკა კონკურენციის სფეროში, ქართული სამართლის მიმოხილვა 9/2006-1/2;
2. ლაფანი ქ., კონკურენციის პოლიტიკა და დარგობრივი რეგულირება საქართველოში, „ნეკერი“, თბ., 2012;
3. ლაფანი ქ., მიზანი: „სასურველი“ ფასი და მომსახურების მაღალი დონე, გაზეთი „ფინანსები“, 1997 წლის 19-26 ივლისი;
4. მაისურაძე ვ., ლაფანი ქ., ფეტელავა ს., მელაძე ვ., კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, თბ., საქართველოს ბიზნეს-სამართლის ცენტრი, 1999;
5. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება, „ლოი“ თბ., 2007;
6. ფეტელავა ს., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნაწილი I, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №3(88), თბ., 2005;
7. ფეტელავა ს., ფედერალური ვაჭრობის კომისიის იურიდიული უფლებამოსილებანი მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში, ნაწილი II, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №4-5 (89-90), თბ., 2005;
8. საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი - „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“.
9. საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი - „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“;
10. საქართველოს 1996 წლის 20 მარტის კანონი - „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“;
11. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს საარქივო მასალები, 2014 წლის მაისის მდგომარეობით იყო შემდეგ მისამართზე: თბილისი, პეკინის ქ. 28.



Slava Fetelava

Doctor of Economics (PhD), Lawyer

Associate Professor of Grigol Robakidze University

The article refers to the consumer protection which is relevant in all over the world and gains special importance at the transitional stage on the market economy in the period of decomposition of traditional economic relations and during the establishment of new relations. It also noted that the best protector of consumers is the healthy competition, however as the world practice shows, market structures are not protected from unfair competition and monopolistic actions itself. It also refers to the fact that particularly problematic issue is consumers' unawareness in consumer issues, existence of independent contract systems, guarantee conditions and consumer informing systems and etc.

In the article is highlighted, the existence reality of consumer rights in Georgia in terms of consumer protection in Georgia during the period of gaining independence (90s of the last century) and is underlined the rights of consumers, the legal grounds and not existence of an appropriate institutional framework, which was typical in that period. At the same time, it is critically reviewed a further period of the establishment the legislative framework of consumer protection and is presented the relevant legal gaps.

In the article an important part of the review is given to the best international practices in the field of consumer protection and is proposed the recommendations for use in the process of drafting the Law. There is also provided the recommendations in terms of institutional arrangement of consumer protection.

სხვალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



“უჩინარი ხელის” ეფექტი ნავთობის ფასის ბანსაზღვრისას



კაკაია აროშიძე
 ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
 ასოცირებული პროფესორი
 ტელ: 593 32 81 70
 aroshidze@list.ru

ნავთობის მსოფლიო ფასების ფორმირება ხდება არა მხოლოდ მსოფლიოს წამყვან სანავთობო ბირჟებზე, არამედ მასზე მოქმედებს სხვადასხვა დეტერმინანტები, რომელიც უფრო მეტ გავლენას ახდენს ფასების ფორმირებაზე. ნავთობის ფასი დღეისათვის ორივე მიმართულებით იცვლება. ფასის ზრდა მისაღება-იმპორტიორი ქვეყნებისათვის, შემცირება-ექსპორტიორებისათვის.

მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის, სატრანსპორტო სისტემისა და ზოგადად ეკონომიკური წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლი ნავთობის ფასს, რომელიც ყალიბდება მსოფლიო ბაზარზე და მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს საწვავის ღირებულებაზე. ფასების ფორმირება საბაზრო ეკონომიკის სისტემაში მთლიანად დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე, მაგრამ არსებობს ისეთი არასაფასო დეტერმინანტები, რომლებიც გავლენას ახდენენ საბაზრო წონასწორობითი ფასის დადგენაზე და ხშირ შემთხვევაში, ამ დეტერმინანტების გავლენა საგრძნობია ნედლი ნავთობის საწყის ფასზე.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მსოფლიო ფასები ფორმირდება არა იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც მოიპოვებენ ამ რესურსებს, არამედ ნიუ-იორკში, ლონდონსა და სინგაპურში, სადაც განთავსებულია ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟები.

ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე წამყვანი პოზიცია უჭირავს 1980 წელს ჩამოყალიბებულ ლონდონის ბირჟას, სადაც ფორმირდება ფიუჩერსული და ოფციონური კონტრაქტები ნავთობპროდუქტებზე (ნედლი ნავთობი, ბრენტის წარმოშობისა; ბუნებრივი აირი და მძიმე საწვავი ნავთობი). ბირჟას ჰყავს 35 წევრი და განთავსებულია ლონდონის ფორვარდულ ბირჟასთან. ბირჟას ემსახურება ლონდონის საკლირინგო პალატა (London Clearing House).

ბირჟაზე იდება შემდეგი სახის კონტრაქტები:

Brent Crude oil Futures	ფიუჩერსული კონტრაქტები ბრენტის ტიპის ნედლი ნავთობზე
Gas Oil Futures	გაზნავთობის ფიუჩერსები, (გაზნავთობი წარმოადგენს ნახშირწყალბადების შენარევს, რომელიც შედგება: ნავთობის ფრაქციისაგან, მიღებული ატმოსფერული ან ვაკუუმური გადაქაჩვით; დიზელის საწვავისაგან და კატალიზატორული კრეკინგისაგან მიღებული ნედლეულისაგან)
Natural Gas Futures	ფიუჩერსები ბუნებრივ აირზე
Electricity Base load Futures	ფიუჩერსები ელექტროობაზე

2005 წლის სექტემბრამდე ბირჟა იწოდებოდა საერთაშორისოდ - I (International Petroleum Exchange), ოქტომბრიდან მას ოფიციალურად ეწოდა ინტერკონტინენტალური ფიუჩერსული ბირჟა - ICE Futures (Intercontinental Exchange Futures).

ნავთობის ფასების დადგენაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს 2001 წელს აშშ-ში ჩამოყალიბებული ამერიკული ონლაინ ბირჟა - ICE (Intercontinental Exchange), რომლის პრაქტიკულ მფლობელსაც წარმოადგენენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა British Petroleum, Goldman Sach da Morgan Stanley. ბირჟამ შეიძინა ლონდონში განთავსებული ევროპის ნედლეულის ბირჟის აქციე-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ბი 67,5 აშშ მლნ. დოლარად. აღნიშნულ ბირჟაზე ყოველდღიურად იდება 1,1 მლრდ აშშ დოლარის გარიგებები.

ნავთობის ფასების ფორმირება ხდება არა მარტო ნავთობის საერთაშორისო ბირჟებზე, არამედ სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით, ისეთებით, როგორცაა საერთაშორისო და პოლიტიკური ვითარება, მდგომარეობა ნავთობის ექსპორტიორ და ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებში და ა.შ. შესაძლებელია კიდევ მრავალი ფაქტორის ჩამოთვლა, რაც მეტ-ნაკლებად აისახება ნავთობის ფასზე. ამ ფაქტორების გავლენა მნიშვნელოვანია, ყველაზე მეტად ზემოქმედებს ნავთობის ფასზე და ცვლის მას ორივე მიმართულებით.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების უმრავლესობა თავის ბიუჯეტს ადგენს იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მაღალი ფასი შენარჩუნდება, ხოლო ნავთობის მომხმარებელი ქვეყნების მთავარი საზრუნავია ბაზარზე ნავთობის დაბალი ფასის დაფიქსირება. ნედლი ნავთობის მაქსიმალური ღირებულების დროს, რამაც 1 ბარელზე 140 აშშ. დოლარი შეადგინა, ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწია ნავთობის სტრატეგიული მარაგების გახსნა, თავისი დეფიციტის შესავსებად. ნავთობზე მაღალი ფასით კი ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო რუსეთის ფედერაციამ, რომელიც თავის ბიუჯეტს ნავთობის მაღალი ფასის შენარჩუნებაზე ამყარებდა.

ფასების როგორც ზრდა, ისე შემცირება რისკებთანაა დაკავშირებული, რადგან შეიძლება კრიზისები გამოიწვიოს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2009-2010 წლების კრიზისის ესკალაციას ხელი მნიშვნელოვანწილად შეუწყო ნავთობის ფასების ზრდამ.

ნავთობის ფასების ორივე მიმართულებით ცვლილება, საშუალებას იძლევა წინასწარ ვივარაუდოთ მიმდინარე მოვლენები. კერძოდ, ნავთობზე ფასების ზრდა ძირითადად აისახება და პრობლემას უქმნის მაღალტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებს, რადგან ამ ქვეყნებში დიდია ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა. რაღაც ეტაპზე გაზრდილი ფასი აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას და იწვევს ან მის გაჩერებას, ან – სტაგნაციას. ეს პროცესები სხვადასხვა განვითარების დონის ქვეყნებში სხვადასხვა პერიოდით გრძელდება. ზოგიერთ ქვეყანაში, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი რეზერვებით დეფიციტის შევსება, პროცესი მალე რეგულირდება და ეკონომიკა იწყებს ზრდას, ხოლო იმ ქვეყნებში, რომელთა

მარაგები მცირეა, დაცემის პროცესი გრძელდება მანამ, ვიდრე ეკონომიკა ციკლური ზრდის ბუნებრივ დონეს არ დაუბრუნდება. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სურვილია, არ დაუშვან ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა. ამის მისაღწევად ისინი იყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა, მათ შორის პოლიტიკურ ბერკეტებსაც. როდესაც ვსაუბრობთ განვითარებულ ქვეყნებზე, პირველ რიგში ვგულისხმობთ აშშ-ს, იაპონიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. გათვლები სწორედ ამ ქვეყნების მოთხოვნების მიხედვითაა გაანგარიშებული. მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩეს ისეთი მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, სადაც ეკონომიკისა და მოსახლეობის ზრდის კვალობაზე იზრდება ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა.


2014 წელს ჩინეთი გახდა ნავთობის პირველი იმპორტიორი ქვეყანა და ეს მაჩვენებელი დინამიურად მზარდია. როგორც ცნობილია, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ჩინეთსა და ზოგადად, აზიას გვერდი აუარა (ზოგიერთი ანალიტიკოსი ფიქრობდა, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღა აზიიდან აგორდებოდა, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით არ მართლდება), ამის ძირითადი მიზეზი იყო სწორედ ის, რომ კრიზისამდელ პერიოდში ჩინეთმა შეძლო ნავთობის სტრატეგიული მარაგების შევსება, ისე რომ ხელუხლებელი მარაგების გამოყენება არ დაჭირდა, მაშინ, როცა აშშ-ში გახსნა ხელუხლებელი მარაგები. ჩინეთს დღეისათვის არსებული საცავებით ნავთობის მარაგი ყოფნის 50-60 დღის განმავლობაში, 2020 წლისათვის სახელმწიფო პროგრამით აიგება კიდევ 10 ნავთობსაცავი. ნავთობის დაბალი ფასის პირობებში ჩინეთი ცდილობს კიდევ უფრო მეტი მარაგების დაგროვებას.

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიო პოლიტიკის დომინანტებს, მნიშვნელოვანია ნავთობზე დაბალი ფასების შენარჩუნება.

განვიხილოთ ნავთობის ბაზრის მონაწილე მეორე მხარე – ნავთობის მომპოვებელი ქვეყნები, რომელთა ეროვნული სიმდიდრის დაგროვება დამოკიდებულია ნავთობის მაღალ ფასზე. დიავგრამაზე ნაჩვენებია ნავთობის ის ფასი, რომელიც აწყოთ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს, რათა მათი ბიუჯეტი იყოს უდეფიციტო.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ექსპორტიორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



წყარო: <http://www.bloomberg.com>

ქვეყნები (გრძელდება არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა, ყატარისა და ქუვეიტისა) მისწრაფიან ნავთობის მაღალი ფასისაკენ, რაც ეწინააღმდეგება მომხარებელი ქვეყნების სურვილს. ნავთობის გაიაფება ხელს არ აძლევს პირველ რიგში რუსეთის ფედერაციას, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს ნავთობ მიმწოდებელს წარმოადგენს და უდრეოცენტო ბიუჯეტისათვის მისთვის მნიშვნელოვანია, ნავთობის მსოფლიო ფასის შენარჩუნება 105 აშშ დოლარის ნიშნულზე.

კრიზისები, რომლებიც ბოლო ოცწლეულში განვითარდა, ძირითადად განპირობებულია “ნავთობის ომებით”, განსაკუთრებით აღსანიშნავია სირიისა და ეკვიპტის კრიზისები და უკრაინაში არსებული ვითარება, რომელსაც წინ უძღოდა რუსეთ-უკრაინის “გაზის ომი”. რუსეთის მიმართ გამოცხადებული დასავლეთის პოლიტიკა, პირველ რიგში მიმართულია იმისაკენ, რომ მაქსიმალურად შეამცირონ ნავთობის ღირებულება, რათა ეკონომიკურად და შესაბამისად პოლიტიკურად დაასუსტონ რუსეთის ფედერაცია. ასეთმა პოლიტიკამ კი შეიძლება გამოიწვიოს უფრო ფართომასშტაბიანი საომარი ვითარება, რომელიც შესაძლებელია ხანგრძლივ ომში გადაიზარდოს!

თუ დავუშვებთ იმას, რომ მომავალი კონფლიქტი რუსეთის მხრიდან გამოწვეული იქნება ნავთობის დაბალი ფასიდან გამომდინარე და იქნება ინსპირირებული რუსეთის მიერ, ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა, ვიხილოთ რუსეთ-ჩინეთის ტანდემი? ჩვენის აზრით, ეს ნაკლებ სავარაუდოა, რადგან ჩინეთის სურვილია შენარჩუნდეს ნავ-

თობის დაბალი ფასი და მოახდინოს ეკონომიკის დინამიური ზრდა. საომარ კონფლიქტში ჩართვა ჩინეთისათვის უახლოესი 30 წლის განმავლობაში მიუღებელია, მანამ, სანამ ის არ გახდება ზესახელმწიფო ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობით.

თუ შევაჯამებთ ამ ორ პოზიციას, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: ნავთობის მაღალი ფასი, რომელიც მისაღებია ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისათვის, მიუღებელია ნავთობმომხმარებელთათვის, რადგან იწვევს ეკონომიკურ კრიზისს, ხოლო ნავთობის დაბალი ფასი, რომელიც მისაღებია ნავთობმომხმარებელი ქვეყნებისათვის, მიუღებელია ნავთობმომპოვებელთათვის. ნავთობისა და გაზ-პროდუქტების შემცველი ენერგომე-

ენერჯის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს არსებულ ვითარებაზე. შეუძლებელია ისეთი ფასის დაწესება, რომელიც სრულიად დააკ-

ნავთობმომხმარებელ ქვეყნებს. საკმაოდ რთულია ვივარაუდოთ ასეთი ფასი, მაგრამ დღეს არსებული ფასი (60,64 აშშ დოლარი, 14.06.2015 წ.) დაბალია და ჩვენი გათვლებით, ოპტიმალური ფასი უნდა შეადგენდეს 80-85 აშშ დოლარს 1 ბარელზე.

სიტუაცია რომ დასტაბილიზდეს, ჩვენის აზრით საჭიროა, იმ ქვეყნებმა, რომლებიც აწარმოებენ ენერგოტექნოლოგიას, შეამცირონ ეკონომიკური ზრდის ტემპები 4-5 %-ის ფარგლებში, თუმცა, დღევანდელი ვითარება გვიჩვენებს, რომ ზრდის ტემპი არც ისე მაღალია; ასევე საჭიროა ისეთი

დონისძიებების გატარება, რომელიც განაზოგადებს ნავთობის ფასს და არ იქნება დაშვებული ფასის, როგორც “პოლიტიკური იარაღის” გამოყენება, რომ ნავთობის რეალური ღირებულება მსოლიოდ ბაზარმა განსაზღვროს, მაგრამ შემცირდეს „უჩინარი ხელის” ეფექტი ნავთობის ფასის განსაზღვრაში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე გ. – ოპეკის ბრძოლა ნავთობის ფასებზე, <http://energynews.ge>
2. Paula Dittrick - MARKET WATCH: NYMEX crude oil price climbs above \$60/bbl – Oil and Gas Journal, 05/06/2015
3. Oil and Gasoline CHRONOLOGY OF COVERAGE- NYTIMES.COM
4. Невидимые руки нефтяного рынка - Журнал Прогнозирование и Тренды
5. <http://www.bloomberg.com>

The effect of the invisible hand of determining the price of oil

Paata Aroshidze
Candidate of economics
Batumi State University

pricing of oil takes place not only on the oil exchanges. It is influenced by deferent determinants. oil prices are changing. high prices is beneficial for countries – eksportier of oil and low prices - for consumer countries.

საწარმოს ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკის
ზოგიერთი საკითხისათვის



თინათინ გუშაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის ასოცირებული პროფესორი
gugeshashvili.tiniko@gmail.com



მელა ლომინაშვილი-ვრუიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის ასოცირებული პროფესორი
mirindalo@mail.ru

საწარმოს ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკა სტატიაში განხილულია, როგორც დროში დეტერ-
მინირებული პროცესი. მოცემულია კრიზისული სიმპტომების შეფასებისა და მისი დიაგნოსტიკის
განხორციელების მეთოდები, მიზნები. გაანალიზებულია “კრიზისული არეალის” დასაკვირვებელი
სისტემა, რამდენადაც ფინანსურ სფეროში თანამედროვე პირობებში საწარმოს საქმიანობის ყველა
ასპექტს, მისი ბანკროტობის გენერირება შეუძლია.

ავტორები სტატიაში განიხილავენ საწარმოს ფინანსური კრიზისის წარმოქმნის საშიშროება
რომელი შეფასების ინდიკატორებითაა შესაძლებელი. დაწვრილებითაა განხილული საწარმოს ფი-
ნანსური კრიზისის დიაგნოსტიკის ორი სისტემა: ფინანსური დიაგნოსტიკის ექსპრეს-სისტემა და ფუნ-
დამენტალური სისტემა. ანალიზისას მიღებულია შედეგი, რომ ფინანსური დიაგნოსტიკა საშუალებას
იძლევა მივიღოთ საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი და დავაკონკ-
რეტოთ მისი ფინანსური გაჯანსაღების ფორმები და მეთოდები.

თანამედროვე პირობებში, როცა მუდმივად იცვ-
ლება ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ
მეურნე სუბიექტების ფინანსური მდგომარეობის
სტაბილურობაზე, იზრდება ალბათობა, რომ სა-
წარმოში წარმოიქმნას კრიზისი, რომელმაც სხვა-
დასხვა ფორმები შეიძლება მიიღოს. მათ შორის,
ერთ-ერთი ასეთი ფორმაა საწარმოს ფინანსური
კრიზისი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ფუნ-
ქციონირების და განვითარების შეფერხება .

საწარმოს ფინანსური კრიზისი დროში დეტერ-
მინირებულ პროცესს წარმოადგენს, რაც არღვევს
საწარმოს ფინანსურ წონასწორობას. წინამდე-
ბარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ საწარმოს ფი-
ნანსური კრიზისისაგან თავის დაცვისა და მისი
ნეგატიური შედეგების ლიკვიდაციის ძირითადი
მეთოდების ინფორმაციულად განხილვა. ეს კი
ფინანსური მენეჯმენტის განსაკუთრებულ სის-
ტემას წარმოადგენს, რომელიც ცნობილია „სა-
წარმოს ანტიკრიზისული ფინანსური მართვის”
სახელწოდებით. ამავე ჭრილში განვიხილავთ სა-
წარმოს ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკის

ძირითად მეთოდებს.

საწარმოს კრიზისული სიმპტომების შეფასე-
ბა და მისი ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკა
ხორციელდება გაცილებით ადრე, ვიდრე ჩნდება
კრიზისის რეალური ნიშნები. საწარმოს ფინან-
სური საქმიანობის ასეთი შეფასება და კრიზისუ-
ლი სიმპტომების განვითარების პროგნოზირება
გვევლინება ფინანსური დიაგნოსტიკის საგნად.

ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკა წარმოად-
გენს ფინანსური ანალიზის მიზნობრივ სისტემას,
რომელიც გამოავლენს საწარმოს კრიზისული
განვითარებისას შესაძლებელ ტენდენციებსა და
მათ ნეგატიურ გავლენას.

საწარმოს ფინანსური კრიზისის დიაგნოსტი-
კა განხორციელების მეთოდებისა და მიზნების
მიხედვით შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სის-
ტემად:

- 1) ფინანსური კრიზისის ექსპრეს-დიაგნოსტიკის
სისტემა;
- 2) ფინანსური კრიზისის ფუნდამენტალური
დიაგნოსტიკის სისტემა.

ფინანსური კრიზისის ექსპრეს-დიაგნოსტიკა ახასიათებს სისტემას, როგორც საწარმოს ფინანსური განვითარების კრიზისული პარამეტრების რეგულარული შეფასება.

ფინანსური კრიზისის ექსპრეს-დიაგნოსტიკის ძირითადი მიზანია საწარმოს კრიზისული განვითარების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და მისი კრიზისული მდგომარეობის მასშტაბის წინასწარი შეფასება. ფინანსური კრიზისისას ექსპრეს-დიაგნოსტიკა ხორციელდება შემდეგი ძირითადი ეტაპებით:

დასაკვირვებელი „კრიზისული არეალის“ განსაზღვრა, რომელიც საწარმოს უქმნის ფინანსური კრიზისისას საშიშროებას. გამოცდილება გვჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში, მისი ბანკროტობის გენერირება საწარმოს ფინანსური საქმიანობას ყველა ასპექტის შეუძლია. ამდენად, „კრიზისულ არეალზე“ დაკვირვების სისტემა უნდა დაეყრდნოს ამ საშიშროებების გენერირების ხარისხს და გამოიყოს ამ კრიტერიუმით ყველაზე საშიში ობიექტი. ამ პოზიციებიდან საწარმოს „კრიზისული არეალის“ დაკვირვების სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ალგორითმით: საწარმოს წმინდა ფულადი ნაკადები; საწარმოს საბაზრო ღირებულება; საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა; საწარმოს ფინანსური ვალდებულებების დაფარვის მდგომარეობა; საწარმოს აქტივების შემადგენლობა; საწარმოს მიმდინარე დანახარჯების შედგენილობა; ფინანსური ოპერაციების კონცენტრაციის დონე მაღალი რისკის ზონებში.

შევეცადოთ გავარკვიოთ, რომელი შეფასების ინდიკატორებით არის შესაძლებელი საწარმოს ფინანსური კრიზისის წარმოქმნის საშიშროების ფორმირება? ასეთი ინდიკატორების სისტემის ფორმირება შესაძლებელია „კრიზისული არეალის“ ცალკეული ობიექტების მიხედვით. ფორმირების პროცესში ყველა მაჩვენებელი-ინდიკატორი იყოფა მოცულობით (აბსოლუტური თანხით გამოსატული) და სტრუქტურულ (შეფარდებითი მაჩვენებლებით გამოსატული) ინდიკატორებად.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ინდიკატორებიდან წარმოდგენილია ცხრილი 1-ის მეშვეობით.

საწარმოს ბანკროტობის საშიშროების შეფასების ზემოთ მოყვანილი ინდიკატორთა სისტემა შეიძლება უფრო გაშლილად წარმოვადგინოთ, იმის გათვალისწინებით, თუ რა ფინანსური საქმიანობას ეწევა საწარმო ან რა წარმოადგენს დიაგნოსტიკის მიზანს.

საწარმოს განვითარების ფინანსური კრიზი-

სის სხვადასხვა ასპექტების ანალიზი აგრეთვე სტანდარტული მეთოდებითაც ხორციელდება. ასეთი ანალიზის საფუძველს შეადგენს, ფაქტობრივი მაჩვენებელი - ინდიკატორების შედარება გეგმიურთან (ნორმატიურთან) და გადახრის მაჩვენებლების დინამიკაში განხილვა. დინამიკაში ნეგატიური გადახრების ზრდა ახასიათებს საწარმოს ფინანსური საქმიანობის კრიზისის მატებას, რაც მისი ფინანსური კრიზისის გენერირებას უწყობს ხელს.

საწარმოს კრიზისული ფინანსური განვითარების ცალკეული მხარეების ანალიზის პროცესში გამოიყენება შემდეგი სტანდარტული მეთოდები: ჰორიზონტალური (ტრენდული) ანალიზი; ვერტიკალური (სტრუქტურული) ფინანსური ანალიზი; შედარებითი ფინანსური ანალიზი; ფინანსური რისკების ანალიზი; ინტეგრალური ფინანსური ანალიზი, რომელიც ემყარება „დიუპონის მოდელს“.

საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბის წინასწარი შეფასება ხორციელდება წინა ეტაპების ცალკეული ანალიზით. ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკა იყენებს კრიზისის მასშტაბის დასადგენად სამ პრინციპულ მახასიათებელს: მსუბუქი ფინანსური კრიზისი; ღრმა ფინანსური კრიზისი; კატასტროფული ფინანსური კრიზისი (ფინანსური კატასტროფა).

საჭიროების შემთხვევაში თითოეული ეს მახასიათებელი შეიძლება დიფერენცირებულ იქნას უფრო ღრმად. ექსპრეს-დიაგნოსტიკის სისტემა უზრუნველყოფს საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობის ადრეულ გამოვლენას და საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ოპერატიული ზომები მათი ნეიტრალიზაციისათვის. მისი გამაფრთხილებელი ეფექტი უფრო ვლინდება მსუბუქი ფინანსური კრიზისის სტადიაზე. სხვა მასშტაბების დროს იგი სავალდებულოა შეივსოს ფუნდამენტალური დიაგნოსტიკის მეთოდებით.

ფინანსური კრიზისის ფუნდამენტალური დიაგნოსტიკა ახასიათებს საწარმოს კრიზისული ფინანსური განვითარების შეფასების სისტემის პარამეტრებს, რომელიც ხორციელდება ფაქტობრივი და პროგნოზირებადი მეთოდების საფუძველზე.

ფინანსური კრიზისის ფუნდამენტალური დიაგნოსტიკის ძირითად მიზნებად გვევლინება: საწარმოს ფინანსური განვითარების კრიზისული პარამეტრების შეფასების შედეგების გაღრმავება, რომლებიც მიღებულია ექსპრეს-დიაგნოსტიკის პროცესში; საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობის წინასწარი შეფასებისას მიღებული მასშტაბების დადასტურება; განვითარების

საწარმოს ფინანსური კრიზისის საშიშროების შეფასების მნიშვნელოვანი ინდიკატორების სისტემა

„კრიზისული არეალის“ ობიექტები	ინდიკატორი - მაჩვენებლები	კოეფიციენტები
მოცულობითი	სტრუქტურული	
1. საწარმოს წმინდა ფულადი ნაკადები	1. საწარმოში წმინდა ფულადი ნაკადების ჯამი მთლიანად 2. წმინდა ფულადი ნაკადების ჯამი საწარმოს საოპერაციო საქმიანობის მიხედვით	1. საკმარისობის კოეფიციენტი 2. ფულადი ნაკადების ლიკვიდობის კოეფიციენტი 3. ფულადი ნაკადების ეფექტიანობის კოეფიციენტი 4. წმინდა ფულადი ნაკადების რეინვესტირების კოეფიციენტი
2. საწარმოს საბაზრო ღირებულება	1. საწარმოს წმინდა აქტივების საბაზრო ღირებულება	1. საწარმოს საბაზრო ღირებულება 2. საწარმოს ღირებულება მოგების კაპიტალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით
3. საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა	1. საწარმოს საკუთარი კაპიტალის ჯამი 2. საწარმოს ნასესხები კაპიტალის ჯამი	1. ავტონომიურობის კოეფიციენტი 2. დაფინანსების კოეფიციენტი (ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი) 3. გრძელვადიანი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი
4. ფინანსური ვალდებულებების შემადგენლობა ვადების დაფარვის მიხედვით	1. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების ჯამი 2. მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების ჯამი 3. ფინანსური კრედიტის ჯამი 4. სასაქონლო (კომერციული) კრედიტის ჯამი	1. გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების თანაფარდობის კოეფიციენტი 2. მოზიდული და სასაქონლო კრედიტებს შორის თანაფარდობის კოეფიციენტი 3. საკრედიტო დავალიანების ბრუნვის პერიოდი
5. საწარმოს აქტივების შემადგენლობა	1. საბრუნავი აქტივების ჯამი 2. არასაბრუნავი აქტივების ჯამი 3. მიმდინარე დებიტორული დავალიანების – (მთლიანად მ.შ. ვადაგადაცილებულის) ჯამი	1. აქტივების მანევრირების კოეფიციენტი 2. მაღალლიკვიდური აქტივების უზრუნველყოფის კოეფიციენტი 3. მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი 4. აბსოლუტური გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი.
6. საწარმოს მიმდინარე დანახარჯების შემადგენლობა	1. მიმდინარე დანახარჯების საერთო ჯამი 2. მუდმივი მიმდინარე დანახარჯების ჯამი	1. მიმდინარე დანახარჯების დონე რეალიზებული პროდუქციის მოცულობასთან 2. ცვალებადი მიმდინარე დანახარჯების დონე 3. საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტი
7. ფინანსური ოპერაციების კონცენტრაციის დონე მაღალი რისკის ზონებში	1. ფინანსური ოპერაციების საერთო ჯამი	1. კრიტიკული რისკის კოეფიციენტი 2. კატასტროფული რისკის კოეფიციენტი.

ცალკეული ფაქტორების პროგნოზირება, გენერირებული საწარმოს ფინანსური კრიზისის საშიშროებით; საწარმოს შესაძლებლობების საკუთარი ფინანსური პოტენციალით ფინანსური კრიზისის ნეიტრალიზაციის შეფასება და პროგნოზირება.

ფინანსური კრიზისის ფუნდამენტალური დიაგნოსტიკა ხორციელდება შემდეგი ძირითადი ეტაპებით: ძირითადი ფაქტორების სისტემატი-

ზება, რამაც შეიძლება განაპირობოს საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობა. შესწავლისა და შეფასების პროცესში ეს ფაქტორები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) ფაქტორები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული საწარმოს საქმიანობაზე (საგარეო ან ეგზოგენური ფაქტორები); 2) საწარმოს საქმიანობაზე დამოკიდებული (შიგა ანუ ენდოგენური ფაქტორები).

ჩამოთვლილთაგან პირველი თავის მხრივ იყოფა სამ ქვეჯგუფად: ა) ქვეყნის საერთო განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. მათ რიცხვში განიხილება მხოლოდ ისინი, რომლებიც საწარმოს საქმიანობაზე ახდენენ ნეგატიურ გავლენას, ე.ი. რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ფინანსური კრიზისი. ბ) საბაზრო ფაქტორები, ამ ფაქტორების განხილვისას იკვლევენ საწარმოზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების მქონე სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებს; გ) სხვა საგარეო ფაქტორები. მათ შემადგენლობას საწარმო განიხილავს დამოუკიდებლად, გამომდინარე თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან.

საწარმოს ფულადი ნაკადების ფორმირების თავისებურებების მიხედვით კრიზისული ფინანსური განვითარების შიგა ფაქტორების ანალიზისას, მათ სამ ქვეჯგუფად ყოფენ: ა) ოპერაციულ საქმიანობასთან დამოკიდებული ფაქტორები; ბ) ინვესტიციურ საქმიანობასთან დამოკიდებული ფაქტორები; გ) ფინანსურ საქმიანობასთან დამოკიდებული ფაქტორები.

კომპლექსური ფუნდამენტური ანალიზის ჩატარება სპეციალური მეთოდების გამოყენებით ემყარება შემდეგ მეთოდებს:

ფინანსური კოეფიციენტების სრული კომპლექსური ანალიზი. ეს ანალიზი მნიშვნელოვნად აფართოებს „კრიზისული არეალის“ ობიექტების წრეს.

კორელაციური ანალიზი. ეს მეთოდი გამოიყენება ცალკეული ფაქტორების ხარისხის გავლენის დასადგენად საწარმოს კრიზისულ ფინანსური განვითარების ხასიათზე. ამ გავლენის რიცხობრივი ხარისხი შეიძლება გაიზომოს კორელაციის ერთი ან მრავალფაქტორული მოდელით. ასეთი შეფასების შედეგებით ხორციელდება ცალკეული ფაქტორების რაჩეობა მათი ნეგატიურობის მიხედვით საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე.

შუა-ანალიზი განიხილება ცალკეულ შინაგან-ენდოგენურ ფაქტორებთან მიმართებაში. აგრეთვე პოზიტიური და ნეგატიური გავლენის მიხედვით ცალკეულ საგარეო (ეგზოგენურ) ფაქტორებზე.

საწარმოს ბანკროტობის საშიშროებისას „ალტმანის მოდელის“ ანალიზი წარმოადგენს ინტეგრალური შეფასების ალგორითმს. ალტმანმა განსაზღვრა ცალკეული კოეფიციენტების მნიშვნელობა ბანკროტობის ალბათობის ინტეგრალურ შეფასებაში:

$$Z=1,2 X1 + 1,4 X2 + 3,3 X3 + 0,6 X4 + 1,0 X5$$

სადაც Z - არის ბანკროტობის საშიშროების დონის ინტეგრალური მაჩვენებელი („ალტმანის

-ანგარიში). X1 - საბრუნავი საშუალებების თანაფარდობა საწარმოს ყველა აქტივთან; X2 - კაპიტალის რენტაბელობის დონე; X3 - აქტივების შემოსავლიანობის დონე; X4 - საკუთარი და ნასესხები სახსრების ფარდობითობის კოეფიციენტი; X5 - აქტივების ბრუნვადობა.

საწარმოს ბანკროტობის საშიშროების დონე ალტმანისეულ მოდელში ფასდება შემდეგი სკალით:

Z მაჩვენებელი	ბანკროტობის ალბათობა
1,8-მდე	ძალიან მაღალი
1,81-2,70	მაღალი
2,71-2,99	შესაძლებელი
3,00 და მეტი	ძალიან დაბალი

ამ მოდელის გამოყენება ფინანსური კრიზისისა და ბანკროტობის საშიშროების შეფასებისას ჩვენს ეკონომიკურ პირობებში არ იძლევა საკმარისად ობიექტურ შედეგს. ეს გამოწვეულია ცალკეული მაჩვენებლების აღრიცხვის განსხვავებული მეთოდებით, ინფლაციის გავლენით მათი ფორმირებით, ზოგიერთი აქტივის საბაზრო და საბაღანსო ღირებულებების შეუსაბამობით, რაც ალტმანის მოდელში იწვევს მოცემული მაჩვენებლების კორექტირების აუცილებლობას.

საწარმოს განვითარების კრიზისული მდგომარეობის პროგნოზირება ცალკეული ნეგატიური ფაქტორების გამო, ხორციელდება მრავალფაქტორული რეგრესიული მოდელების შემუშავების საფუძველზე, სადაც გამოიყენება ანალიტიკური SWOT -ანალიზი და სხვა ფუნდამენტური ანალიზის მეთოდები. პროგნოზირების პროცესში ითვალისწინებენ ყველაზე მეტად მოქმედი ნეგატიურ ფაქტორებს მომავალ პერიოდში. საწარმოს მიერ ფინანსური კრიზისის ნეიტრალიზაციის შესაძლებლობის პროგნოზირება შიგა ფინანსური პოტენციალით განისაზღვრება იმის და მიხედვით, თუ როგორი სიჩქარით და მოცულობით შეუძლია საწარმოს განახორციელოს შემდეგი ოპერაციები: უზრუნველყოს წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა; შეამციროს ფინანსური ვალდებულებების საერთო ჯამი; მოახდინოს თავისი ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურირება; შეამციროს მიმდინარე დანახარჯები და ოპერაციული ლევერიჯის კოეფიციენტი; შეამციროს ფინანსური რისკები თავის საქმიანობაში; დადებითად შეცვალოს სხვა ფინანსური მაჩვენებლები, მიუხედავად ზოგიერთი ფაქტორების ნეგატიურად ზემოქმედებისა.

განმაზოგადებელი შეფასებისას, საწარმოს



შესაძლებლობა, გაანეიტრალოს ფინანსური კრიზისის მოკლევადიან პერსპექტივაში, საშუალებას იძლევა მივიღოთ დინამიკაში პროგნოზირებადი კოეფიციენტი.

საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობას საბოლოო მასშტაბის განსაზღვრა და იდენტიფიცირებამ უნდა მოიცვას ბანკროტობის ანალიტიკური და ფუნდამენტალური

დიაგნოსტიკის შედეგები და განსაზღვროს საწარმოს ფინანსური წონასწორობის აღდგენის მიმართულებები.

ცხრილში 2 მოყვანილია საწარმოს ფინანსური კრიზისის მასშტაბის მახასიათებლების კრიტერიუმები, აგრეთვე მათზე ზემოქმედების ადეკვატური მეთოდები:

ცხრილი 2

საწარმოს კრიზისული მდგომარეობის მასშტაბი	რეაბირების მეთოდი
მსუბუქი ფინანსური კრიზისი	მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ნორმალიზება
ღრმა ფინანსური კრიზისი	ფინანსური სტაბილიზაციის შიდა მექანიზმების სრული გამოყენება
კატასტროფული ფინანსური კრიზისი	გარე სანაცის ეფექტური ფორმების მოძიება (წარუმატებლობის შემთხვევაში - ლიკვიდაცია).

ამდენად, ფინანსური კრიზისის ფუნდამენტალური დიაგნოსტიკა საშუალებას იძლევა მივიღოთ საწარმოს კრიზისული ფინანსური

მდგომარეობის ნათელი სურათი და დავაკონკრეტოთ მისი ფინანსური გაჯანსაღების ფორმები და მეთოდები.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ინგოროყვა ა., ცაავა გ., ფინანსური მენეჯმენტი, თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. ტ. 2, თბ., 2011.
2. კაკულია რ., კორპორაციათა ფინანსები. თბ., 2008.
3. Мирнов М.Г., Замедлина Е.А., Финансовый менеджмент. Изд-во «Экзамен», М., 2005.
4. Берзина Н.И., Финансовый менеджмент. Изд-во «Академия», М., 2006.
5. Джеймс К., Ван Хорн., Основы финансового менеджмента. Изд-во «Вильямс», М., 2010.

Some aspects of diagnostics of the enterprise's financial crisis

Tinatín Gugeshashvili

Doctor of Economics

Akaki Tsereteli State University

Department of Business Administration

Medea Lominashvili - pruidze

Doctor of Economics

Akaki Tsereteli State University

Department of Business Administration

The article discusses the financial crisis diagnostics, as in time determined process. The article discusses the evaluation of crisis symptoms and defines the implementation of diagnostics methods and goals. We have analyzed the “critical area” of observed system, as far as the conditions of the activities of the financial industry in every area, can generate its bankruptcy.

The authors of the article discuss the evaluation of the available indicators of financial crisis risk. Also we have discussed in detail two diagnostics systems of the financial crisis in enterprises: Express-system of financial diagnostics and the fundamental system. We have received the analysis result: the financial diagnosis allows to get a clear picture of the financial condition of the enterprise crisis, and specific forms and methods of its financial recovery.



ანზორ მესხიშვილი

ექსპერტი უძრავი ქონების -
მიწის საკითხებში, ეკონომიკის დოქტორი

თამარ კოლუაშვილი

სამართლის მაგისტრი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მიწა უდიდესი რესურსია, რომლის გარეშეც დედამიწაზე სიცოცხლე არ იარსებებდა. მიწა – როგორც ფიზიკური, ასევე აბსტრაქტული შინაარსის მქონე საგანია. მიწის ფლობისა და მოხმარების უფლებები ისევე მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული, როგორც მცენარის ფესვები მიწასთან. მიწის სწორად მართვა აუცილებელია ეხლანდელ და მომავალი თაობებისათვის.

საჭიროა ქვეყანაში დროულად შეიქმნას მიწის საინფორმაციო სისტემა, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება. ამასთან, შესაძლებელი და მისაღებია მიწათსარგებლობის ახალი კოდექსი, ხოლო უძრავი ქონების-მიწის შესახებ სხვა კანონებში შესატანია რეალისტური ცვლილებები.

I. საქართველოს კანონი: “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომელიც მიღებულია 1996 წლის 22 მარტს, უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად და მიღებულ იქნეს ახალი, რეალისტური, თეორიულად გამართული და პრაქტიკულად გამოსადეგი კანონი შემდეგი მიზეზების გამო:

– კანონი მიღების დროს შედგებოდა 22 მუხლისგან, მასში შეტანილი 8 ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა 11 მუხლი და სამი პუნქტი, ფაქტობრივად კანონმა დაკარგა არსებითი მნიშვნელობა და ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს; ამასთან, რაც მთავარია:

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის № 3/1/5/512 გადაწყვეტილებით, კანონში გაუქმდა უკანასკნელი შეზღუდვები მიწის გასხვისებაზე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რითაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა გატანილი აღმოჩნდა ბაზარზე, სადაც, პრაქტიკულად, არც ერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ არსებობს.

საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არ არის დაშვებული კანონმდებლის მიერ იგივე შინაარსის ნორმის მიღება, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არა კონსტიტუციურად ცნო, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში – კანონში ჩაიდოს არა ბლან-

კეტური (სრულად) აკრძალვა, არამედ მხოლოდ შეზღუდვა. სწორედ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ იგი არაკონსტიტუციურად თვლის უცხო ელთათვის (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებზე) სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში ქონის ბლანკეტურ (სრულად) აკრძალვას და არა ამ უფლების შეზღუდვას.

სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთნაირად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიც ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას, კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.

ამიტომაც, შესაძლოა ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით. ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან გაითვალისწინოთ.

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური



დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ნებისმიერ სახელმწიფოში სტრატეგიული დანიშნულების ობიექტადაა მიჩნეული და მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ამ ტიპის მიწის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე) გასხვისება დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით, მხოლოდ შეზღუდული პირებისთვის.

სახელმწიფო პოლიტიკა უდავოდ უნდა უზრუნველყოფდეს მიწის ეფექტურ გამოყენებას, თუმცა ეს მიღწეული უნდა იყოს არა მესაკუთრეობაზე შეზღუდვებით, არამედ მიწათსარგებლობის მონიტორინგის საშუალებით. ამასთან, შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები იქნება საჭირო, რომელიც უზრუნველყოს როგორც მიწათსარგებლობის მონაცემთა განახლებადი ბაზის შექმნას, ასევე მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეფექტური სისტემის ფუნქციონირებას.

II. ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს “ქონების ლეგალიზაციის შესახებ” საქართველოს კანონში (მიღებულია 2007 წლის 22 ივნისს) 2011 წლის 22 მარტს შეტანილი ცვლილებები (კანონის მე-6 მუხლს დაემატა მე-6 პრიმა მუხლი და კანონის მე-7 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი) შემდეგი გარემოებების გამო:

1) ამ დამატებებით შემოღებული იყო თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ლეგალიზების ახალი საფუძვლები, რომელსაც პრაქტიკულად არ უმუშავია.

2) კანონის დამატებაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევადა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად კანონპროექტის მომზადება რომელიც, გარდა თბილისისა, გავრცელდება მთელ საქართველოზე, რაც არ გაკეთებულა. კანონის დამატებაში აღნიშნულია, რომ ლეგალიზების საფასური თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე მიწის ნაკვეთის ერთ კვადრატულ მეტრზე შეადგენს 15 ლარს. პირმა, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანიზაციამ ხარვეზით მისცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, მის საკუთარ ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში უნდა გადაიხადოს 15 ლარი, ხოლო იმ პირმა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურ-

ნეო მიწის ნაკვეთი და უკანონოდ ააშენა სახლი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწების ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც მიღებულია 2007 წლის 11 ივლისს, უნდა გადაიხადოს ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში 5 თეთრიდან 10 თეთრამდე (არ იფიქროთ სტილისტური შეცდომაა, სწორედ თეთრი და არა ლარი). ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თბილისის ზღვის მიდამოებში სახელმწიფო პირებს ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში უხდიდა 6 ლარს. ხოლო სახელმწიფო მოითხოვს 15 ლარს. აღნიშნული კანონის გავრცელება სასოფლო რაიონებში გამოიწვევს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას.

3) ამავე კანონის დამატებით ლეგალიზაციის განხორციელება დაევადა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურებს ევალებათ დაადგინონ, კანონდარღვევით თუ არის შედგენილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მოწმობა, მებადლობის ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი და რაც მთავარია - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც თავის დროზე მათ მიერ არის გაცემული. ეს არაა სწორი, რადგან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სამართლებრივი უფლებამოსილების განმხორციელებელი მარეგისტრირებული ორგანოა და არა დამდგენი. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში აღნიშნულია: „მარეგისტრირებული ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე“. ისინი პასუხისმგებლები არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

4) გაურკვეველია, თუ რას ნიშნავს კანონის დამატებაში მოყვანილი სიტყვები: „კანონის დარღვევით შედგენილი დოკუმენტი“. როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის პერიოდში (1992-1998 წ.წ.) ლიკვიდირებულ იქნა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სერიოზული დეფიციტის დიდი საშიშროება იყო. რის გამოც, დაჩქარებული წესით ხდებოდა მიწის ნაკვეთების გაცემა, დოკუმენტაციის შედგენა და რეგისტრაცია, რათა მოსახლეობას სასწრაფო წესით მიეღო მიწის ნაკვეთი, დაემუშავებია და

არ დაწყებულიყო მასობრივი შიმშილობა. ასეთ პირობებში არ არის გამორიცხული, რომ რეფორმის კომისიე ბი (მათ სოფლის კრება ირჩევდა და ზოგიერთი კომისიის წევრის ცოდნა არ იყო კვალიფიციური) დაუშვებდნენ მიღება-ჩაბარების აქტებში შეცდომებს და ხარვეზებით გააფორმებდნენ დოკუმენტებს. დღეში ათასზე მეტი მიღება-ჩაბარების აქტის და საკუთრების მოწმობის გაცემა ხდებოდა. ასევე შეცდომებს ექნება ადგილი მებაღეობის ამხანაგობების მიერ გაცემულ წიგნაკებში და მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მოწმობებში.

რა დანაშაული მიუძღვის მოქალაქეს, გლეხს (ფერმერს), თუ სახელმწიფო ორგანიზაციამ, ამ შემთხვევაში მიწის რეფორმის კომისიამ, მებაღეობის ამხანაგობამ და საჯარო რეესტრმა კანონის დარღვევით (იგულისხმება ხარვეზით) გაცა მიწის მიღება-ჩაბარების აქტები, მებაღეობის წიგნაკები, საკუთრების მოწმობები და ამონაწერები, რატომ უნდა გადაიხადოს ამისათვის ათასობით ლარი. და თუ არ გადაიხდის, რატომ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ასეთი პირის მიმართ. ასევე გაურკვეველია, როგორ დადგინდება, კანონდარღვევით არის თუ არა შედგენილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მოწმობა, მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი და რაც მთავარია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

საქართველოში ორ მილიონზე მეტმა მოქალაქემ მიიღო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, აქედან თითქმის ნახევარზე გაცილებითა ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, სადაც საფუძვლად აღნიშნულია მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, სარეგისტრაციო მოწმობა ან მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი, აქედან კი ძალიან ბევრს გაყიდული აქვს ეს მიწის ნაკვეთები (კანონის დამატებაში აღნიშნულია: „ქონების ლეგალიზება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარიგება გადასულია ახალ მესაკუთრეზე“). რა ქნან, როგორ გაიგონ ეს დოკუმენტები სწორად არის გაცემული თუ ხარვეზით? ანდა რა შუაშია კეთილსინდისიერი მყიდველი? სოფლად მაცხოვრებელი გლეხი, რომელსაც საკუთრებაში აქვს ერთი ჰექტარი მიწა და არ არის რეგისტრირებული, როდესაც მივა სარეგისტრაციო სამსახურში, არ არის გამორიცხული, რომ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში ხარვეზის გამო მოთხოვენ ათი ათასობით ლარს ლეგალიზაციაში (ან გადასცემენ პასუხისმგებაში).

III. საქართველოს კანონში: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, რომელიც მიღებულია 1997 წლის 2 ოქტომბერს, საჭიროა ცვლილებების შეტანა შემდეგ გარემოებათა გამო:

1) კანონის შესაბამისად, სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში მცხოვრებმა ოჯახმა, საკუთარ მიწის ნაკვეთზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, კანონიერად, რომ მოაწყოს პატარა მადაზია ან/და ბინა გააქირაოს, აუცილებლობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწა გადაიყვანოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და ამისათვის ერთ ჰექტარ მიწაზე გადაიხადოს 100 000 ლარი. რაც, ჩვენი აზრით, არ არის სწორი და ხელის შემშლელია მცირე ბიზნის განვითარებისათვის;

2) არ არის გამართლებული, რომ თბილისისა და ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სოფლების მაცხოვრებლებმა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გადაყვანისას ერთ ჰექტარ მიწაზე გადაიხადონ 34 001 ლარი, ხოლო სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში მცხოვრებმა ოჯახებმა 100 000 ლარი, (სხვა ქალაქებისა და რაიონის სოფლის მაცხოვრებლებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით უფასოა);

3) კანონი არ ითვალისწინებს არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადაყვანას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, რაც სერიოზული ხარვეზია. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს კანონს დაემატოს არასასოფლო-სამეურნეო მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გადაყვანის წესი;

4) კანონში №1 დანართის სახით მოცემულია სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით სარგებლობისას მიყენებული ზიანის სანაცვლო საკომპენსაციო თანხები, რომელიც ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, საჭიროა მოხდეს მათი გადაანგარიშება.

IV. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანია სერიოზული ცვლილებები შემდეგი გარემოების გამო:

1) იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებში შეტანილ იქნა საფუძვლიანი ცვლილებები, სახელმწიფო ქონების განკარგვის წესებში უნდა დაზუსტდეს



საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები;

2) დაზუსტებას მოითხოვს სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების საკითხები;

3) კანონის ზოგიერთი მუხლი წინააღმდეგობაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლებთან, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის კარი პირველი, თავი მეექვსე;

4) კანონის უამრავი მუხლი ბუნდოვანია და მოითხოვს დაზუსტებას. ამასთან საკითხები დალაგებულია არასისტემაურად.

V. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, შეტანილ იქნეს ცვლილებები საგადასახადო კოდექსის XXIX თავში – ადგილობრივი ქონების გადასახადი.

VI. ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ რადგან ამ კანონმა გამოიწვია სერიოზული გაუგებრობები მიწათსარგებლობის საკითხებში, მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება და სამოქალაქო დავები. რაც მთავარია, ეს კანონი და პრეზიდენტის ბრძანებულება მიღებულ იქნა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის არჩევნების წინ და ემსახურებოდა საარჩევნო პიარს.

VII. ცვლილებებს მოითხოვს სამოქალაქო კოდექსი, რამდენადაც ცნობილია ის ნათარგმნია გერმანული ანალოგიური კოდექსიდან. ბევრი მუხლი გაუგებარია და ბუნდოვანი. რაც მთავარია, კოდექსის თავი მეთერთმეტე: „სამკვიდროს გაყოფა“ საფუძველს იძლევა ისედაც დანაწევრებული მიწები კიდევ უფრო მეტად დანაწევრდეს და მოხდეს მიწების ფრაგმენტაცია.

VIII. არსებობს ტყის, წყლის და სხვა მრავალი კოდექსი. არ არსებობს მიწის კოდექსი. ჩვენის აზრით, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს უახლეს პერიოდში მომზადდეს საქართველოს მიწათსარგებლობის კანონი (მიწის კოდექსი).

IX. 2007 წლის 11 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“. კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების (მიწის) მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს,

განსაზღვრავს დასახელებული ამხანაგობისა და მის წევრთა საკუთრების ფორმებს, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმოშობის ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირითად სამართლებრივ პირობებს. კანონში შესატანია საფუძველიანი ცვლილებები შემდეგი გარემოების გამო:

1. კანონში ბევრი რამ გაურკვეველი და დასაზუსტებელია. მაგალითად, კანონის 23-ე მუხლი ამხანაგობის წევრთა 2/3-ს თუ კრებაზე დამსწრე წევრთა 2/3-ს გულისხმობს? კანონის 28-ე მუხლის თანახმად, კრება გადაწყვეტილებას უნარიანია, თუკი მას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3. ზემოთ ნახსენები მუხლის თანახმად კი გამოდის, რომ წევრთა 2/3-ის მოწვევის შემთხვევაში, შესაძლებელია სამეურნეო სათავსების განხილვა და გადაწყვეტა დამსწრე წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ კრება არ ჩატარდა კვორუმის უკმარისობის გამო, განმეორებითი კრების მოწვევისას უკვე აღარაა გადამწყვეტი დამსწრე წევრთა ოდენობა და მათი უბრალო უმრავლესობის სურვილით შეიძლება საკითხის განხილვა და გადაწყვეტა, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება კანონის მე-10 მუხლის 1 ნაწილს.

2. არის შემთხვევები, როდესაც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას საერთო საკუთრების ქონების გასხვისებაზე, კრების ჩატარებლად ადგენს ოქმს, აწერს ხელს, ამტკიცებს ნოტარიუსთან და არეგისტრირებს საჯარო რეგისტრში მისთვის სასურველ პიროვნებაზე ან პირად საკუთრებაში. ასეთ შესაძლებლობას კანონი აძლევს არა მარტო ამხანაგობის თავმჯდომარეს, არამედ ამხანაგობის ნებისმიერ წევრსაც.

3. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მრავლობიანი სახლებში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ბინათმესაკუთრეთა წევრების იურიდიულად გამართლებული კრების ჩატარება. რაც ძალიან ხშირად იწვევს ბინათმესაკუთრეთა სამოქალაქო დავებს.

4. კანონი არ განმარტავს და არ აკონკრეტებს ფაქტობრივ მდგომარეობაში რას მოიაზრებს, საერთო სათავსის ფლობის ფაქტს, თუ მის მდებარეობას, ან უპირატეს უფლებას მისი საკუთრებით გადაცემისთვის, თუკი ადგილი აქვს მობინადრის მიერ წლების განმავლობაში ფლობის ფაქტს. ასევე საყურადღებოა, რომ პრაქტიკაში, ერთგვარად, ფორმალურად იქცა ამ კონკრეტულ საკითხებზე საერთო კრების მოწვევის პროცედურა, რადგან ამ კრების მოწვევის გარეშეც ძალზე მარტივად ხდება ამ ფართების რეგისტრი-

რება ინიციატივის მქონე ამა თუ იმ დაინტერესულ პირთათვის. არც სარეგისტრაციო სამსახური და არც ნოტარიუ სი, რომელიც პირდაპირაა ჩართული ამ პროცედურაში, არ ითხოვს საერთო კრების მონაწილეთა ხელმოწერებს და ამოწმებს მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის ან კრების თავმჯდომარის ხელმოწერების ნამდვილობას. ეს კი აადვილებს კანონის გვერდის ავლით, კრების მოწვევის გარეშე საკუთრების უფლებით ამა თუ იმ ფართების რეგისტრაციას, მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის ხელმოწერით, რაც თავისთავად, ამ პროცედურის დაცვის გარეშე, არის გარიგების ბათილობის საფუძველი.

ამრიგად, კანონის ეს ხარვეზი არის შესახებ, რათა ყველა წესის სათანადო დაცვით მოხდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თითოეული წევრის ინტერესის დაცვა. მათი საერთო ინტერესების დაცვა განაპირობებს მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, სამეზობლო სამართალში პრიორიტე ტული არის ურთიერთპატივისცემის მომენტი და სამართლის ეს ნაწილი, ზოგადად, სწორედ ამაზეა დამყარებული.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ზიბზიბაძე – მიწის რესურსების ეფექტური მართვა სიღარიბის დაძლევის წინაპირობაა, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, 2014.
2. ა. მესხიშვილი – როდის ეყოლება საქართველოს მიწას პატრონი, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4.
3. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, 1996 წლის 22 მარტი.
4. საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“, 2007 წლის 11 ივლისი.
5. საქართველოს კანონი „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“, 2007 წლის 22 ივნისი.
6. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, 1997 წლის 2 ოქტომბერი.

The Real Estate – the Land Laws Require Changes

Anzor Meskhishvili, Doctor of Economics
Tamar Koguashvili, Master of Law

Land is the greatest resource, without which life would not exist on Earth. Land is the subject of both - physical and abstract content. Land ownership and usage rights have been related to it as closely, as the plant roots have been related to the ground. The proper management of the land is vitally necessary for present and future generations.

It is necessary to create the Land Information System timely, which will have all the functions of rational usage and protection of the land. Besides, a new Law of Land Usage (the Code) shall be developed and accepted, and the realistic changes need to be developed in other laws related to the real estate-land.

ეკონომიკური მეცნიერების სწავლების მეთოდოლოგია: რა უნდა მივიჩნიოთ ცხოვრებაში ჩარევის სწორ მიმართულებად, ანუ რა შეიძლება, და რა არ შეიძლება ვაკეთოთ



შოთა ვაშაპიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
 პროფესორი
 shotaveshapidze@mail.ru
 ტელ.: 599518084

იმის გამორკვევა, რა შეიძლება ვაკეთოთ ეკონომიკაში და რა არ შეიძლება, მოითხოვს მთლიანობაში გავიაზროთ კონომიკური მეცნიერების სწავლების მეთოდოლოგიის საკითხები: ეკონომიკის საგანი და ფუნქციები, ანალიზის დონეები. ეკონომიკური თეორიის სისტემა, საგნის სხვადასხვა განმარტებანი, ძირითადი ფუნქციები, ეკონომიკური ანალიზის დონეები, ეკონომიკის კანონების და პრინციპების ურთიერთკავშირი, დაშვებათა როლი, პოზიტიური და ნორმატიული ანალიზი, სამეურნეო საქმიანობის მთავარი როლი, ძირითადი ეკონომიკური პრობლემა, ანუ განსაზღვრელი სურვილები და მათი დაკმაყოფილების საშუალებების შეზღუდულობა, ეკონომიკის მეთოდები, ასევე მნიშვნელოვანია. ეკონომიკური სწავლება დაგვეხმარება სწორად განვსაზღვროთ ღირს თუ არა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა, რომ “ეფექტიანობისა” და “სამართლიანობის” რადიკალიზაციას დაყოფა ილუზია იქნება. საჭიროა მივადწიოთ ყველაზე მთავარს, ეკონომიკის მონაწილეთა თავისუფლებას. ამისათვის უნდა ვიყოთ, ვთქვათ, “კვოტების” ანუ ეკონომიკაში ჩარევის წინააღმდეგი, მაგრამ, ამასთანავე ერთდროულად თანასწორობის მომხრე. თუ ვხედავთ რომ თანასწორობა კვოტების გარეშე ვერ მიიღწევა, მაშინ მხარი უნდა დავეჭიროთ “კვოტირებას” ანუ ეკონომიკაში ჩარევას. მსგავსად ნეოლიბერალების მიერ დასაბუთებული პრინციპისა: “კონკურენცია ყველგან, სადაც შესაძლებელია, რეგულირება-იქ, სადაც აუცილებელია”, მთავარ სამოქმედო პრინციპად უნდა გაეხადოთ: “კვოტირება ყველგან სადაც აუცილებელია, მისთვის გვერდის ავლა ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია”.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ კონომიკურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინები “მეურნეობა” და “ეკონომიკა”. ზოგჯერ მეურნეობას განსაზღვრავენ როგორც რესურსების გამოყენებას, რომელსაც მისი მფლობელები (ან საზოგადოება) თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიმართავენ. ეკონომიკას კი უწოდებენ საზოგადოების საქმიანობას, აგრეთვე ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სისტემაში ყალიბდება. ეს ორი ცნება ერთმანეთის მსგავსება და ნაწილობრივ განსხვავებულობა. მეურნეობის საფუძველი არის რესურსები რომელთაც ადამიანები თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებენ. ამ პროცესში ადამიანები სხვადასხვა წესებს იცავენ, რომელთა ერთობლიობა არის ეკონომიკა. ადამიანი, სხვადასხვა რესურსებს, რასაც იგი წარმოების პროცესში იყენებს, სხვადასხვა წესების გამოყენებით ღო-

ვითად გადააქცევს. ერთმანეთის გარეშე ეს ორი ტერმინი არ არსებობს. მათ შორის განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ შესაძლებელია ისინი სინონიმებადაც მივიჩნიოთ. თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა არის არა ყველა ეკონომიკური მეცნიერების, არამედ მისი იმ მიმართულებების თავისებური სინთეზი, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია სამეურნეო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესწავლისა და რეგულირებისათვის.

სიტყვა “ეკონომიკა” ბერძნულია და ნიშნავს “ადამიანს, რომელიც საოჯახო მეურნეობას უძღვება.” ეკონომიკა არის იმის გაგება, თუ როგორ იღებენ ინდივიდები გადაწყვეტილებებს და როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები ერთმანეთთან ყველა ეს გადაწყვეტილება და ურთიერთქმედება ერთად შეადგენს “ეკონომიკას” [1]

თანამედროვე ეკონომიკური თეორია შეისწავლის ადამიანთა, როგორც სამეურნეო სუბიექტებ-

საქალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ის ქცევას, ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე, მატერიალური დოვლათის და მომსახურების წარმოების, განაწილების გაცვლის და მოხმარების პროცესში, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, შეხედულებული რესურსების პირობებში, ოჯახის, ფირმის და მთლიანად საზოგადოების მიერ.

გამოყოფენ ეკონომიკური მეცნიერების ხუთ ძირითად ფუნქციას, რომელსაც ეკონომიკური მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში ასრულებს. [9, გვ.21]

1. სამეცნიერო-შემეცნებითი ფუნქცია. ეკონომიკური მეცნიერების შესწავლისას, ადამიანი შეიმეცნებს ადამიანთა საზოგადოების მნიშვნელოვან მხარეს, მატერიალური დოვლათის და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესებს, რომელთა გარეშე ადამიანთა საზოგადოება ვერ იარსებებს.

2. კრიტიკული ფუნქცია. რეალურ ცხოვრებაში ჩვენ საქმე გვაქვს მეურნეობრიობის ძალიან მრავალნაირ ფორმებთან, რომელთაგან ზოგი მეტად, სხვები კი უფრო ნაკლებად ეფექტიანია. შესაბამისად, მეცნიერებაში ერთი და იგივე საკითხის შესახებ განსხვავებული შეხედულებანი, არაერთგვაროვანი მიდგომები და გადაწყვეტილებანი არსებობს. ამ პირობებში ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა მოგვცეს როგორც ეკონომიკური ცხოვრების, ასევე თეორიული კონცეფციის ობიექტური კრიტიკული ანუ პოზიტიური შეფასება.

3. პრაქტიკული (პრაგმატული) ფუნქცია. ეკონომიკური მეცნიერების პრაქტიკულობა იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფოს, ფირმის, ნებისმიერი სხვა სამეურნეო სუბიექტის ყოველი ხელმძღვანელი, თავისი საქმიანობისას შეგნებულად ან მის გარეშე-ხელმძღვანელობს მისი პრინციპებით და კანონებით. რა თქმა უნდა, ეკონომიკური მეცნიერების პრაქტიკული ასპექტები პრიმიტიულად არ უნდა გავიგოთ, მოცემული მეცნიერება ვერ შეგვასწავლის საოჯახო მეურნეობის, მებაღეობის, მიწათმოქმედების გაძღვლას, ის არ გვაძლევს იმის რეცეფტს, თუ როგორ მოვიპოვოთ ნავთობი და გაზი, როგორ ვმართოთ ფირმა და მისი პერსონალი. ამ მიზნების მისაღწევად ჩვენ გვჭირდება სხვა სპეციალურ მეცნიერებათა ცოდნა. ეკონომიკური მეცნიერება ეკონომიკის წარმატებით განვითარების წინამძღვარია როგორც მიკრო ასევე მაკრო დონეზე და არა ამაზე მეტი.

4. პროგნოსტიკული ფუნქცია. ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარის სიღრმისეული შესწავლა ცალკეულ ადამიანს, ფირმას და მთლიანად

საზოგადოებას აძლევს მოვლენების განჭვრეტის, მომავალი ეკონომიკური ვითარების მეცნიერულ პროგნოზის საშუალებას როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. ეკონომიკური ცხოვრების ამა თუ იმ დასრულებულ ეკონომიკურ საქმიანობას ხშირად გაუთვალისწინებელ ანუ მოულოდნელ, წინასწარ გულუზრახ შედეგებამდე მივყავართ. სამართლიანია მოსაზრება, რომ ცოდნას მივყავართ განჭვრეტამდე, განჭვრეტას – პოზიტიურ საქმიანობამდე.

5. მეთოდოლოგიური ფუნქცია. ლიტერატურაში შეიძლება ხშირად შევხვდეთ სამართლიან მტკიცებებს იმის შესახებ, რომ ეკონომიკური თეორია არა მარტო თეორიაა, არამედ მეთოდიც, ერთგვარი ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი პოლ ჰეინე სამართლიანად შენიშნავს: ეკონომისტმა რეალური სამყარო არა უკეთესად, უმრავლეს შემთხვევაში მენეჯერებზე, მექანიკოსებზე, საერთოდ საქმიან ადამიანებზე უარესად იცის. მაგრამ ეკონომისტებმა იციან, როგორ არიან ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულნი სხვადასხვა საგნები.

ეკონომიკური მეცნიერება მეთოდოლოგიურ ასპექტში გვასწავლის არა მარტო იმას, რა უნდა ვაკეთოთ, არამედ იმასაც, რა არ შეიძლება ვაკეთოთ. კანასკნელი კი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი.

ეკონომიკური მეცნიერების დამახასიათებელი ფუნქციონალური თავისებურება, განიხილავს რა როგორ მივალწიოთ “ეფექტიანობასა” და “თანასწორობას”, არის, რომ ის განიხილავს რეალური ცხოვრების იმ საკითხებს, რომელიც ეხება ყველას და თითოეულს ცალ-ცალკე. აქ გამონაკლისი არაა. მსოფლიოში არცერთ ადამიანს არ შეუძლია საოჯახო მეურნეობის გაძღვლის პრობლემების აბსტრაგირება ანუ თავის დაღწევა, არცერთ საზოგადოებას არ შეუძლია არ გადაწყვიტოს ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის ურთულესი პრობლემები. ეკონომიკური ზარების ხმები ყველას და თითოეულს ეხება.

მრიგად, ეკონომიკური მეცნიერება გვეხმარება გავიგოთ გარემომცველი სამეურნეო ცხოვრება, შევაფასოთ მოვლენათა სარგებლიანობა და ზიანი; გვასწავლის ეკონომიკური მოვლენების შემეცნების ახალ წესებს; დაბოლოს, საშუალებას გვაძლევს განვჭვრიტოთ ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის ზოგიერთი შედეგი, განჭვრეტა კი გონივრულ მოქმედებას განაპირობებს. გვაძლევს მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის გასაღებს, გასაღებს



და არა რეცეპტს.

დღესდღეობით, უმეტესად ეკონომიკური ანალიზის 3 დონეს გამოყოფენ: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა. შეიძლება ისეთი დაყოფაც წარმოვიდგინოთ, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა ეკონომიკური ანალიზის 5 დონე:

- მიკროეკონომიკა
- მაკროეკონომიკა
- ეროვნული ეკონომიკა
- მსოფლიო ეკონომიკა (მეგაეკონომიკა)
- ჰიპერეკონომიკა
- I. მიკროეკონომიკა – ანალიზის საფუძვლად არებულია უმცირესი სამეურნეო ერთეული, ცალკეული ფირმა, გაერთიანება.

• II. მეზოეკონომიკა - სწავლობს ეროვნული ეკონომიკის ან ეროვნული მეურნეობის დარგების, განსაზღვრული ქვესექტორების (აგროსამრეწველო კომპლექსი, რეგიონული ეკონომიკა...) კანონებსა და ქცევას.

• III. მაკროეკონომიკა - სწავლობს ქვეყნის ეკონომიკას მთლიანად. მაკროეკონომიკური ობიექტებია: საზოგადოების შემოსავალი და სიმდიდრე, ეკონომიკური ზრდის ტემპები და ფაქტორები. მაკროანალიზი იმისთვისაა გამიზნული, რომ გადაწყვიტოს შემდეგი სახალხომეურნეობრივი პრობლემები: ბრძოლა ინფლაციასთან, უმუშევრობასთან, საქმიანი აქტიურობის სტიმულირება და სხვა.

• IV. მეგაეკონომიკა - შეისწავლის მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის კანონებსა და ქცევას.

V. ჰიპერეკონომიკა - რომელსაც უახლეს ეკონომიკურ თეორიასაც უწოდებენ, შეისწავლის ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების კონცეფციებს ეკონომიკაში (სინერგეტიკული ეკონომიკა, ფიზიკური ეკონომიკა...).

შეგნიშნავთ, რომ შემეცნების პროცესში აქტიურ როლს ასრულებს პრაქტიკა, რეალური ეკონომიკური ცხოვრება. მისი როლი სამერთიანია: ჯერ ერთი, იგი არის ძირითადი, შემეცნების პროცესის ამოსავალი ბაზა; მეორეც, ეკონომიკური რეალობა – შემეცნების პროცესის მიზანია, ვინაიდან ეკონომიკურ მეცნიერებას ჩვენ თვითმიზნის სახით კი არ შევისწავლით, არამედ რეალური ცხოვრების გაუმჯობესების საშუალების სახით; მესამეც, ეკონომიკური ცხოვრება, სამეურნეო პრაქტიკა არის ჩვენი გარემომცველი ეკონომიკური ცხოვრების ჭეშმარიტებისა და მცდარობის კრიტერიუმი. სწორედ ამას გვიდასტურებს გამოთქმა: თეორია ყალიბდება პრაქტიკით, სულდგმულობს

პრაქტიკით და მოწმდება პრაქტიკით.

მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა და პრაქტიკის უზარმაზარი როლისა, მეცნიერული შემეცნების ძირითადი რგოლია – მეორე ეტაპი: აბსტრაქტული მეცნიერული აზროვნება, რომელიც გულისხმობს შემეცნების განსაზღვრული მეთოდების გამოყენებას. თავის მხრივ შემეცნების მეთოდები იმისთვისაა საჭირო, რომ გაგიგოთ ეკონომიკური კატეგორიები, აღმოვაჩინოთ ეკონომიკური კანონები.

ნებისმიერი მეცნიერების შესწავლა უნდა იწყებოდეს მისი პრინციპების და მეთოდების შესწავლით. ძირითადი ეკონომიკური პრინციპები რომელსაც იყენებს თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა არის შემდეგი: თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედების, მიკრო და მაკროანალიზის ერთიანობის, რეალური ისტორიზმის (განსხვავებულ ისტორიულ პირობებში ეკონომიკის კანონები არაერთგვაროვნად მოქმედებენ) პრინციპები.

თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედების პრინციპი- ეკონომიკის ერთერთი მთავარი პრინციპია. თეორია რაციონალური აზროვნების, ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებისა და კანონების შემეცნების შედეგია. იგი აუცილებელი პირობაა სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც შეეხება მატერიალური რესურსების გამოყენებას, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის საშინაო და საგარეო ბაზარზე. ეკონომიკური თეორიის ცოდნა განათლებას მატებს ადამიანს, ანვითარებს ეკონომიკურ აზროვნებას, აიოლებს წარმატების მიღწევას. ამასთან პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის გარეშე თეორია კარგავს თავის მნიშვნელობას. სწორედ პრაქტიკა აძლევს თეორიას სოციალურ დაკვეთას კვლევისათვის, აძლევს მასალას სამეცნიერო ანალიზისათვის და ბოლოს გამოაქვს დაურღვეველი და სამართლიანი “განაჩენი” ნებისმიერი თეორიისათვის.

ჯ.მ. კეინზმა, კაპიტალიზმის ისტორიაში უმძიმესი კრიზისის დასაძლევად შექმნა საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების ღრმად ჩარევის თეორია. აუცილებელი იყო ომით გაპარტახებული ეკონომიკა რაიმე ახალს შეეცვალა. სწორედ ამან მისცა ბიძგი “სოციალური საბაზრო ეკონომიკის” მოდელის დამუშავებას. ჩვენშიც, რეალურმა სინამდვილემ უჩვენა, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ საკუთარი თავი ამოწურა. ამასთან დაკავშირებით განხდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური

სახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სისტემიდან საბაზრი ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემების დამუშავების აუცილებლობა. ეს ამოცანა, რომლის ამოსხნაც ჯერ არ დასრულებულა, უდიდეს სტიმულს წარმოადგენს თეორიული აზრის განვითარებისათვის.

თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია მიკრო და მაკროანალიზის ერთიანობა. ამ პრინციპის გამოყენების უდიდესი მნიშვნელობის დასამტკიცებლად მარტივი ანალოგია გამოდგება. როდესაც ტყეს შორიდან ვუყურებთ, ჩანს მხოლოდ მისი მოხაზულობა, სიდიდე, მაგრამ არ ჩანს ცალკეული ხეები, ბუჩქები, მიწის საფარი. ყველაფერი ეს მარტო ახლოდან შეიძლება დაინახო. ამ შემთხვევაში კი ტყის საერთო მოხაზულობას ვერ მოავლებთ თვალს. ეკონომიკის შესწავლისას ზუსტად ამგვარ ანალოგიას ვამჩნევთ. მხოლოდ მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის თანმიმდევრულად ჩატარებული ანალიზი გვაძლევს საშუალებას მივიღოთ მეტნაკლებად სრული შთაბეჭდილება საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

თითქოს ცხადია, რომ ეკონომიკის პრაქტიკული ფუნქცია მდგომარეობს იმ რეკომენდაციების გაცემაში, რომლებიც შეეხება საბაზრო ეკონომიკაში მარჯვედ, ხელსაყრელი პირობებით ჩართვას, ბიზნესში მაღალი შედეგების მიღწევას. ანობელის პრემიის ლაურეატი პოლ სამუელსონი გამოყოფს ყველა მეურნეობისათვის საერთო სამ ცენტრალურ პრობლემას:

1. რა უნდა ვაწარმოოთ და რა რაოდენობით?
2. როგორ უნდა მიმდინარეობდეს საქონლის წარმოება, ე.ი. უნდა მუშაობდეს, რა რესურსებით და რა ტექნოლოგიით?
3. ვისთვის არის გათვლილი წარმოებული საქონელი?

პასუხობს თუ არა ამ კითხვებს მიკროეკონომიკა? ერთი შეხედვით პასუხობს, რადგანაც ზუსტად მიკროეკონომიკა ამუშავებს რეკომენდაციებს საწარმოთა და ფირმების პრაქტიკული მოდერნიზაციის დარგში.

მაგრამ სამეურნეო მოდერნიზაციის ანალიზის უფრო ღრმა მიდგომისას აღმოჩნდა, რომ სამუელსონის მიერ დასმულ საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია მაკროეკონომიკური ინფორმაციის გარეშე. იმის განსაზღვრა, თუ რა და რა რაოდენობით უნდა დამზადდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ცნობილია მთელი საზოგადოების მოთხოვნილებები, გათ-

ვალისწინებულია საზოგადოებრივი წარმოების ჩამოყალიბებული დინამიკა და პერსპექტივები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მონაცემები საზოგადოებაში არსებულ ზრდის ფაქტორებზე, მათ კომბინაციებზე, ეკონომიკის სოციალურ, დარგობრივ და აღწარმოების სტრუქტურაზე, სახალხო მეურნეობის დაბალანსების დონეზე, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების რაოდენობაზე და ა.შ.

დაბოლოს, კიდევ ერთი პრინციპი – რეალური ისტორიზმი. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ განსხვავებულ ისტორიულ პირობებში ეკონომიკის კანონები არაერთგვაროვნად მოქმედებენ. საბაზრო კანონები მოქმედებენ იქ, სადაც საქონლის გაცვლა ხდება. მაგრამ შეუძლებელია ერთნაირად მიუდგე იმ საბაზრო ურთიერთობებს, რომლებიც ათასი წლის წინ არსებობდნენ და რომლებიც ჩამოყალიბდნენ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის რეალური ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც ახასიათებს ქვეყნებს, რომლებიც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო სისტემაში გადადიან.

მაგალითად, უნდა განვასხვაოთ, როგორ მოქმედებენ ეკონომიკური სისტემები აწყობილი კონკურენციისა და ჯერ კიდევ დაუძლეველი მონოპოლიზმის პირობებში.

ეკონომიკურ ანალიზში ფართო გამოყენება პოვა ეკონომიკური პროცესების მოდელირებამ. მოდელირება თავისთავად წარმოადგენს რეალური მოვლენების და პროცესების კვლევის მეთოდს ხელოვნურად შექმნილი თეორიული აგების ანალიზის მეშვეობით. იგი გვაძლევს სინამდვილის გამარტივებულ ასახვას. მოდელირების ამოცანაა გამოიკვლიოს ფაქტორების და ეკონომიკური პირობების (წანამდგრების) ცვლილებაზე გავლენა, განჭვრიტოს ამ ცვლილების შედეგები და თეორიულად დაასაბუთოს დასაკვირვებელი (შესასწავლი) დამოკიდებულებები. გამოყენებული თეორიული აგებულება ობიექტის ანალიზის სახით – ესაა მოდელის, რომელიც თავისთავად რეალური მოვლენების გამარტივებული კონსტრუქციაა.

სინამდვილის სქემატურად ამსახველი მოდელი ემყარება რეალობის გამარტივებას, მაგრამ არ ამახინჯებს მას. მოდელის აგებისას გამოყენებული კომპონენტები გამოყენებისას უნდა იყოს მარტივი, თუმცა იმავდროულად საკმაოდ რეალური. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოდელი – ესაა თეორიული აგება, რომელიც არის გამარტივებულად, ემპირიულად შესასწავლი რეალური



ურთიერთკავშირის აღწერა. მაგალითად, გეოგრაფიული რუკა მოცემული ტერიტორიის რელიეფის მოდელია.

მოდელირების, როგორც ეკონომიკური ანალიზის – პრობლემის მკაფიო ფორმულირება, უბრალოება და ოპერაციულობა (შესაძლებლობა წარმოვადგინოთ ურთიერთკავშირი ფორმალურად უზუსტესი სახით) – მეთოდის ძლიერი მხარეების აღნიშვნისას საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მისთვის დამახასიათებელ შეზღუდვებსაც. ჯერ ერთი, ნებისმიერი მოდელის აგება ემყარება შემოდებულ ვარაუდებსა და შერჩეულ ცვლადებს, რასაც უკვე თავისთავად შეაქვს სუბიექტურობის ელემენტი. მეორე, ემყარება რა ვარაუდთაგან ერთ-ერთს, მოდელი უარყოფს ყველა დანარჩენს, რაც სინამდვილის მნიშვნელოვანი დეფორმაციაა. მესამე, ვინაიდან მოდელის ანალიზი ხორციელდება პრინციპის „სხვა თანაბარი პირობების დროს“ შესაბამისად, პიპოთეზის ფორმით გამოხატული დასკვნები წარმოადგენს ცალკეული ფაქტორის გავლენაზე დაკვირვების შედეგს, ამიტომაც ექნება შეზღუდული მნიშვნელობა. ყოველივე ეს სიძნელეს ქმნის მოდელირების საფუძველზე გამოყვანილი პიპოთეზების ფაქტობრივი დამტკიცებისას ეკონომიკურ თეორიაში დაშვებების გამოყენების გარეშე ფონს ადვილად ვერ გავალთ. ეკონომიკური თეორია, ისევე როგორც ნებისმიერი თეორია, არ შესწევს უნარი ასახოს ცხოვრების მთელი სიმდიდრე და ამიტომ დაშვებებზეა აგებული. ეს დაშვებები რეალურ სამეურნეო ცხოვრებაზე წარმოდგენებს ამარტივებს. მაგრამ ისინი ამავე დროს მთლიანად სამეურნეო ცხოვრების მრავალი თეორიული დებულების უკეთ გაგებაში გვეხმარებიან. ასე ეკონომისტები ჩვეულებრივ უშვებენ, რომ მომხმარებლები თავიანთი შემოსავლების (ეგრეთწოდებული სამომხმარებლო ბიუჯეტების) ფარგლებში მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაქსიმიზებისკენ ისწრაფვიან. სინამდვილეში, ასეთი ქცევა მომხმარებელთა უმრავლესობისათვის არის ტიპური.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია დაშვება „სხვა თანაბარ პირობებში“ (ლათ. – *ceteris paribus*). ის გულისხმობს, რომ განსახილველი ცვლადების ცვლილებისას დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი. ასე, თუ განიხილება ფასების ცვლილების ზემოქმედება საქონლის გაყიდვის მოცულობაზე, მაშინ იგულისხმება, რომ საქონლის ხარისხი, მიდევალთა მოთხოვნები და სხვა დანარჩენი რჩება უცვლელი.

დაშვება ხშირად საშუალებას გვაძლევს

უკეთ მოვხაზოთ, ანუ დავახასიათოთ მოვლენის სახედრები. სწორედ ასე, ეკონომიკაში გავრცელებულია დაშვებები “მოკლევადიან პერიოდში” და “გრძელვადიან პერიოდში” (ან “მოკლევადიან პერსპექტივებში” და “გრძელვადიან პერსპექტივაში”), რომლებიც შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვაგვარად შევხედოდ ეკონომიკურ მოვლენებს და გადაწყვეტილებაც მივიღოთ იმაზე დამოკიდებულების მიხედვით, თუ დროის რომელი პერიოდი განიხილება. ასე, მოკლევადიან პერიოდში ფირმამ შეიძლება განიცადოს დანაკარგები მიუხედავად ამისა არ დაიხუროს, რადგან მისი ზარალიანობის მიზეზები შეიძლება ატარებდეს დროებით, მოკლევადიან ხასიათს. გრძელვადიან პერიოდში ზარალის არსებობა მიგვიყვანს დახურვამდე ფირმის გაკოტრებამდე.

ეკონომიკური ანალიზი შეიძლება განხორციელდეს ეკონომიკური სინამდვილის და მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების აღწერის პოზიციიდან, მაგრამ ის შეიძლება გაკეთდეს რეკომენდაციების შემუშავების პოზიციიდანაც გადაწყვეტილების არჩევის ვარიანტის თაობაზე. ამიტომ ასხვავებენ ეკონომიკური ანალიზის ორ ტიპს: პოზიტიურს და ნორმატიულს.

პოზიტიური ანალიზი მიმართულია ცვლადებს შორის დამოკიდებულების დადგენისკენ და მიზნად ისახავს ამა თუ იმ ცვლადის ცვლილების შედეგის განჭვრეტას. იგი დაკავშირებულია კითხვებზე პასუხის ძიებასთან: „რა სახის დამოკიდებულება გვაქვს მოცემულ შემთხვევაში?“ და „როგორი შედეგი იქნება ერთი ცვლადის შეცვლისას?“ თუკი საუბარია მწარმოებლების ქცევაზე, მაშინ პოზიტიური ანალიზი შემოიფარგლება დამოკიდებულების განსაზღვრით პროდუქციის საბაზრო ფასსა და გამოშვების მოცულობის არჩევანს შორის, აგრეთვე პროგნოზული მტკიცებით ფირმის რეაგირების თაობაზე (მის მიერ გამოშვების მოცულობის შეცვლა) ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით. პოზიტიურ ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილის აღწერასთან და რომელიმე ცვლადის ცვლილების შედეგის პროგნოზულ განჭვრეტასთან, არ აქვს შეფასებითი მსჯელობა მიღებული შედეგის შესახებ. პოზიტიური ანალიზი მხოლოდ აყალიბებს წარმოდგენას ეკონომიკურ ქცევაზე, მაგრამ არ ახდენს მის შეფასებას.

ნორმატიული ანალიზი დაკავშირებულია მიზნობრივი მითითებების შემუშავებასთან და შეფასებითი ხასიათის მტკიცებებთან. მისი არსია განსაზღვროს საუკეთესო ალტერნატიული ვარიანტი, იგი გამოიხატება კითხვებზე პასუხის სახით:

„როგორ უნდა იყოს?“ ან „რა არის უკეთესი?“. მტკიცება, რომ მოქალაქეთა შემოსავლების პროგრესული დაბეგვრა უფრო სამართლიანია, ვიდრე გადასახადის ერთნაირი განაკვეთის გამოყენება, ისევე, როგორც პირუკუ მტკიცება – ნორმატიული ანალიზის აშკარა მაგალითებია. არის რა შეფასებითი შინაარსის მიხედვით, ნორმატიული მტკიცებები ასახავს სუბიექტურ აზრს, ოღონდ იგი ემყარება არა ეკონომიკურ კანონზომიერებებს, არამედ ფასეულობით ნორმებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ადამიანები ნორმატიული ანალიზის პროცესში. მაგალითად, ზემოთხსენებული ნორმატიული მსჯელობის შინაარსი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ აზრს დებენ ცნებაში „სამართლიანობა“. გარდა ამისა, ნორმატიულ მტკიცებას აქვს დანაწესის (მითითების) ხასიათი და არა წინასწარმეტყველების, როგორც პოზიტიურის. ამიტომ არ შეიძლება მისი დამტკიცება ან უარყოფა რეალური სინამდვილის ფაქტებით. თუმცა ნორმატიული ანალიზი საკმაოდ სასარგებლოა როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელშიც ამოცანა დადის მიზნის მიღწევის საუკეთესო ხერხის არჩევამდე მიღებული კრიტერიუმების თანახმად.

პოზიტიურ და ნორმატიულ ანალიზს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. პოზიტიური ანალიზი, ავლენს რა კანონზომიერებებს, გვეხმარება განვსაზღვროთ ნორმატიული მიზნების რეალიზაციის საშუალებების ოპტიმალური არჩევანი. ნორმატიული ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია რეკომენდაციების შემუშავებასთან, ხშირად ხდება საგნის არჩევის მიზეზი პოზიტიური ანალიზისთვის. ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენი ძალიან შორეული წინაპრები არავითარ მეურნეობას არ უძღვებოდნენ. თავის გამოსაკვებად ისინი ეწოდნენ შემგროვებლობას, ნადირობას და თევზჭერას. მაგრამ არსების ასეთი წესი საჭირო რაოდენობის საარსებო საშუალებებს არ იძლეოდა. პირველყოფილი ადამიანი განწირული იყო შიმშილისა და სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობისთვის (40 წელიწადი).

ამ ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალი იპოვეს 10 ათასი წლის წინათ. თუ ცხოველები იმით კმაყოფილდებიან, რასაც ბუნებაში პოულობენ, ადამიანებმა თვითონ ისწავლეს მათთვის საჭირო და სასარგებლო ყველა ნივთის წარმოება. დაიწყო რა სამეურნეო საქმიანობა, მათ მაღალი მატერიალური სულიერი კულტურა შექმნეს. 100 საუკუნის უკან ადამიანებმა მეურნეობის გაძღო-

ლა დაიწყო, რომ თავიანთი თავი უზრუნველყოთ აუცილებელი სასიცოცხლო დოვლათით.


რატომ ეწევა ადამიანი სამეურნეო საქმიანობას? რატომ ინტერესდება ადამიანი ეკონომიკურად, რატომ განაპირობებს ეკონომიკა ადამიანთა შეუცვლელ ინტერესს. მისგან ყველა ელოდება იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომელზეც დამოკიდებულია მისი ცხოვრება და კეთილდღეობა. იმიტომ, რომ „ეკონომიკური ინტერესი“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზეზია, რომელიც უბიძგებს ადამიანებს დაკავდნენ სამეურნეო საქმიანობით და მიიღონ საშუალებები ყოველმხრივი განვითარებისთვის. სწორედ იმიტომ, რომ ეკონომიკის მთავარი დანიშნულებაა – ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის და კეთილდღეობის ამაღლება.

ზემოაღნიშნულ მიზანს აფერხებს ეკონომიკური პრობლემა რომელიც ასე გამოითქმება: სურვილები და საშუალებების შეზღუდვა. „ფეხი ისე გაშალე, საბანი მოგწვდებოდესო“, „წვიმა მოვიდა, მაგრამ ქვეყანას ვერ გასწვდაო“, „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“, „ჭამა ქონებაზე ჰკიდაო“, „თავს ზემოთ ვერ გადახტებო“, „ღორის ყურისგან აბრეშუმის საფულეს ვერ შეკერაო“, „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“. რა ბევრი ანდაზა და სხვა ყოველდღიური გამონათქვამი უსვამს ხაზს ჩვენი სურვილების კერძო შეუსაბამობას მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებთან. საკმარისია დავფიქრდეთ, რამდენი დამატებითი ნივთის ყიდვას შევძლებდით, ჩვენი შემოსავლები უფრო მეტი რომ ყოფილიყო: მოღური ტანსაცმელი, ახალი ავეჯი, პრესტიჟული მანქანა, მოგზაურობა საზღვარგარეთ, ვიდეოკამერა... ამ სიას ბოლო არ უჩანს, რამდენადაც, ეს მოთხოვნილებები რომ დაკმაყოფილდეს კიდევ, აუცილებლად ახალი განდგება.

აი, სწორედ ეს არის ეკონომიკური პრობლემა (economic problem) შეუზღუდავი ანუ განუსაზღვრელი სურვილები და შეზღუდული ანუ განსაზღვრული საშუალებები. ჩვენ ვერასოდეს ვერ დავძლევთ ამ სიძნელეს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევეცადოთ, მივიღოთ რაც შეიძლება მეტი იმისგან, რასაც ვფლობთ, რაც ხელთ გვაქვს, რაც ჩვენს განკარგულებაშია. ე.ი. ჩვენ ყოველთვის ეკონომია (economics) ანუ მომჭირნეობა გვიწევს.

ეკონომიის პრობლემის წინაშე დგანან დიასახლისები, მოსწავლეები, სტუდენტები, მეწარმეები, მთავრობა.

ნახაზი: ეკონომიკური პრობლემა



წყარო: [2, გვ.23]

სხალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ცნობილი ინგლისელი პროფესორი ჯეკ ჰარვეი, “თანამედროვე ეკონომიკური თეორიის” ზოგად კურსში შემდეგს აღნიშნავს: ეკონომიკის მეცნიერება დაკავებულია არჩევანის პრობლემით: ჩვენს ხელთ არსებული რესურსების უკმარისობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია ერთდროულად დავაკმაყოფილოთ ყველა ჩვენი სურვილები და მოთხოვნილებანი, და ამიტომ იძულებულნი ვართ ამოვირჩიოთ (ნახაზი 1). თუკი ჩვენ რაიმეს ვირჩევთ, მაშასადამე რაღაცაზე უარის თქმა, რაღაცის დათმობა გვიწევს. თუკი გაზეთების დამტარებელი თავის საშობაო ფულად საჩუქრებს ველოსიპედის საყიდლად დახარჯავს, მაშინ მას, ალბათ პნევმატური თოფის გარეშე დარჩენა მოუწევს, თუმცა ისიც უნდა რომ ჰქონდეს. მუშაკი, რომელიც თანხმდება შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო სადილის შემდეგ შაბათს, თავისუფალ დროზე, ფეხბურთის მატჩის ყურების შესაძლებლობაზე ამბობს უარს. როდესაც ფერმერი მთელ მინდორში ხორბალს თესავს, იგი იქ ჭვავის დათესვაზე ამბობს უარს. იგივე პრობლემების გადაჭრა უწევთ ქვეყნებს მთლიანად. თუ საჭიროა დამატებითი მასალები და კაპიტალი საცხოვრებელი სახლების, გზებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის, მაშინ ნაკლები რესურსები დარჩება ახალი ოფისების, ელექტროსადგურების, სპორტული ცენტრების და ა.შ. მშენებლობისათვის. რაღაცის მიღება ნებისმიერ სფეროში რაღაც სხვა რაიმეზე უარის თქმას ნიშნავს. ამიტომ ჩვენ

ვლაპარაკობთ ალტერნატიულ დანახარჯზე (opportunity cost), ე.ი. რაღაც სხვა რაიმეს ღირებულებაზე, რომელზედაც უარის თქმა გვიწევს (უფრო ზუსტად, სხვა უკეთეს ვარიანტზე). პრაქტიკაში ეკონომიკური პრობლემა ნიშნავს არა იმდენად სრულ უარს ერთ საქონელზე მეორის სასარგებლოდ, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღებას ცოტა დიდი რაოდენობით მეტი ერთი საქონლის და ცოტანაკლები რაოდენობის მეორე საქონლის არჩევის შესახებ.

მხოლოდ მცირე დოვლათია იმდენად დიდი რაოდენობით, რომ მისთვის არცერთი ადამიანი არცერთ თეთრს არ გადაიხდის. ერთ-ერთი ასეთი დოვლათია ჰაერი. კიდევ ერთი მაგალითი: ზოგიერთ წლებში ყურძნის ან ვაშლის მოსავალი იმდენად დიდია, რომ ბაღების მფლობელები ყველა მსურველს სთავაზობენ: “აიღეთ, რამდენსაც შეძლებთ”-ო. ასეთ დოვლათს ეწოდება უფასო (ფრეე). მაგრამ დოვლათის უმეტესობა იშვიათ (სცარცე) დოვლათს მიეკუთვნება, ე.ი. ის შეიძლება მივიღოთ მხოლოდ რაიმეზე უარის თქმით. თუ გვინდა რომ მას დავეუფლოთ, მოგვიწევს ეკონომიის გაწევა, ამიტომ მას ეკონომიკურ დოვლათსაც (ეკონომიც გოდოს) უწოდებენ. თუმცა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი საზღვარი ეკონომიკურ და არაეკონომიკურ დოვლათს შორის არ არსებობს. იშვიათობა უმეტესად მოთხოვნაზე დამოკიდებული.

ამგვარად, დოვლათს ეწოდება ეკონომიკური,

თუ მისი დაუფლება სუბიექტისათვის სხვა დოვლათის დაუფლებაზე უარის თქმის შედეგია. მაგალითად, ატმოსფერული ჰაერი ეკონომიკური დოვლათი არაა, ხოლო ჰაერი კონდიციონერით, ჰაერის გამასუფთავებლებით აღჭურვილ შენობაში, ეკონომიკური დოვლათია – მისთვის გადახდა მოგვიწია. იგივე შეიძლება ითქვას ნაკადულის წყლის მილსადენის წყალთან შედარებისას. რამდენადაც მილსადენის წყალი ცუდი არ უნდა იყოს ხარისხით, ვიდრე ნაკადულის, მხოლოდ ის არის ეკონომიკური დოვლათი. მისი საჭირო დროს და საჭირო ადგილზე მიწოდება მილსადენის გაყვანის, წყალსაქანი სადგურების მშენებლობის, წყლის გასუფთავების ნაგებობათა, კანალიზაციის სისტემის დანახარჯების შედეგია.

- შედარებითი ანალიზის მეთოდი.
- მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი.
- გრაფიკული გამოსახვის მეთოდი.
- ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი.

გამოყოფენ ეკონომიკის შემდეგ მეთოდებს:

შედარებითი ანალიზის მეთოდი ნიშნავს კერძო და ზოგადი ეკონომიკური მანქანებლების შედარებას, მათ შეჯერებას საუკეთესო შედეგების მიღების მიზნით.

ნებისმიერი მეწარმე ვალდებულია შეადაროს თავისი ფირმის ხარჯები კონკურენტის ხარჯებს, განიხილოს თავისი მოდერნიზაციის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები. რა არის უფრო ხელსაყრელი, ცენტრალიზებული საინვესტიციო ფონდის ფორმირებისათვის საწარმოს მოგების დაბეგვრის მაღალი ნორმის დადგენა თუ მისი შემცირება, რითაც საწარმო თვითონ გაიფართოებს საინვესტიციო მოდერნიზაციის მოცულობას, კარგად ცნობილი მიდგომა 'ხარჯები - შედეგები', ძირითადად შედარებითი ანალიზის მეთოდზეა დაფუძნებული.

მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი გულისხმობს ეკონომიკურ მოვლენათა შეცნობის პროცესში ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენებისაგან განყენებას და საგნის ან მოვლენის მთავარი ჯგუფის გამოყოფას.

მაგალითად, მოთხოვნის კანონის ახსნისას ანალიზდება მხოლოდ მოთხოვნისა და ფასის ურთიერთდამოკიდებულება, დანარჩენ პირობებს (ფასების სახელმწიფო პოლიტიკა, ბაზრის შევსების დონე, შინაგანი და საგარეო კონკურენციის მოქმედება, ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) ყურადღება არ ექცევა. მთავარი ფაქტორის დადგენის შემდეგ აბსტრაქცია ივსება დროებით გაუთვალისწინებელი ფაქტორების შე-

საბამისი თვალთახედვით ჩატარებული კვლევით.

ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება გრაფიკული გამოსახვის მეთოდი. იგი გვეხმარება სხვადასხვა ეკონომიკური მანქანებლების თანაფარდობის აღქმაში, ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებების გავლენის შედეგად მათი "ქცევის" შეფასებაში. მაგალითად შეიძლება ავიღოთ ლაფერის მრუდი, რომელიც გამოხატავს საბიუჯეტო შემოსავლების დამოკიდებულებას გადასახადებთან. გრაფიკული გამოსახვა ძალზე მოხერხებულია მიკროანალიზისათვის. მას აქვს ერთი თავისებურება: ეკონომისტები ხშირად ცვლიან ცვლადების მდებარეობას და აბსცისთა ღერძე ათავსებენ დამოკიდებულ ცვლადს, დამოუკიდებელს კი - ორიდინატთა ღერძზე, როგორც, მაგალითად, ლაფერის მრუდზე.

ამგვარად, გრაფიკული გამოსახვის მეთოდი გვეხმარება ნათლად წარმოვიდგინოთ ეკონომიკური სიტუაციების განვითარება, ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობას გვაძლევს საბოლოო სიზუსტით გამოვხატოთ დამოკიდებულება ეკონომიკურ პარამეტრებს შორის.

ეკონომიკური პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის მძლავრ თანამედროვე მეთოდს წარმოადგენს მათემატიკური მოდელირების მეთოდი, ე.ი. ეკონომიკური მოვლენის აღწერა ფორმალურ-ზეპულ ენაზე მათემატიკური სიმბოლოებისა და ალგორითმების დახმარებით. ჯერ-ერთი, ასეთი კომპაქტური წარმოდგენა ამადლებს რთული ეკონომიკური პრობლემების თვალმისაწვდომობას, აფართოებს შექცევების სფეროს და ხშირად ახალ წარმოდგენას გვაძლევს ეკონომიკის ობიექტურ კანონზომიერებაზე. მეორეც, მათემატიკური მოდელი გასაგებია ელექტრონულ გამოთვლელი მანქანისათვის (ეგმ), რომელიც თავს უყრის აურაცხელ მონაცემებს, ფორმალური ლოგიკის კანონებზე დაყრდნობით, სტატისტიკისა და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ეკონომისტებს განუმეორებელ ანალიტიკურ შესაძლებლობებს აძლევს, ურთულესი გათვლების შედეგად მიანიშნებს მათ ისეთი შეფასებებისა და დასკვნების შესახებ, რომლის მიღწევა ადრე შეუზღებელი იყო. გარდა ამისა გადაწყვეტილებათა დაგრივებისა და პრაქტიკულ შედეგებთან მათი შედარების შედეგად, კომპიუტერს შეუძლია მათემატიკური წესებით შეცდომებში კანონზომიერება აღმოაჩინოს და შეიტანოს კორექტურა გათვალისწინებულ რეკომენდაციებში.

მაგრამ მიღებული შედეგების სარწმუნოობა უპირველეს ყოვლისა მათემატიკური მოდელის რეალური ეკონომიკური პროცესებისადმი ადექვა-



ტურობაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის ყოველი პირობითი აღნიშვნა მოვლენათა აღწერისა და გამოთვლების სიმარტივისაგან გამომდინარეობს, მან უნდა ასახოს მკვლევარისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები და ეკონომიკური პროცესების განვითარების კანონები. თუ ამას მივადევნებთ, მაშინ მიღებული მოდელი იქნება ჰომოფორული, ანუ ისეთი, რომელიც აღწერილი მოვლენებისა და პროცესების რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ სურათს იძლევა. მოდელის ჰომომორფულობა (ბერძ. ჰომოს - თანაბარი, ერთგვაროვანი და - მორპჰე სახე, წარმოშობა) მიიღწევა ეკონომიკური ობიექტის სისტემური ანალიზის მეთოდით, რომლითაც განისაზღვრება მისი მთლიანობის საზღვრები, არსებით (ყველაზე გავლენიანი) მახასიათებლები და მათი ცვლილების დიაპაზონები.

თანამედროვე ეკონომისტი მათემატიკური მოდელირებისას სისტემურ ანალიზს გვერდს ვერ აუვლის, როცა ობიექტი ან მოვლენა განიხილება როგორც გარეშე წრისაგან განცალკევებული ელემენტების მთლიანი ერთიანობა. სისტემიდან ელემენტის ამოღება მკვლევარის აზრით ისე ცვლის მის მნიშვნელოვან თვისებებს, რომ იგი ორიგინალობას კარგავს და სხვა სისტემად გადაიქცევა. სისტემის მთლიანობის უზრუნველყოფა ხდება მისი განვითარებისა და ელემენტებს შორის მყარი ურთიერთქმედებების (კავშირების) მიზნით. ამგვარად, მკვლევარის სუბიექტური შეხედულება სისტემას გარემოსაგან განაცალკევებს მასში იმ ელემენტების გამოყოფით, რომელთა გარეშე იგი ვერ იარსებებს და ადგენს მათ შორის კავშირებს, ე.ი. რეალური ობიექტი ყველა არაარსებითისაგან იწმინდება. თუ ელემენტის სახით არჩეულია ეკონომიკური ფაქტორი, მასინ მისი სიდიდის ცვლილებამ გავლენა უნდა მოახდინოს სისტემის საერთო მახასიათებლების ცვლილებაზე, რომელიც არგუმენტის სახით არის მიღებული. ელემენტების და არგუმენტის პარამეტრების ცვლილებათა დიაპაზონი არსებობის სფეროთია (გარემოთი) შემოსაზღვრული. კავშირები გამოიხატება ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა სახით; მათი მათემატიკური გამოსახვა განტოლებათა პაკეტს (სისტემას) გვაძლევს, რაც საკუთრივ ეკონომიკური კავსირების მატემატიკურ მოდელს წარმოადგენს.

ეყრდნობოდა რა ინგლისელი მეცნიერების, დიდი პოლიტეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილს, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ედუარდ ფრიმანის და სხვათა მოძღვრუ-

ბებს, ილია ჭავჭავაძემ ეკონომიკური კვლევის მეთოდები შემდეგნაირად დააღაგა: - “შედარებითი მეთოდი”. - აზრის ადვილად გადაცემა და “საბუთიანობა”. - ავტორიტეტების დამოწმება. - საფეხურებრივი კვლევა. - საქმის “შინაგანი აკვარგიანობის” შესწავლა. - სისტემური კვლევის მეთოდი. - სტატისტიკური მასალებისადმი მიდგომა. - სიმართლეზე და არა უმრავლესობაზე, ან უმცირესობაზე, დაყრდნობა. - აბსტრაქტული აზროვნების მნიშვნელობა. - ეკონომიკური კვლევის გამოყენებითი დანიშნულება.

ეყრდნობოდა რა ინგლისელი მეცნიერების დიდი პოლიტეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილს, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ედუარდ ფრიმანის და სხვათა მოძღვრებებს, ილია ჭავჭავაძემ ეკონომიკური კვლევის მეთოდები თავისებური მიდგომით ასე დააღაგა: - “შედარებითი მეთოდი”. - აზრის ადვილად გადაცემა და “საბუთიანობა”. - ავტორიტეტების დამოწმება. - საფეხურებრივი კვლევა. - საქმის “შინაგანი აკვარგიანობის” შესწავლა. - სისტემური კვლევის მეთოდი. - სტატისტიკური მასალებისადმი მიდგომა. - სიმართლეზე და არა უმრავლესობაზე, ან უმცირესობაზე, დაყრდნობა. - აბსტრაქტული აზროვნების მნიშვნელობა. - ეკონომიკური კვლევის გამოყენებითი დანიშნულება. [6, გვ.42-63].

დღეს მეცნიერები ყველაზე მისაღებად მეთოდოლოგიურ პლურალიზმს მიიჩნევენ. ამიტომ არ შეიძლება ერთი ხელის ადებით რომელიმე მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება. უნდა გამოვიყენოთ ყველა ის მეთოდი, რომელიც მოპოვებული მასალების ანალიზს ხელს შეუწყობს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შედარებითი ანალიზის მეთოდი, მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი, გრაფიკული გამოსახვის მეთოდი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი და სხვა. როგორც იტყვიან, მესხიერება თარიღებითა და ფაქტებით უნდა გააჯერო და მაშინ შეძლებ შენი წინა ისტორიის შეფასებას, უფრო ზუსტად კი – გადაფასებას. თავის დიდებულ წიგნში – “ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია” (თბილისი, 2003), ცნობილი ქართველი პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი აღნიშნავდა: “ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის მასალას თუ თეორიის ნისლით დავაბნელებთ, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. როგორც ი. გოეთე იტყოდა, უფერულია აქ თეორია, მაგრამ ცხოვრების ოქროს ხე კი მარად მწვანეა. თეორია ფაქტებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს”.

ეკონომიკის საგნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიომეურნეობრივი

მოვლენებისა და პროცესებისადმი სისტემურ მიდგომას. ამ მეთოდის თანამედროვე ენითა და მიდგმებით გაგებას ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სტატია – “სისტემური მიდგომა, სისტემური აზროვნება და მართვის საკითხები”. სხვადასხვა პრობლემის მიმართ სისტემური, მთლიანობითი მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად და ყოველმხრივ შევისწავლოთ პრობლემა, გამოვყოთ პრიორიტეტები და მოვახდინოთ სისტემის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია. მაგალითად, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემოლოგია ვითარდება ისეთი მეცნიერებების შესაყარზე, როგორებიცაა პოლიტოლოგია, სამხედრო მეცნიერება, სოციოლოგია, ინფორმატიკა, ეკოლოგია, ეკონომიკა.

დღეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სისტემური კრიზისების ხანაში, სისტემური მიდგომის მნიშვნელობა იზრდება, ვინაიდან ამ კრიზისებს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მათთან ბრძოლის სისტემური მეთოდები. ქვეყნის ეროვნული ინტერესების მიმართ სისტემური მიდგომა ქვეყნის აღორძინებისა და მისი ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. ამ მიდგომის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლობალური პრობლემების შესწავლისას. ამ პრობლემებს (ეკოლოგიურს, სოციალურს, ეკონომიკურს, სამხედროს, ტექნოგენურს, უშიშროებისას) და მათს სისტემურ გააზრებას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ისინი იმდენად კომპლექსური ხასიათისაა, რომ მათი გადაწყვეტის მცდელობა დადებით შედეგს არ მოგვცემს, თუ ერთდროულად არ მოვახდინებთ ზემოქმედება ამ სისტემის მრავალ პარამეტრზე.

თუ ახალ ობიექტს ვიკვლევთ და ამისათვის არ გვეოფნის არსებული მოდელები, მაშინ სისტემური აზროვნება, მთლიანობით მიდგომა, ინტუიცია და ფარული (მიდმური) ცოდნა გვეხმარება შევიმუშაოთ ახალი, უფრო ეფექტიანი მოდელები. მეცნიერებას არ გააჩნია საზომი, რომლითაც სისტემური აზროვნების დონეს გაზომავდა, მაგრამ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სისტემურმა აზროვნებამ უკვე მიაღწია განვითარების იმ საფეხურს, როდესაც ადამიანი მის ხელთ არსებული კოგნიტური(შემცენებითი) მოდელების გამოყენებით ახერხებს ჩასწვდეს რთული ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქიკური თუ სხვა პრობლემების არსს (თვისებრიობას).

იმისათვის რომ სწორი აქცენტი გავაკეთოთ, როდის უნდა ჩავერიოთ ეკონომიკაში და როდის არ უნდა ჩავერიოთ, საზოგადოების მთავარ დი-

რეზულტებით ორიენტირებს უნდა ვეყრდნობოდეთ. მიმდინარე წლის მარტში მოეწყო კონფერენცია: “მაღალი დონის შეხვედრა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად”, სადაც აღნიშნულ საკითხებს კიდევ ერთხელ ნათელი მოეფინა. კონფერენციის მსვლელობა 2015 წლის 16 მარტს საქართველოს ტელევიზიის “2” არხის პროგრამაშიც “ბრიფინგის დრო” ადაიცა. ნიშანდობლივია, რომ კონფერენციაზე გამომსვლელები ეკონომიკაში ჩარევის საკითხსაც შეეხნენ.

საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერმა, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავრემ, მანანა კობახიძემ, განაცხადა: ”დღევანდელი შეხვედრა, კონფერენცია, სწორედ ეძღვნება საკანონმდებლო ცვლილებებს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისთვის, გააქტიურებისთვის. მეტი ქალი პოლიტიკაში, მეტი ქალი პარლამენტში. აი ეს არის ის დევიზი, რომლითაც სწორედ არის გამსჭვალული დღევანდელი დონისძიება და მე ვიტყვოდი, რომ ნამდვილად უპრეცედენტოა დღევანდელი კონფერენცია, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დეპუტატები, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, საელჩოები, ყველანი ერთად ვსხდებით მაგიდასთან, იმისთვის, რომ ვიფიქროთ, თუ როგორ შევუწყოთ ხელი ქალთა მონაწილეობის გაზრდას პოლიტიკურ ცხოვრებაში, რა ინსტრუმენტების გამოყენებით...” კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილიმა აღნიშნა: “ქართულ რეალობაში, ქართულ სინამდვილეში, ბევრად მეტი ქალი უნდა იყოს ჩართული მაღალ თანამდებობაზე. ... ეს ჭეშმარიტება ჩვენ არ გამოგვივინია. ქვეყნებში, სადაც ქალთა მონაწილეობა არის უფრო მაღალი, ბევრად უფრო სტაბილური, კონკრეტულ მიზნებზე, კვალიფიციურ გადაწყვეტაზე ორიენტირებული პოლიტიკაა. ეს არის ფაქტობრივი რეალობა... ჯერ კიდევ არ გვაქვს სასარგებლო სტატისტიკური დონე... განვითარებადი ქვეყნების მმართველობის სისტემაში ქალბატონების წარმოდგენა 40%-მდეა. ამისკენ დინამიურად უნდა მივისწრაფვოდეთ.... “მომხრე ვარ.... ჩვენ შემოვიდეთ კვლიერების სისტემა.... ნაბიჯი აქვთ უნდა გადავდგათ.... გარეთ ვსაუბრობდით და მე ამისიც მჯერა, რომ მე-5 პრეზიდენტი საქართველოში, კარგი იქნება რომ ქალი იყოს და ამის მიმართულებითაც კარგი იქნება რომ ნაბიჯები გადავდგათ ერთად...” ყველამ განსაკუთრებული ინტერესით მოისმინა საქართ-



ველოს პარლამენტის თავრის დავით უსუფაშვილის მოსაზრებები: “მინდა მაინც ყურადღება გავამახვილო ამ ტიპის ინიციატივებზე, იმიტომ რომ სწორედ ასე ხდება თემის და საკითხის გააზრება და ასე ხდება საზოგადოების დონეზე ამა თუ იმ ღირებულების, ამა თუ იმ სტანდარტის, ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების გააზრება და მოფიქრება. ეს უნდა გავითვალისწინოთ რეალურ ცხოვრებაში. რაც შეეხება საკითხის შექმნილობას, მე მინდა მოგახსენოთ, რომ ვარ კვლევების წინააღმდეგი. მაგრამ, მინდა ამასობაში მოგახსენოთ, რომ მე ვარ თანასწორობის მომხრე და თუ ვხედავ რომ თანასწორობა ვერ მიიღწევა კვლევების გარეშე, მე მაშინ ვხდები კვლევების მომხრე. მე მგონი ასე უნდა დავინახოთ ჩვენ საკითხი, ასე უნდა დავინახოთ ჩვენ ეს თემა და არა ვაქციოთ იგი იდეაფიქსად, ან რაღაც ისეთ თემად, რომ კვლევები კარგია თუ ცუდია. ცუდია კვლევები, სირცხვილია კვლევები. რაზე ვსაუბრობთ, რა

თქმა უნდა ეს არ არის კარგი, მაგრამ, ჩახელოთ სისხლის სამართლის კოდექსს. სირცხვილი არ არის რაც იქ გვიწერია? ქურდობა არ შეიძლება, ამას კანონში სჭირდება ჩაწერა? განა არ ვიცით, რომ არ შეიძლება, და მკვლელობა, და ასეთი ამბები. ძალიან ბევრი რამეა არასწორი და ცუდი, მაგრამ რეგულირდება კანონით. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც სამწუხაროდ აუცილებელია საკანონმდებლო ჩარევა. მე გარდა იმისა, რომ წინააღმდეგი ვარ კვლევებისა და მომხრე ვარ თანასწორობის, კიდევ ყველაზე უფრო მომხრე ვარ თავისუფლების. ნებისმიერი კანონი ეს არის თავისუფლების შეზღუდვის ახალი მექანიზმი, ეს ვიცით. მაგრამ ამასობაში კარგად ვიცით, რომ თუ კანონით რაღაცეები არ შევზღუდეთ, მაშინ ჩვენი ნანატრი თავისუფლება ვერასოდეს ვერ მიიღწევა...” სწორედ ცხოვრებაში ასეთი ჩარევა უნდა მივიხილოთ ჭეშმარიტ მიმართულებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, თბ. 2008.
2. Харвей Дж. Современная экономическая теория, Ж Пер. с англ - МЖ ЮНИТИ - Дана, 2003.
3. Борисов Е.Ф. Основы экономики, М. 2009.
4. ვეშაპიძე შ., ასლამაზიშვილი ნ., თურნავა ნ. ელემენტარული ეკონომიკა. მეორე, შესავსებელი და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 1998.
5. გვიშიანი ზ. ეკონომიკა: სტრუქტურულ-ლოგიკური სქემები. დამხმარე სახელმძღვანელო. გამომცემლობა “მერიდიან”, თბილისი, 2014.
6. შ. ვეშაპიძე, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები თბ., 1999, გვ.42-63
7. ფრანგიშვილი ი. სისტემური მიდგომა, სისტემური აზროვნება და მართვის საკითხები. “კომენტარი” №1, ზამთარი, 2003-2004, 01.12.03-29.02.04.
8. Гробнев Л.С., Нуреев Р.М. Экономика. Курс основ: Учебник М.: Вита-Пресс, 2000.
9. Козырев В.М. Основы современной экономики: Учебник, -2-е изд., перераб. и доп. -М.: Финансы и статистика, 2000.
10. მოვსესიანი ა., ოგნიცვეი ს. მსოფლიო ეკონომიკა ტ.1 თბ., 2003

Economic science teaching methodology: what should be considered as the right direction of interference in life, or what can and what can not be done

Shota Veshapidze,
Doctor of Economics, Professor

To determine what can and what can not be done in the economy, requires overall understanding of economic science teaching methodology a focus on the subject of economics and functions, reporting levels. Economic theory of the system, subject to various interpretations, the basic functions, levels of economic analysis, the relationship between economic laws and principles, the role of assumptions, positive and normative analysis, in the main role of economic activity, the main economic problems, the limitations of unlimited desires and their satisfaction. Economic methods, is also important. The economic study will help us determine what it is worth to state intervention in the economy, somehow division the “efficiency” and “fairness” is an illusion.

Needed to achieve the most important participants in the economic freedom. To do this, we need to be, say, a “quota” that is opposed to interference in the economy, while at the same time in favor of equality. If we see that equality can not be achieved without quotas, then we must support “quotas,” or interference in the economy.

Like the neo-liberals justified by the principle: “the competition wherever possible, regulation, wherever necessary,” be used as the main operating principle: “quotas everywhere where it is necessary, and avoided wherever possible”.

საქალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში



აკაკი ცერცვაძე

წმინდა ანდრი პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის
აკადემიური უმაღლესი განათლების
მესამე საფეხურის დოქტურანტურის) სტუდენტი
ტელ: 595 08 00 88
atsertsvadze@geo.gov.ge

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს, მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რამდენადაც ისინი ასოცირდებიან ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან. ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან და მზარდ როლს გლობალური ბიზნესის განვითარებაში.

უზრუნველყოფს ადგილობრივ ფირმებს ახალი ბაზრებით და მარკეტინგული არხებით, იაფი წარმოების საშუალებებით, აძლევს ხელმისაწვდომობას ახალ ტექნოლოგიებზე, წარმოებასა და ფინანსებზე, ყოველივე აღნიშნული კი შესაბამისად ასტიმულირებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ნებისმიერი ტიპის დაფინანსება განხორციელებული მშობელი კომპანიის მიერ არარეზიდენტ შვილობილ ფირმაში, განისაზღვრება, როგორც უცხოური პირდაპირი ინვესტიცია და პირიქით, არარეზიდენტ შვილობილი ან ასოცირებული კომპანიების, ასევე ფილიალების მხრიდან მიმართული ნებისმიერი დაფინანსება რეზიდენტ მშობელ ფირმებში განიხილება, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება. საინვესტიციო ინსტრუმენტების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემადგენლობაში შედის:

- კომპანიების მიერ უცხოეთში საკუთარი კაპიტალის დაბანდება: ფილიალების კაპიტალი და ასევე შვილობილი ან ასოცირებული კომპანიების აქციებში არსებული წილი;
- მოგების რეინვესტირება: პირდაპირი ინვესტორის წილი საწარმოს მოგებაში, რომელიც არ ნაწილდება დივიდენდების სახით და არ გადაირიცხება პირდაპირი ინვესტორის ანგარიშზე.
- კაპიტალის შიდაკორპორაციული გადარიცხვები: ის, როგორც წესი, ხორციელდება, ერთი მხრივ, პირდაპირ ინვესტორსა და მეორე მხრივ, შვილობილ ან ასოცირებულ კომპანიებს

შორის, ასევე ფილიალებს შორის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოკვლევების მიხედვით კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებში პირდაპირი ინვესტიციების როლი უფრო იზრდება.

• 2000-იანი წლების დასაწყისისთვის მათი წილი შეადგენდა 15%-ს, 1990-იანი წლების დამდეგს - 30%-ს (73, გვ. 6). მათი ნაკადების უდიდესი ნაწილი მოემართებოდა ევროპიდან და აშშ-დან, ამავე პერიოდში პირდაპირი ინვესტიციების მოდინების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე აშშ გავიდა.

• 2000-2001 წლებში წამყვანი პირდაპირი ინვესტორი იყო ნიდერლანდი, რომელსაც მოჰყვებოდა დიდი ბრიტანეთი, კანადა, გფრ, იაპონია რაც სწრაფად ზრდიდა აშშ-ში დაბანდების ტემპს.

• შემდეგ ინვესტიციის მსხვილმა ნაკადებმა ჩინეთისკენ დაიწყო დინება, მეტწილად ერთობლივ საწარმოებში და 13 მლრდ დოლარს გადააჭარბა. აქედან 60% მოდიოდა აშშ-ზე, ხოლო 91% კი ნაწილდებოდა შემდეგ ქვეყნებზე – იაპონია, გფრ, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი და კანადა.

• XXI საუკუნის დასაწყისში კაპიტალდაბანდების სხვა ფორმებთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შედარებით სტაბილურ ინვესტიციათა ნაკადებს წარმოადგენდა, ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს შიდა საინვესტიციო პოლიტიკის გატარება იმისათვის, რომ შეემცირებინათ შეზღუდვები უცხოურ კაპიტალზე და მაქსიმალურად გაეზარდათ მოგება ქვეყანაში უცხოელ ინვესტორთა არსებობით.

• XXI საუკუნის დასაწყისში იაპონია გახდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყარო, როცა მისმა ინვესტიციებმა შეაღწია აზიის განვითარებად ქვეყნებში. ბოლო



20 წლის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი ნაკადები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

• 2000 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მიაღწია მაქსიმალურ მოცულობას – 1,3 ტრლნ დოლარს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკური ზრდა განვითარებად ქვეყნებში გამოწვეული იყო მაღალი სასაქონლო ფასებით და საფონდო ბაზრების კარგი მაჩვენებლებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლასიფიკაციის მნიშვნელოვან ნიშნად გვევლინება მათი დაყოფა მიმართულების (როგორც აქტივების, ასევე პასივებისთვის), საინვესტიციო ინსტრუმენტების (აქციები, ობლიგაციები და ა.შ) და სექტორების მიხედვით.

მიმართულების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს ყოფენ შემავალ და გამავალ ნაკადებად.

• შემავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს უცხოური კაპიტალის დაბანდებას ადგილობრივ რესურსებში. ასეთი ტიპის ნაკადებს ასტიმულირებს საგადამხდელი შეღავათები, სუბსიდიები, დაბალი საპროცენტო სესხები და გრანტები, თუმცა ამ შემთხვევაში გარკვეულწილად შეზღუდულია უცხოელი ინვესტორის საკუთრების უფლება.

• გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დროს კი პირიქით, ადგილობრივი კაპიტალია დაბანდებული უცხოურ რესურსებში. გამავალი ინვესტიციების მასტიმულირებელ ფაქტორად მიჩნეულია სახელმწიფო დაზღვევარისკების არსებობის შემთხვევაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ბიზნესის სუბსიდირება გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის შემაფერხებელ და არასასურველ ფაქტორად განიხილება, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ინვესტორი უპირატესობას ანიჭებს, დააბანდოს კაპიტალი ადგილობრივ ბაზარზე, რაც ამცირებს გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასოცირდება არა მარტო ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან ქვეყანაში, არამედ განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს ცოდნა, მართვის თანამედროვე პრაქტიკა, პროდუქციის დიზაინი, ხარისხის მახასიათებლები, ბრენდი, პროდუქციის მარკეტინგის საერთაშორისო არხები და ა.შ. შესაბამისად, ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის გლობალური წარმოების ქსელში ინტეგრაციას,

რომელიც, თავის მხრივ, წარმატებული საექსპორტო სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით სარგებლობს არა მარტო ადგილობრივი წარმოება, არამედ მომხმარებლებიც, ის მასპინძელ ქვეყნას გადასცემს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას, ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებით და ბუნებრივი რესურსებით. ეხმარება დარგებს, საერთაშორისო დონეზე გახდეს კონკურენტუნარიანი, აფართოებს საექსპორტო ბაზრებს, უზრუნველყოფს პროდუქციის და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ზრდის სამუშაო ადგილებს. თუ გავითვალისწინებთ ყველა აღნიშნულ დადებით თვისებას ჩვენი აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, მათ შორის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის. გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ინვესტორისათვის უფრო მომგებიანია იაფი რესურსების გამო წარმოება საზღვარგარეთ განალაგოს ვიდრე აწარმოოს საქონელი და მომსახურება ბაზირების ქვეყანაში და იქიდან განახორციელოს ექსპორტი საგარეო ბაზრებზე. უცხოური ინვესტიციებისთვის მიმღები ქვეყნის მიმზიდველობა განისაზღვრება ბუნებრივი რესურსების სიუხვით, გარდა ამისა, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით, როგორცაა, მაგალითად, ბაზრის ზომა და სტრუქტურა, ბაზრის ზრდის პერსპექტივები და განვითარების ხარისხი, კულტურული, სამართლებრივი, ინსტიტუციური გარემო და შიდა პოლიტიკა. საინვესტიციო პოლიტიკის შეფასებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინვესტირება მოტივაციის მიხედვით. მოტივაციის მიხედვით კლასიფიკაციისას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საფუძვლად უდევს სამი ძირითადი მოტივი, ესენია:

- ბუნებრივ რესურსებზე;
- უცხოურ ბაზრებზე და
- ეფექტიანობაზე ორიენტირებული მოტივი.

განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორიენტაციამ გადაინაცვლა რესურსებსა და ბაზრებზე ორიენტირებულიდან ეფექტიანობაზე ორიენტირებულისკენ. გლობალიზაციის პროცესის ზემოქმედებამ განაპირობა ტეკ-ის მიერ მათი წარმოების პროცესის გადატანა დაბალი დანახარჯების მქონე განვითარებად ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, ინდუსტრიულად განვითარებადი ქვეყნებისგან

განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯერაც ძირითადად მიმართულია ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისა და ეროვნული და რეგიონული ბაზრების ხელმისაწვდომობისკენ. მასპინძელი ქვეყნის მთავრობებმა აუცილებელია უზრუნველყონ მათ ეკონომიკაში არამობილური აქტივების ისეთი უნიკალური კომპლექტი, რომელიც შეესაბამება ეკონომიკური საქმიანობის იმ ტიპს, რომლის მოზიდვა და შენარჩუნება სურთ მათ ქვეყნის შიგნით. საერთო პროგრესი გარდამავალ პროცესში, განსაკუთრებით ინსტიტუციური განვითარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციათა შემოდინების

ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. ფართო გაგებით, ინსტიტუციური განვითარება გულისხმობს საზოგადოებაში სუფთა თამაშის წესების დაარსებას. ეს უკანასკნელი მოიცავს ნორმატიული და მარეგულირებელი სტრუქტურების და საქმიანობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურ სოციალურ ქცევას. განსაკუთრებით აუცილებელია საბაზრო ინსტიტუტების განვითარება. ეფექტიანი ბაზრები დამოკიდებულია აღნიშნულ მხარდამჭერ ინსტიტუტებზე, რომელთაც შეუძლიათ საბაზრო ეკონომიკის ფორმალური და არაფორმალური თამაშის წესების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაშვილი შ, კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბ.2009
2. კაკულია ნ, ინსტიტუციური გარემოს სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ჟურნალი "ეკონომისტი", #2, 2009
3. კვარაცხელია დ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდენციები, შედეგები და პერსპექტივები, ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა", #2, 2007
4. კვარაცხელია დ, გლობალიზაცია და ეროვნული წარმოება, საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, გამომც. "უნივერსალი", თბ., 2008
5. მესხია ი, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები, ჟურნალი "ეკონომისტი", N#2, 2009

Foreign direct investment as an important source of capital inflows in Georgia

Akaki Tsertsvadze
 Saint Andrew the First-Called Georgian University
 the third stage of Academic Education
 (Doctoral degrees) student

The Foreign Direct Investments are Interdependent national economies increases the driving force and its study and analysis of the actual problem. The international investment activity is an important form of global business, whereby foreign companies investing capital in different countries. The foreign direct investment stand as liberal, the open economic system as an integral part and a catalyst for its development. In recent years, the trend seems to be world countries, the national economic system, especially in developing countries, is aimed at increasing the flow of investments. It is also obvious that it is necessary for the development and modernization of the economy maximum use of the capabilities of the environment that determines the effectiveness of this process. It is also evident that the Ministry of Economic Development and Modernization is required Maximum use of the opportunities and Create an environment that determines the effectiveness of this process. Relevance of the problem in the modern scientific - practical literature, is widely considered the principles to be implemented in practice will help to attract foreign investment and create a favorable investment climate in the country. The Post Soviet Georgia in the way of development of the national economy turned out to be quite interesting. Something that so far the scientists - economists studying the theoretical sources and based on the experience of other countries, the situation in our country today. The rapid pace of economic governance reform, Signing the contract of association with the EU has already become a historical fact. Enacted in Georgia - EU trade relations to an entirely new dimension of deep and comprehensive free trade area, It is a real prospect and taken effective steps for the harmonization with the EU legislation and then the reality of their implementation.



საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი – რეალობა და პერსპექტივები

ლაშა ტაბატაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნოვერ-
სიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის
დოქტორანტი
l_tabatadze9@yahoo.com

აღამიანურ კაპიტალს უდიდესი როლი გააჩნია ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ, ხარისხიანი უმაღლესი განათლება კონკურენტუნარიანი სახელმწიფოს ფორმირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. განათლების სფეროში მეტი ინვესტიციების მოზიდვა და დაბანდება – მნიშვნელოვნად შეცვლის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს.

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მართვის ახალი სისტემის ფორმირება 2004 წლიდან იღებს სათავეს, მაშინ როდესაც ქვეყანაში მიღებული იქნა კანონი „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, ხოლო მომდევნო წელს ქვეყანა ბერგენის სამიტზე ოფიციალურად უერთდება ბოლონიის პროცესს და ქვეყანაში ჩნდება უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირების ახალი პარადიგმები.

დღეს უადრესად აქტუალურია ისეთი საკითხების კვლევა როგორცაა: რამდენად თავსებადია უმაღლესი საგანმანათლებლო ბაზრის ადმინისტრირების დონე არსებულ მსოფლიო სტანდარტებთან? რამდენად კონკურენტუნარიანია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი?

დაბოლოს, საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი მსოფლიოში არა უცვლელი, არამედ მუდმივად განვითარებადი სისტემაა. შესაბამისად, მუდმივად უნდა მოხდეს მისი სრულყოფა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

შესავალი

უმაღლესი განათლება არის ფუნდამენტი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი ინოვაციური ეკონომიკის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მხარდაჭერა, სახელმწიფოს დონეზე, ქვეყანას საშუალებას მისცემს უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან და უფრო ეფექტიანად მოახდინოს ინტეგრირება დასავლურ სივრცეში.


უმაღლესი განათლების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაში სავსებით ცხადი და გამოკვეთილია. უმაღლესი განათლება დიდი ხანია განიხილება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მზარდი კაპიტალი, როგორც პროდუქცია - საქონელი, რასაც მოაქვს შემოსავალი და მოგება მისი მფლობელისთვის. ამდენად, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს წინაპირობას, საგანმანათლებლო სფეროში არსებული ისეთი


გამოწვევების მისაღებად როგორცაა: უმაღლესი განათლების ბაზრისა და სამუშაო ძალის ბაზრის მჭიდრო კავშირურობები, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საერთაშორისო აკრედიტაცია და სხვა.



საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მიმოხილვა.



ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემებიდან დღეს ყველაზე მწვავე სიღარიბის დამლევია. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი ეფექტის მომცემი არის ინვესტიციები უმაღლესი განათლების სფეროში და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ კვლევებში. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად მოწინავე ტექნოლოგიების ქვეყნებად იქცნენ შვედეთი, ნორვეგია და დანია. [1,27] საინტერესოა, ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნების, უმაღლესი განათლების მხარდამჭერი პოლიტიკაც, რომელიც ძირითადად მიზანმიმართულია სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. 2004 წლის 4 ივლისს ლიტვის პარლამენტმა დაამტკიცა



ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST














1. კიკუტაძე ვ. (2015) „უმადლესი განათლების ხარისხის მართვა საქართველოში“ Alexander Dubchec University of Trenchin, მე-13 საერთაშორისო კონფერენცია, საკონფერენციო, სამეცნიერო მოხსენება-სტატია. (23-24 აპრილი);
2. თოქმაზიშვილი მ. სართანია ვ. მაღლაკელიძე შ. (2006). „განათლების ეკონომიკის პრინციპები“. თბილისი. განათლება;
3. ჩაგელიშვილი/აგლაძე ლ. (2013). „უმადლესი განათლების განვითარების პრობლემები საქართველოში“. საერთაშორისო, (Univarsitat, Koblnetz - Landau – Germany) საკონფერენციო, სამეცნიერო მოხსენება-სტატია. (26-27 ოქტომბერი);
4. ნარმანია დ. (2012). „უმადლესი განათლების სისტემა საქართველოში“. თბილისი, უნივერსალი;
5. ტაბატაძე ლ. (2015). უმადლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის ანგარიში;
6. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. (2013). „უმადლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე“;
7. საქართველოს განათლების სამინისტროს, (2014) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. <http://eqe.ge/geo/static/89/register/heis>;
8. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემები. <http://www.geostat.ge/>
9. ევროკავშირის, ევროკომისიის კვლევის ანგარიში. (2012). „უმადლესი განათლების მართვა (მმართველობა) ევროპაში“;
10. Bileviciute.E. Zaleniene.I. (2013). „Higher Education Reform in Lithuania with Emphasis on Lithuanian Educational Strategy“;

Higher Education Service Market of Georgia – Reality and Perspectives

Lasha Tabatadze,
Grigol Robakidze University
Ph.C. of the School of Business and Management of

Human resources play a crucial role in providing sustainable development of a country. In this regard, high quality of the higher education plays the most important role in forming a competitive state. Attracting and funding more investments in educational sphere will increase the economic growth indexes of the country.

In 2004, when the “Law on Higher Education” of Georgia was adopted and a year later when the country officially joined to the Bologna process at Bergen Summit, a new system of the management of Georgian higher educational market has started and new paradigms for regulation of higher educational system has appeared.

Nowadays, surveying such issues as the relevance of the HE market administration level comparing to the world standards and the competitiveness of HE market in Georgia, are very actual.

Finally, education market is not unchangeable. It is a continuously developing system in the world. Accordingly, it should always meet with the requirements of the market demands and has to be improved constantly.



წიგნით ვაჭრობის თავისებურებანი

ირმა ბურაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირვეწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

ტელ: 599561552

irmagurashvili@gmail.com

სტატიაში განხილულია წიგნით ვაჭრობის ბაზრის თავისებურებები საქართველოში და დახასიათებულია ბაზრის განვითარებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები. დეტალურად არის აღწერილი ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ასპექტები, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ზრდის ფაქტორი, ვინაიდან წიგნი ასრულებს კულტურული, საგანმანათლებლო და შემეცემებით მისიას საზოგადოებაში. წიგნის ბიზნესი განხილულია როგორც კომპლექსური თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც აუმჯობესებს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებას და აქტიური გავლენა აქვს კულტურის სფეროს განვითარებაზე. დახასიათებულია წიგნის ბაზრის თავისებურებები: - ინოვაცია დაკავშირებული რისკთან; - სოციალურ პირობებსა და ფაქტორებზე დამოკიდებულება; - პოლიტიკურ ფაქტორებზე დამოკიდებულება; - თანამედროვე ეტაპზე წიგნის ბაზრის დამახასიათებელი “ორპოლუსიანი” წიგნების კატეგორიები. წიგნების კატეგორია სადაც კარგად არის გამოკვეთილი ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები, ავტორის ხედვა, რომელიც არ ემთხვევა საზოგადოების აზრს.

საქართველოში წიგნის ბაზრის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მითითებულია ლოგისტიკის სისტემის ფორმირება და გამოყენება. სისტემა რომელიც უზრუნველყოფს საბითუმო და საცალო ქსელის მეშვეობით საგამომცემლო ორგანიზაციებმა გაიგონ, თუ რა ხდება სამომხმარებლო ბაზარზე, როგორია მოთხოვნა და მისი დინამიკა. გარდა ამისა აუცილებელია - სიახლეების მუდმივი ძიება, ტესტირება, სიახლის დანერგვა-განხორციელება, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ფორმებისა და მექანიზმების გამოყენება, ეფექტიანი შრომითი ურთიერთქმედების ფორმირება ბაზარსა და საგამომცემლო კომპანიებსა და ფირმებს შორის.

იმისათვის, რომ დადგინდეს მეწარმეობის როლი წიგნის ბიზნესში საჭიროა გაიხსნას და გამჟღავნდეს წიგნის როლი, მისი მნიშვნელობა, წიგნის შექმნის ხარჯები, რაც საჭიროა უშუალოდ წიგნის დასაბეჭდად, მისი დისტრიბუციისათვის და საცალო გაყიდვისათვის უშუალოდ მაღაზიებში. რისი მთავარი მონაწილეებიც არიან წიგნის ავტორები, გამაერცვლებლები, გამომცემლები, ბიბლიოთეკები, პოლიგრაფისტები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც მონაწილეობენ წიგნის შექმნაში.

საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი, წიგნში შექმნაში, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ და კულტურულ ზრდაზე არის ბიზნესი, როგორც დამოუკიდებელი და ინიციატივის მქონე საქმიანობა, რაც თავის თავზე იღებს რისკს იმისა რომ დააბან-

დოს ფული, აიღოს რისკი და თავისი საქმიანობა აქციოს მომგებიანად, რითიც ის დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს წიგნის გამოცემის სფეროში.

ბიზნესი უნდა განხილული იქნეს, როგორც კომპლექსური თვითრეგულირებადი სისტემა რომელიც არა მხოლოდ აუმჯობესებს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებას, არამედ აქტიური გავლენა აქვს კულტურის ყველა სფეროს განვითარებაზე, რომელიც ფორმირებას უკეთებს მსოფლიო საზოგადოებას, რაც ასახავს მისი ტექნიკური დონის, სოციალურ და ინტელექტუალურ განვითარებას. წიგნის ბიზნესის წარმოება ქმნის ეროვნული პროდუქტისა და პრაქტიკის, ესთეტიკური და ეთიკური იდეალების, ტრადიციებისა და ჩვეულებების, პროდუქტებისა და ტექნოლოგიების სტანდარტებს. იგი ასრულებს კულტურული,

შემეცნებითი და საგანმანათლებლო მისიას. ამ გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ წიგნის ბიზნესის თავისებურებები:

- ინოვაცია დაკავშირებული რისკთან, რაც წარმოადგენს ახალი ფორმების დანერგვას და მეტოდეების შემუშავებას, ახალ ტექნოლოგიას, განხორციელების სტრატეგიას და ასე შემდეგ. კერძოდ, მეწარმე იძულებულია ჩაატაროს რეგულარული სამუშაოებები, მაგალითად, უდიდესი ფრანგული საცალო ვაჭრობის ქსელი, „ეცლერც“-ის მუშაობის “ფორმულაა “80/20” (80% - საუკეთესო ბესტ-სელერები და ახალი პროდუქტები, ხოლო 20% - “ასორტი ყველანაირი” ლიტერატურის);

- სოციალურ ფაქტორებზე დამოკიდებულება: გარე სოციალური პირობები განაპირობებს არა მხოლოდ შესაძლებლობას იყვნენ გადაიხდისუნარიანები არამედ იგი დამოკიდებულია მოსახლეობის კულტურულ დონეზე, ეროვნებაზე, რელიგიაზე ასაკზე, განათლებაზე, სასაუბრო ენაზე, ისეთი ენებზე დაბეჭდილი წიგნები, რომლებიც ფართოდ გავრცელებულია, შესაბამისად წიგნის ბეჭდვის ტირაჟებიც დიდია, ფასი შედარებით დაბალია;

- პოლიტიკურ ფაქტორებზე დამოკიდებულება, მათ შორის შიდა პოლიტიკა, ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები ქვეყნებს შორის, გლობალიზაციის პირობებში;

- ერთ-ერთი ხელისშემშლელი იდეოლოგიური პოლიტიკისა, რომელიც ასევე ხელისშემშლელია წიგნის ბიზნესში არის ცენზურა;

- განვითარების ინტენსივობა საბაზრო პირობებში: წიგნის გამოცემამ და მისმა რეალიზაციამ დაიპყრო საბაზრო ურთიერთობების დიდი არეალი ყველა სფეროში;

- “ორპოლუსიანი” წიგნების კატეგორიები: ეს ისეთი წიგნების კატეგორიებია სადაც კარგად არის გამოკვეთილი ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები, ავტორის ხედვა. სადაც ავტორის აზრი, მისი შემოქმედება არ ემთხვევა საზოგადოების აზრს და მის კულტურულ და ეკონომიკურ მოთხოვნებს, მის მოლოდინს კონკრეტულ პროდუქტზე; მეორე შემთხვევა შეიძლება იყოს ისეთი მომენტი როცა მოთხოვნას გადააჭარბებს მიწოდება და შეთავაზება.

- თუ ბიზნეს ერთგულია არისტოტელეს ფაზისა “ოქროს შუალედი” და იცავს მას ეკონომიკურ და კულტურულ კომპონენტებს შორის მაშინ საზოგადოება დებულობს ნამდვილ კულტურულ ძეგლს. ერთ ერთი ფაქტორის დარღვევას მოჰყვება უარყოფითი გავლენა. თუ მეტი ყურადღება ექცევა კულტურას, მაშინ ხდება ბიზნესის იდეოლოგიზაცია და კინდება იგი. თუ

მეტი ყურადღება ექცევა ეკონომიკურ ფაქტორს მაშინ მოხდება პირიქით, კინდება კულტურა და ვეღარ ვითარდება იგი. გამოდის უხარისხო ლიტერატურა, შემცირებულია პროფესიული განვითარება. წიგნის გამოცემის ბიზნესში უნდა იყოს ჩადებული საფუძველი იმისა, რომ დაკმაყოფილდეს მრავალფეროვანი და სხვადასხვანაირად განვითარებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მოთხოვნილებები, წიგნების სხვადასხვა სახეობაზე, თანამედროვე საზოგადოებაში, ისევე როგორც ეს ხდება სხვა საქონლის შემთხვევაში.

- ბიზნეს პროცესის ორი მხარე რომელიც ეხება ლოგისტიკას: იყოფა ინტელექტუალური პროდუქციად (სამუშაოს ავტორი, რედაქტორი), საგამომცემლო საქმედ და ბეჭდვად რომელსაც განხორციელებენ სტამბები. მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ამ დროს გამომცემელს ავტორისა და მისი ნაწარმოების არჩევაში, მაკეტის მომზადებაში, განლაგებაში, პოლიგრაფიულ მასალებსა და მომსახურებში;

- თანამედროვე სავაჭრო ბიზნეს პროცესების ფორმირება ლოგისტიკის საფუძველზე: საბითუმო და საცალო ქსელის დისტრიბუციის საშუალებით გაიგოს რა ხდება სამომხმარებლო ბაზარზე ქონდეს კონტაქტი მასთან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ნაკადების მოზიდვაში, სხვადასხვა ხარჯების დაფარვაში, რასაც მიეკუთვნება ოფისის ხარჯები, ხელფასის ხარჯები, ასევე მოგების მიღებაში მათთვის მონაწილეობდა წიგნის წარმოებისა და რეალიზაციის მთლიან პროცესში.

- პროფესიონალიზმი გულისხმობს განსაკუთრებულ და ყოველმხრივ ამომწურავ ცოდნასა და კვალიფიკაციას, ანუ არსებობს გადაუდებელი საჭიროება მეწარმეებისა რომელთაც გააჩნიათ სიღრმისეული ცდნა და გამოცდილება არა მხოლოდ კულტურის სფეროში, არამედ კულტურის, ხელოვნების, ეკონომიკის, სამართლის, მენეჯმენტის, მარკეტინგის და ფსიქოლოგიის დარგებში;

- სხვადასხვა სპეციალისტების კოოპერაციული მუშაობა თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების საფუძველზე სხვადასხვა მიმართულებით რადგან როგორც ნებისმიერი სპეციალისტის შესაძლებლობები შეზღუდულია, როგორც ფსიქოფიზიკური ასევე გონებრივი, მას არ შეუძლია დაიტოს ფართო და ყოველმხრივი ცოდნა ყველა დარგში, ამას ფუნდამენტური ნიჭის მქონე ადამიანებიც კი ვერ აკეთებენ;

- მნიშვნელოვანია მუდმივი ძიება, ტესტირება და სიახლის დანერგვა-განხორციელება, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ფორმებისა და მექანიზმებისა, შრომის ეფექტიანობის ამაღ-

ლებისათვის საჭიროა სხვადასხვა პროფესიონალების გაერთიანება მეცნიერებასა და ინდუსტრიაში.

მეწარმეობა ვითარდება ბაზრის გარდაქმნის საპასუხოდ, საინფორმაციო საზოგადოებაში, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მომხმარებელის უფლებას აირჩიოს წიგნები. წიგნი წარმოადგენს მსოფლიოს შეცნობის ერთ-ერთ იარაღს, რომელიც შემოქმედებითი ადამიანის ფანტაზიის ერთ-ერთი წყაროა. აქ ხდება მისი ინდივიდუალიზაცია, კულტურული იდენტიფიკაცია, და სოციალიზაცია. იქმნება ცხოვრების პირობები მოცემულ კულტურულ სფეროში. თანამედროვე პირობებში ასეთი მიდგომა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ კულტურული ცნობიერების ამაღლების ხარჯზე, მეწარმეთა და ხელისუფლების

ცნობიერების კულტურული და საგანმანათლებლო მისიაზე რათა გაზარდოს საზოგადოების პასუხისმგებლობა მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებაზე. ამასთან დაკავშირებით მოხდება უზრუნველყოფა და მაქსიმალური ხელმისაწვდომობა პუბლიკაციების ფართო სპექტრისა.

გამოქვეყნდება სტატიები საზოგადოების განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში. ამ ვითარებაში, როცა საქმე წიგნის გამოცემას და მის გავრცელებას ეხება გლობალიზაციის პირობებში, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კულტურა, ფაქტობრივად დაუცველია და ადვილად განადგურდება, მაგრამ მისი აღდგენა ათასწლეულების განმავლობაშიც კი ძალიან ძნელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემები;
2. იუნესკოს დეკლარაცია, კულტურული მრავალფეროვნების შესახებ, 2004 წ. კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება, საინფორმაციო საზოგადოებაში.
3. Книжная торговля: Сб. нормат. актов и документов / Сост. Б.С.Есепькин, Н.А. Капупникова, Ю.Ф. Майсурадзе и др. - М.: МГУП, 2001.
4. Есенькип Б.С., Майсурадзе Ю.Ф. Книжное дело: Взгляд журналиста и специа-листа: Сб. статей, опубликованных в 1998-2001 гг. - М.: МГУП, 2001.
5. Данилков А.И, Общественное воспроизводство: комбинационный эконо-мический эффект. - М.: ИКЦ «Маркетинг», 2002.
6. Брагин Н.И. Государство и рынок.-М.: Союз, 2001.
7. Маковеев Н.П. Маркетинг в издательском деле и тенденции развития рынка. - 2008.
8. Стандарты в книжном деле. - М.: Изд-во ТД «Библио-Глобус», 2000.

Features of Book Trade

Irma Gurashvili

St. Andrew the 1st Georgian University of the Patriarchate of Georgia Doctoral student

The article discusses the features of book trade market in Georgia and main factors affecting the market development are characterized. The aspects enhancing the market development are explained in detail, as a factor of economic, social and cultural growth of the state, since the book performs the cultural, educational and cognitive mission in society. The book business is discussed as a complex self-regulating system which improves the formation of the gross domestic product and actively influences the development of the cultural sphere. The features of the book market are specified: - innovation connected with risks; -dependence on social conditions and factors; -dependence on political factors; - “two pole” book categories characteristic of the modern book market; the book category which shows economic and cultural factors well; the viewpoint of the author which does not coincide with the public opinion.

Formation and application of logistic system is indicated as one of the important factors of book trade development in Georgia; the system which provides information to publishing houses through wholesale and retail networks about the condition of the consumer market, such as demands and their dynamics. Besides, it is necessary to search for novelties permanently, to conduct tests, to implement and execute the novelties, to make use of the organizational and administrative forms and mechanisms, to form effective labor relationship between the market, publishing companies and firms.

თამთა ფეხელავა


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი

სტატიაში „კონფლიქტის მოგვარება მესამე მხარის მონაწილეობით“ საუბარია კონფლიქტის მოგვარების გზებზე. კერძოდ, არბიტრაჟზე, გამოძიებასა და შუამავლობაზე. იქვე მიმოხილულია მესამე მხარის ინტერვენციის საუკეთესო სტრატეგიის არჩევისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საკითხები. წარმოჩენილია და გაანალიზებულია ყველაზე გავრცელებული რეაქციები კონფლიქტებზე და მისაღებ გადაწყვეტილებათა ტიპები.

მესამე მხარის მიერ კონფლიქტის მოგვარება არის ნეიტრალური მხარის მიერ კონფლიქტის მხარეებისთვის გამოსავლის პოვნაში დახმარება. ზოგადად, მესამე მხარის მეშვეობით კონფლიქტის მოგვარების სამი გზა არსებობს: არბიტრაჟი, გამოძიება და შუამავლობა. ეს საქმიანობები შეიძლება დაჯგუფდეს პროცესზე კონტროლის დონითა და გადაწყვეტილებას კონტროლის მიხედვით.

ში, თუმცა ნაკლები სიძლიერის პროფკავშირების მქონე ქვეყნებშიც იკიდებს ეს ფორმა ნელ-ნელა ფეხს.

გამოძიება. გამოძიებლები კონფლიქტთან დაკავშირებულ ყველა დისკუსიას აკონტროლებენ. როგორც არბიტრაჟს, მათაც აქვთ გადაწყვეტილებაზე კონტროლის მაღალი დონე, რადგან ისინი კონფლიქტის მოგვარების ფორმას იყენებენ.



სქემა 1. მესამე მხარის მიერ ინტერვენციის ტიპები

წყარო: Mcshane/Von Glinow, Organizational Behaviour, 2010

არბიტრაჟი. არბიტრაჟს აქვს საბოლოო გადაწყვეტილებაზე კონტროლის მაღალი და პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლის დაბალი დონე. აღმასრულებლები ამ სტრატეგიაში ერთგვრიან პროცესის განმავლობაში წინასწარ შეთანხმებული წესების გამოყენებით, მოდავე თანამშრომლებისგან არგუმენტების მოსმენით და სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღებით. არბიტრაჟი პროფკავშირებში გაერთიანებული თანამშრომლებისთვის საბოლოო სტადიაა მრავალ ქვეყანა-

ბენ. ამასთან, მათ პროცესის კონტროლის მაღალი დონეც აქვთ, რადგან ისინი ირჩევენ თუ რომელი ინფორმაცია უნდა შეისწავლონ, როგორ და რა გზებით მართონ კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესი.

შუამავლობა. შუამავლებს ინტერვენციის პროცესის მაღალი კონტროლის დონე აქვთ. ფაქტობრივად, მათი მთავარი მიზანი პროცესისა და მოდავე მხარეებს შორის ურთიერთქმედების კონ-

ტექსტის მართვაა. თუმცა, საბოლოო განსხვავებულობის მართვაზე გადაწყვეტილებებს მხარეები იღებენ. ამასთან, შუამავლებს გადაწყვეტილების მიღებაზე ან საერთოდ არ აქვთ არანაირი კონტროლი, ან აქვთ უმნიშვნელო დოზით.

მესამე მხარის ინტერვენციის საუკეთესო სტრატეგიის არჩევა. გუნდის ლიდერები, აღმასრულებლები და თანამშრომლები რეგულარულად ერევიან დავებში თანამშრომლებსა და დეპარტამენტებს შორის. ზოგჯერ ისინი ირგებენ შუამავლის როლს, ზოგჯერ მოქმედებენ როგორც არბიტრები. ზოგჯერ, ისინი იწყებენ ერთი მიდგომით და შემდეგ გადადიან მეორეზე. თუმცა, კვლევა ვარაუდობს, რომ მმართველობითი პოზიციის მქონე ადამიანები (მაგ. მენეჯერები) უმეტესად ირგებენ გამოძიებლობით როლს, რომლის მეშვეობითაც ისინი ინტერვენციის პროცესში დომინირებენ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაშიც მონაწილეობენ. მენეჯერები ამჯობინებენ გამოძიებლის როლს, იმიტომ რომ ეს უფრო ბუნებრივია გადაწყვეტილებაზე ორიენტირებული მენეჯერული სამუშაოსთვის. ეს მიდგომა მენეჯერებს კონფლიქტის პროცესსა და შედეგზე კონტროლის საშუალებას აძლევს და დავების ეფექტურად მოგვარების ტენდენციით გამოირჩევა.

თუმცა, ორგანიზაციულ გარემოში მესამე მხარის მიერ გამოძიების მიდგომა ყველაზე ნაკლებად ეფექტურია. ერთი პრობლემა არის ის, რომ გამოძიებლის როლს მორგებული ლიდერები პრობლემაზე ლიმიტირებულ ინფორმაციას აგროვებენ, შესაბამისად მათ მიერ ინიცირებული გადაწყვეტილება შეიძლება კონფლიქტის მოგვარებისთვის არაეფექტური აღმოჩნდეს. მეორე პრობლემა არის ის, რომ თანამშრომლებს ხშირად საგამომიებო პროცედურები არასამართლიანად მიაჩნიათ, რადგან მათი მხრიდან ამ მიდგომის კონტროლის დონე მცირეა. კერძოდ, საგამომიებლო მიდგომა სამართლის პროცედურული მხარდაჭერით მოთხოვნილ რამდენიმე პრაქტიკას არღვევს.

მესამე მხარის ინტერვენციის რომელი ფორმა ყველაზე მისაღები ორგანიზაციისთვის? პასუხი ნაწილობრივ დამოკიდებულია სიტუაციაზე. დავის ტიპზე, მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობაზე და კულტურულ ღირებულებაზე, როგორცაა მაგალითად, ძალაუფლების დისტანცია. თუმცა, თანამშრომლებს შორის ყოველდღიური უთანხმოებისას შუამავლობის მიდგომა საუკეთესოა, რადგან ეს თანამშრომლებს აძლევს საშუალებას თავად მოძებნონ სასურველი გამოსავ-

ლი. მესამე მხარის წარმომადგენელი უბრალოდ ადგენს შესაბამის კონტექსტს კონფლიქტის მოგვარებისთვის. შუამავლობის სტრატეგია ასევე იწვევს თანამშრომლებს შორის ყველაზე მეტ კმაყოფილებას კონფლიქტის პროცესისა და შედეგისგან. როდესაც თანამშრომლებს არ შეუძლიათ თავიანთი განსხვავებულობის დარეგულირება შუამავლების მეშვეობით, არბიტრაჟი საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევა იმიტომ, რომ ამ მიდგომისას არსებობს წინასწარ დადგენილი წესები და პროცესები სამართლიანობის განცდას უტოვებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს. ასევე, არბიტრაჟი უფრო მისაღებია, როდესაც ორგანიზაციული მიზნები ინდივიდუალურზე უფრო პრიორიტეტულია.

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. სასამართლოში ერთმანეთთან ბრძოლისა და გარე არბიტრაჟის ნაცვლად აშშ-ს საპაერო ძალებმა და სამოქალაქო პერსონალმა სამუშაო ადგილზე კონფლიქტების უმეტესობა სწრაფად, დავის ალტერნატიული გადაწყვეტით (ალტერნატივე დისპუტე რესოლუციონ - დ) მოაგვარეს. თუმცა, ზოგიერთი საპაერო ძალის ბაზა ინარჩუნებს მედიატორს მხარეების მიერ სხვადასხვა შესაძლებლობის აღმოსაჩენად.

აშშ-ს საპაერო ძალები შეურთდნენ იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც დავების ალტერნატიული გადაწყვეტა აირჩიეს. დ მოიცავს მოწესრიგებული თანმიმდევრობით დავების მესამე მხარის მეშვეობით გადაწყვეტას. ეს პროცესი, როგორც წესი, იწყება მომუშავება და დამქირავებელს შორის შეხვედრით, რათა მოხდეს განსხვავებების დადგენა და ამ განსხვავებებზე მოლაპარაკებების დაწყება. თუ ეს ხერხი არ გაამართლებს, მაშინ პროცესში მედიატორი ჩაერთვება და მხარეებს დაემხარება ორივესთვის მისაღები შეთანხმების მიღწევაში. თუ მედიატორიც არ გაამართლებს, მაშინ მხარეები თავიანთ საქმეს არბიტრაჟს გადასცემენ, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება სავალდებულო ან ნებაყოფლობითი იყოს მხარეებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დ-ის სისტემები პროფესიულ არბიტრაჟს ეყრდნობა, ზოგიერთი კომპანია, როგორებიცაა ასტმან ლდაკ და აშშ-ს საპაერო ძალები, ირჩევენ თანაბარ არბიტრაჟს. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმ თანამშრომლებისა და მენეჯერების გაერთიანებას, რომლებიც დავაში ჩართულები არ არიან [6; 2010 / 347].

კონფლიქტის მოგვარებისას მესამე მხარის მიერ დავის გადაწყვეტით ან პირდაპირი დიალოგის გზით უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალი

გადაწყვეტილება გამომდინარეობს პრობლემის წყაროდან. ეს ალბათ ყველასთვის ნათელია, თუმცა მიუხედავად ამისა, კონფლიქტისას ადამიანები ხშირად მაინც ერთმანეთზე არიან მეტად ფოკუსირებული, ვიდრე უთანხმოების მიზეზის მოძებნაზე.

კონფლიქტის წყაროს აღმოჩენა არც ისე ადვილია და ამიტომ, თავისუფლად შეიძლება ეფექტური ლიდერობის გამოვლინებადაც მივიჩნიოთ.

რეაქციები კონფლიქტზე. კონფლიქტებზე ყველაზე გავრცელებული რეაქციებია: არიდება, შეგუება, შეჯიბრი, თანამშრომლობა და კომპრომისი. კონფლიქტზე რეაქცია შეიძლება დაიყოს ორი მახასიათებლის მიხედვით: 1. რამდენად მნიშვნელოვანია ყოველი მხარის მიზნები მეორე მხარისათვის და 2. რამდენად შეთავსებადია ეს მიზნები. მიზნების შეთავსებადობა იზომება მათი ერთდროულად მიღწევის ხარისხით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზნები შესაბამისია, თუ ერთ მხარეს შეუძლია თავისი მიზნების შესრულება იმგვარად, რომ მეორე მხარეს ხელი არ შეეშალოს მისი მიზნების შესრულებაში.

კონფლიქტის თავიდან არიდება ხდება მაშინ, როდესაც ჩართულობა რომელიმე მხარისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. მაგალითად, რომელიმე სახელმწიფო სააგენტომ შეიძლება მარტივად დააიგნოროს მეორე სააგენტოს მოთხოვნა ინფორმაციაზე. ამ სააგენტომ კი შეიძლება უბრალოდ თავიდან აირიდოს შემდგომი მოთხოვნები, რომლებიც მისკენ იქნება მიმართული.

კონფლიქტური სიტუაციის შეგუება ხდება მაშინ, როდესაც მიზნები შეესაბამება ერთმანეთს და ინტერაქციები მიუღებელი ხდება საერთო მიზნის მიღწევასთან მიმართებაში. ამგვარი ტაქტიკა უმეტესად მეგობრული ურთიერთობებისთვისაა დამახასიათებელი. მაგ: კოლეჯში, ცხრილის შედგენის პერიოდში, მარკეტინგისა და მენეჯმენტის დეპარტამენტებს შორის პოტენციური კონფლიქტი შეიძლება წარმოიქმნას,

თუ ორივეს სურვილი იქნება სტუდენტებისთვის დილის კლასების შეთავაზება. თუმცა, ამ კონფლიქტის მნიშვნელობა ფერმკრთალდება საერთო მიზნისკენ - სტუდენტებისთვის მისაღები კლასების შეთავაზებისკენ - სწრაფვით.

კონფლიქტზე რეაქცია კონკურენციის გაწვევით ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაპირისპირებული მხარეების მიზნები არათანხვედრია და ნებისმიერ მხარეს საკუთარი მიზნის მისაღწევად ინტერაქცია სჭირდება. ეს კონკრეტული რეაქცია ძალიან საფრთხილოა, რადგან შეიძლება გამაფრებული კონკურენცია ღია ჯონფლიქტში გადაიზარდოს და საერთო მუშაობის ხარისხი დაწიოს.

თანამშრომლობა ხდება იმ დროს, როდესაც მხარეებს თავსებადი მიზნები აქვთ და მათთვის

ურთიერთქმედება ძალიან მნიშვნელოვანია. რეალურად, მიზნებზე, მათ მნიშვნელოვანზე, მიღწევის გზებზე შეთანხმება ძალიან რთულია. თუმცა, თუ ეს მოხდა, თანამშრომლობის მიდგომამ შეიძლება ინოვაციურ იდეებამდე და პრობლემების ინოვაციურ გადაწყვეტებამდე მიგვიყვანოს.

კომპრომისი ღებება მაშინ, როდესაც ინტერაქციები ზომიერად მნიშვნელოვანია და მიზნები ან მთლიანად თავსებადი, ან სრულიად შეუთავსებელია. თანამშრომლობები კავშირებსა და მენეჯერებს შორის შეიძლება კომპრომისული მიდგომის მაგალითად განვიხილოთ.


რომ შევაჯამოთ, კონფლიქტში მყოფ მხარეებს მრავალი მიდგომა შეუძლიათ გამოიყენონ მოწინააღმდეგის მოქმედების საპასუხოდ. თუ მხარეთა მიზნები თავსებადია, ისინი უმეტესად მიმართავენ თანამშრომლობასა და შეგუებას. თუ პირიქით, მიზნები არათავსებადია, იყენებენ კონკურენციის ან თავის არიდების მიდგომას. (Ricky W. Griffin, Gregory Moorhead, Organizational Behavior, 2011)

გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე ალტერნატივიდან ერთის არჩევანს. პრობლემის გადაჭრა კი ითხოვს შეკითხვისთვის პასუხის მოძებნას. ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება პრობლემის გადაჭრის ტოლფასია. უკეთ გასაგებად, წარმოვიდგინოთ რომ პრობლემა მდგომარეობს ახალი მცენარისთვის საუკეთესო ადგილის მოძებნაში. თუ შევაფასებთ ყველა შესაძლო ვარიანტს და ბოლოს დარჩება ერთადერთი დასაშვები ვარიანტი და ფაქტობრივად გადაწყვეტილების მიღების საჭიროებაც გაქრება. მაგრამ, თუ რომელიმე სამი ვარიანტი აკმაყოფილებს ყველა პირობას, თუმცა სხვადასხვა მახასიათებლები და უპირატესობები გააჩნია, მენეჯერმა უნდა გააკეთოს არჩევანი ამ ვარიანტებს შორის. ჩვენს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათა უმეტესობა მოითხოვს არჩევანის გაკეთებას.

ცხრილში ნაჩვენებია გადაწყვეტილების მიღების ძირითადი ელემენტები. გადაწყვეტილების მიმღების მოქმედებები იმართება კონკრეტული მიზნით. ნებისმიერი ალტერნატიული მოქმედება დაკავშირებულია მრავალ შედეგთან. გადაწყვეტილების მიმღები ირჩევს ერთ ალტერნატივას მის ხელთ არსებული ინფორმაციის შეფასებაზე დაყრდნობით.

ორგანიზაციაში მიღებული გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია შეიძლება სიხშირისა და ინფორმაციის მდგომარეობის მიხედვით. გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში სიხშირე გულისხმობს იმას, თუ რამდენად ხშირად ღებება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, ხოლო ინფორმაციის მდგომარეობა აღწერს რამდენადაა ინფორმაცია ხელმისაწვდომი კონკრეტულ შედეგთან მიმართებით.

გადაწყვეტილების ტიპები. მიღების სიხშირის



სქემა 2. გადაწყვეტილების მიღება და პრობლემის გადაჭრა
 წყარო: Ricky W. Griffin, Gregory Moorhead, Organizational Behavior, 2011

მიხედვით კონკრეტული გადაწყვეტილებები იყოფა პროგრამირებად და არაპროგრამირებად გადაწყვეტილებებად. პროგრამირებადი გადაწყვეტილება განმეორებადია და მის მისაღებად ხშირად მიმართავენ შემუშავებულ წესებს. წესები გადაწყვეტილების მიღებას ეუბნება რომელი ალტერნატივა უნდა აირჩიონ სიტუაციის შესაბამისად მათ ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ერთი რომელიმე გადაწყვეტილების მიღების წესი გამოიყენება ერთსა და იმავე სიტუაციებში. როგორც წესი, პროგრამირებადი გადაწყვეტილებები მკაცრად სტრუქტურირებულია. ასეთი გადაწყვეტილებების დროს მიზნები ნათელია, გადა-

აწყვეტილების მიღების პროცედურა დადგენილი, ხოლო ინფორმაციის წყაროები და არხები ნათლად განსაზღვრულია. მაგალითისთვის, ავიაკომპანიები იყენებენ დადგენილ პროცედურებს იმ შემთხვევისთვის, როცა თვითმფრინავი ზიანდება და ფრენისთვის გამოუსადეგარი ხდება. მგზავრებად არ უნდა მივიღეს ინფორმაცია დაზიანებული თვითმფრინავის შესახებ, თუმცა ავიახაზებმა იციან რომ აღჭურვილობის პრობლემები დროთა განმავლობაში დგება. ყოველ ავიაკომპანიას აქვს საკუთარი წინასწარ განსაზღვრული პროცედურა აღჭურვილობის დაზიანებასთან მიმართებით. დათქმული ფრენა შეიძლება დაყოვნდეს, გადაიდ-

სხალ მკონის THE NEW ECONOMIST

მახასიათებლები	პროგრამირებული გადაწყვეტილებები	არაპროგრამირებული გადაწყვეტილებები
გადაწყვეტილების ტიპი	კარგად სტრუქტურირებული	სუსტად სტრუქტურირებული
სიხშირე	განმეორებადი და რუტინული	ახალი და უჩვეულო
მიზნები	გასაგები, სპეციფიკური	გაურკვეველი
ინფორმაცია	ადვილად ხელმისაწვდომი	მიუწვდომელი, ინფორმაციის გაურკვეველიარხები
გარემოებები	უმნიშვნელო	მნიშვნელოვანი
ორგანიზაციული დონე	დაბალიდონეები	ზედა დონეები
დრო გადაწყვეტილებისთვის	მოკლე	შედარებით გრძელი
გადაწყვეტილების საფუძვლები	გადაწყვეტილების წესები, დადგენილი პროცედურები	განსჯა და კრეატიულობა

სქემა 3. პროგრამირებადი და არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებების თავისებურებანი
 წყარო: Ricky W. Griffin, Gregory Moorhead, Organizational Behavior, 2011

ოს ან გაუქმდეს პრობლემის ბუნებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე. (Ricky W. Griffin, Gregory Moorhead, Organizational Behavior, 2011)

როდესაც კონკრეტული პრობლემა ადრე არ არსებობდა და მასზე გადაწყვეტილებაც არ მიღებულა, გადაწყვეტილების მიმღებს არ შეუძლია დაეყრდნოს არსებულ წესებსა და პროცედურებს. სწორედ ასეთ გადაწყვეტილებას ეწოდება არაპროგრამირებული და მოითხოვს უშუალოდ პრობლემის გადაჭრას. პრობლემის გადაჭრა გადაწყვეტილების მიღების სპეციალური ფორმაა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საკითხი განსაკუთრებული და უნიკალურია და მისი მოგვარება ხშირად მოითხოვს გადაწყვეტილების წესების მიღმა ალტერნატივების შემუშავებას ან შეფასებას. არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებები ნაკლებად სტრუქტურირებულია და არ არსებობს ერთი, ნათელი პროცედურა, რომლის მიხედვითაც ისინი მიიღება. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ მთავრობის, სამხედრო და ბიზნეს ლიდერების მიერ გაკეთებული არჩევანი. მაგალითად, 2011 წლის 11 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება სუფთა არაპროგრამირებული ტიპის იყო.

პროგრამირებულ, ისევე როგორც არაპროგრამირებულ გადაწყვეტილებებს გააჩნიათ სპეციფიკური მახასიათებლები.

როგორც აღვნიშნეთ, მოლაპარაკება პროცესია, რომლის მიზანი მხარეთათვის სასურველი შედეგის მიღწევაა. მასზე მოქმედებს უამრავი ფაქტორი, რომელთა უმრავლესობის კონტროლიც პროცესის ფარგლებს სცდება. მოლაპარაკებების შედეგების პარალელურად იცვლება ურთიერთობებიც. პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია როგორც მხარეების საქციელზე, ასევე არსებულ სიტუაციაზე. ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტუაციური ფაქტორია: ადგილმდებარეობა, ფიზიკური გარემო, დრო და აუდიტორია. გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია ასევე ისეთი სპეციფიკური მახასიათებლები, როგორებიცაა გადაწყვეტილების ტიპი, სიხშირე, მიზნები, ინფორმაცია, გარემოებები, ორგანიზაციული დონე, გადაწყვეტილების დონე და საფუძვლები. სწორედ ამ ფაქტორთაგან გამომდინარე ხდება პროგრამირებული და არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნინო ფარესაშვილი, კონფლიქტების მართვა, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2012წ.
2. თ. ხომერიკი , მენეჯმენტის საფუძვლები, 2008 წ.
3. Christopher W. Moore; he Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict; Apr 21, 2014
4. John A. Wagner III & John R. Hollenbeck; Organizational Behavior, 2nd; 2014
5. Laurie J. Mullins; Management & Organizational Behavior; Ninth edition
6. McShane, Von Glinow; Organizational Behavior; Emerging knowledge and practice for the real world, fifth edition, chapter 11; 2010 year
7. Peter T. Coleman, Morton Deutsch and Eric C. Marcus; The Handbook of Conflict Resolution: Theory and Practice ; Apr 7, 2014
8. Ricky W.Griffin – Texas A&M University, Gregory Moorhead – Emeritus, Arizona State University; Organizational Behavior, managing people and organizations, 11th edition, chapter 15; 2011year
9. Stephen P. Robbins - San Diego State University, Timothy A. Judge - University of Notre Dame; Essentials of Organizational Behavior, twelfth edition, chapter 14; 2013 year
10. William K. Roche, Paul Teague and Alexander J.S. Colvin; The Oxford Handbook of Conflict Management in Organizations (Oxford Handbooks in Business and Management); 2014

Resolving the conflicts by the third party intervention

Tamta Fetelava

The second year master student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, faculty of economics and Business

This article represents the ways to resolve the conflicts, in particular arbitration, investigation and mediation. More over the issues about choosing the best strategies by the third party intervention and alternative ways of solving arguments are discussed. This work reviews and analyses all of the mainstream reactions about conflicts and types of decision making.



დუოკოლია, სამხედრო მოქმედებები და თამაშთა თეორია: როგორ შეიძლება გამოვიყენოთ სასრული ანტაგონისტური თამაშები მოდელირებისას ?

ალექსანდრე მაისურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი
ტელ: 595 50 63 24
mjulak@yahoo.com

ანა მერკვილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი
ana.merkviladze57@gmail.com

მეცნიერ ხელმძღვანელი: მირაბ ჯულაყიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ტელ: 595 50 63 24
mjulak@yahoo.com

თამაშთა თეორია შეისწავლის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს, უფრო კონკრეტულად კი იგი „შეისწავლის გადაწყვეტილების მიმღებ რაციონალურ პირთა შორის არსებული თანამშრომლობისა ან კონფლიქტების მათემატიკურ მოდელებს.“

სტატია შეიცავს ინფორმაციას სასრული ანაგონისტური თამაშების შესახებ და გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ისინი გამოვიყენოთ სხვადასხვა სიტუაციების მოდელირებისას. მათემატიკური აპარატის გამოყენებით შევეცადეთ გვიჩვენებინა თამაშთა თეორიის გამოყენების მაგალითები ეკონომიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას.

თამაშთა თეორიის ყველაზე მარტივი მოდელი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც მატრიცული თამაში, რომელშიც მონაწილეობს ორი პირი (მათ ვუწოდებთ მონამაშეებს), თითოეულ მონამაშეს აქვს სტრატეგიების სასრული სიმრავლე და ერთი მათგანის მოგება არის ტოლი მეორის ზარალის (ანუ დანაკარგის კე-ების რაოდენობის).

განსახდვრება 1. სისტემას $\Gamma=(X,Y,K)$ (1) სადაც X და Y არადაცარიელი სიმრავლეებია, ხოლო $K: X \times Y \rightarrow R$ ფუნქციაა განსახდვრული X და Y სიმრავლეების დეკარტულ ნამრავლზე, უწოდებენ ანტაგონისტურ თამაშს წარმოდგენილს ნორმალური ფორმით.

ელემენტებს $x \in X$ და $y \in Y$ უწოდებენ შესაბამისად 1 და 2 მონამაშის სტრატეგიებს Γ თამაშში, ხოლო დეკარტული ნამრავლის $X \times Y$ ელემენტებს (ანუ სტრატეგიათა წყვილებს (ბ,ე), სადაც $x \in X$ და $y \in Y$) უწოდებენ სიტუაციებს, ფუნქცია კი არის 1 მონამაშის მოგება. 2 მონამაშის მოგება კი (x,y) სიტუაციაში ტოლია $[-K(x,y)]$ -ს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ფუნქცია არის თვითონ თამაშის მოგების ფუნქცია, ხოლო Γ თამაშს ჩვენ ვუწოდებთ - თამაშს ნულოვანი ჯამით. Γ თამაშის ინტერპრეტაცია შეიძლება მოვახდინოთ შემდეგნაირად: მონამაშე-

ბი ერთდროულად და დამოუკიდებლად ირჩევენ სტრატეგიებს $x \in X$ და $y \in Y$. ამის შემდეგ მოთამაშე 1 იღებს მოგებას $K(x,y)$, ხოლო მოთამაშე 2 $[-K(x,y)]$ -ს.

განსახდვრება 2. ვთქვათ, მოცემულია თამაში $\Gamma=(X,Y,K)$. თამაშს ეწოდება $\Gamma=(X',Y',K')$ თამაშის ქვეთამაში, სადაც $X' \subset X, Y' \subset Y$, ხოლო ფუნქცია არის $K': X' \times Y' \rightarrow R'$ ფუნქციის შეზღუდვა სიმრავლეზე.

განსახდვრება 3. ანტაგონისტურ თამაშს, რომელშიც ორივე მონამაშეს სტრატეგიათა სასრული სიმრავლე გააჩნიათ, ეწოდება მატრიცული თამაში.

დავუშვათ, რომ მონამაშე 1-ს (პირველს) მატრიცულ თამაშში (1) სულ სტრატეგია აქვს. 1 მონამაშის სტრატეგიათა სიმრავლე დავაღვალოთ, ანუ დავამყაროთ ურთიერთცალსახა შესაბამისობა X და $M=(1,2,\dots,m)$ სიმრავლეებს შორის. ანალოგიური სიტუაცია 2 მონამაშისათვის განვიხილოთ. ვთქვათ, 2 მონამაშეს n სტრატეგია აქვს, მაშინ ჩვენ შეგვძებთ Y სიმრავლესა და $N=(1,2,\dots,n)$ სიმრავლეს შორის ურთიერთცალსახა თანადობა დავამყაროთ. ესლა აგხსნათ, თუ რაში დავვჭირდა X და Y სიმრავლეების ასეთი დალაგება. საკმე იმაშია, რომ ასეთი ურთიერთცალსახა კავშირის დამყარებით, ჩვენ შეგვიძლია Γ თამა-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ში წარმოვადგინოთ მატრიცულად. საკმარისია მოცემულ იქნეს შემდეგი მატრიცა: $A = \{a_{ij}\}$ $a_{ij} = K(x_i, y_j), (i, j) \in M \times N, (x_i, y_j) \in X \times Y, i \in M, j \in N$, სადაც (სახელწოდება „მატრიცული თამაში“ სწორედ აქედან გამომდინარეობს). ჩვენი ასეთი ქმედების შედეგად, (1) თამაში რეალიზდება შემდეგნაირად: მოთამაშე 1 ირჩევს სტრიქონს $i \in M$, ხოლო მეორე მოთამაშე (ერთდროულად პირველ მოთამაშესთან და მისგან დამოუკიდებლად) ირჩევს სვეტს $j \in N$. ამის შემდეგ პირველი მოთამაშე იღებს (a_{ij}) , ხოლო მეორე მოთამაშე იღებს $(-a_{ij})$ მოგებას. ადვილი მისახვედრია, რომ ის მოთამაშე, რომელიც უარყოფით მოგებას მიიღებს, მოცემულ თამაშში ითვლება წაგებულად.

Γ თამაშს, რომელსაც შეესაბამება მოგებათა მატრიცა A , აღნიშნავენ Γ_A სიმბოლოთი და უწოდებენ $m \times n$ თამაშს A მატრიცის განზომილებების შესაბამისად.

ახლა მცირედენ გადავუხვიოთ მათემატიკურ სიმკაცრეს და მოკლედ ვთქვათ, თუ რა სფეროებში შეიძლება თამაშთა თეორია ეფექტურად იქნას გამოყენებული. როგორც ვიცით, თამაშთა თეორიას ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში იყენებდნენ ჭადრაკის თამაშის დროს. ის ადამიანებს სხვადასხვა სიტუაციების და შემთხვევების კლასიფიცირებაში ეხმარებოდა, ასევე იმის განსაზღვრაში, თუ კონკრეტულ სვლათა კომბინაციას რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა. თანამედროვე მათემატიკური მოდელების გადახედვით, ჩვენ კვლავ შევამჩნევთ თამაშთა თეორიის გამოყენებას თამაშებში (პირდაპირი გაგებით) წარმატების მისაღწევად. ამის მაგალითია პოკერის თამაშის მოდელები. გარდა ამისა, თამაშთა თეორია ასევე

ოდითგანვე გამოიყენებოდა სამხედრო საკითხების გადასაჭრელად. აღსანიშნავია, რომ სწორედ პირველ მსოფლიო ომს უკავშირდება ოპერაციითა კვლევისა და თამაშთა თეორიის (ორი საკმაოდ ახლოს მდგომი მეცნიერების) თანამედროვე სახით ჩამოყალიბება. თამაშთა თეორიამ ასევე აქტიურად შეაღწია ეკონომიკურ მეცნიერებაშიც. ჩვენ განვიხილავთ თამაშთა თეორიის გამოყენებას საომარი მოვლენების მოდელირებისას და ეკონომიკური მოვლენების მოდელირებისას. მარტივი და საინტერესო მაგალითებით ვცდებით ვახვეწოთ, თუ რამდენად გამოყენებადი მეცნიერებაა თამაშთა თეორია.

თამაში 1. (ქალაქის თავდაცვა)

ეს თამაში ლიტერატურაში ცნობილია „პოლკოვნიკ ბლოტოს თამაშის“ სახელით. პოლკოვნიკ ბლოტოს განკარგულებაში ასეულია, ხოლო მისი მეტოქის განკარგულებაში n ასეულია. სულ ბრ-

ძოლის ველი მოიცავს ორ დასახლებულ პუნქტს. პოლკოვნიკ ბლოტოს მიზანია დაიკავოს ეს ორი სოფელი, ხოლო მის მეტოქეს საწინააღმდეგო იდეა აქვს და გამალებულად იბრძვის ბლოტოს ჯარისკაცების წინააღმდეგ. თამაშის პირობა ასეთია: ბლოტო დაიკავებს პოზიციას, თუ მისი ჯარისკაცები იქ რიცხობრივ უპირატესობაში აღმოჩნდებიან, ანუ მეორენაირად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბლოტო გაიმარჯვებს, თუ პოზიციაზე მას მეტი ასეული ეყოლება ვიდრე მეტოქეს. მეორე ინტერპრეტაცია ხელს უწყობს ამ თამაშის მათემატიკურად ამოსხნას. მოწინააღმდეგეების მიზანია ისე გაანაწილონ ასეულები პოზიციებზე, რომ მიიღონ რიცხობრივი უპირატესობა.

ახლა განვსაზღვროთ პოლკოვნიკ ბლოტოს (მოთამაშის) მოგება თითოეულ პოზიციაზე. თუ რომელიმე პოზიციაზე ბლოტოს უფრო მეტი ასეული ეყოლება, ვიდრე მის მეტოქეს (მოთამაშე 2-ს), მაშინ ბლოტოს მოგება ამ პოზიციაზე ტოლია მეტოქის ასეულების რიცხვს დამატებული ერთი (პოზიციის დაკავება ტოლფასია დამატებითი ასეულის ხელში ჩაგდების). თუ მოთამაშე 2-ს პოზიციაზე მეტი ასეული ეყოლება, ვიდრე მოთამაშე 1-ს, მაშინ პირველი მოთამაშე დაკარგავს ყველა თავის ასეულს და კიდევ ერთს (რადგან პოზიციის დაკავება ერთი ასეულის ტოლფასია). თუ ორივე მხარეს თანაბარი რაოდენობა ასეულებისა ექნება პოზიციაზე, მაშინ გვაქვს ყაიმი და ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებს. მოთამაშის საერთო მოგება ტოლია თითოეულ პოზიციაზე მოგებების ჯამის.

აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ანტაგონისტურ თამაშთან. აღვწეროთ მოთამაშეთა სტრატეგიები. განსაზღვრულობისათვის დავუშვათ, რომ $m > n$. პირველ მოთამაშეს აქვს შემდეგი სტრატეგიები: $x_0 = (m, 0)$ - ყველა ასეული გააგზავნოს პირველ პოზიციაზე, $x_1 = (m-1, 1)$ - $m-1$ ასეული პირველ პოზიციაზე გააგზავნოს და 1 მეორე პოზიციაზე, $x_2 = (m-2, 2), \dots, x_{m-1} = (1, m-1), x_m = (0, m)$ -პირველ პოზიციაზე 0 ასეული გააგზავნოს, და მეორე პოზიციაზე ყველა. მეტოქეს, ანუ მეორე მოთამაშეს აქვს შემდეგი სტრატეგიები: $y_0 = (n, 0), y_1 = (n-1, 1), \dots, y_n = (0, n)$.

ვთქვათ, პირველმა მოთამაშემ აირჩია სტრატეგია x_0 , ხოლო მეორემ სტრატეგია y_0 . გამოვთვალოთ პირველი მოთამაშის მოგება a_{00} ამ სიტუაციაში. რადგანაც $m > n$, პირველ პოზიციაზე იმარჯვებს მოთამაშე 1. მისი მოგება ტოლია $n+1$ -ს. ამრიგად $a_{00} = n+1$.

ახლა გამოვთვალოთ a_{01} , ანუ როცა პირველმა მოთამაშემ აირჩია სტრატეგია x_0 , ხოლო მეორემ y_1 . რადგან $m > n-1$, ამიტომ პირველ პოზიციაზე

მოთამაშე 1-ს მოგება ტოლია $n-1+1=n$. მეორე პოზიციაზე კი იმარჯვებს მოთამაშე 2. აქედან გამომდინარე, პირველი მოთამაშის წაგება ტოლია -1ს. მთლიანი მოგება $a_{01}=n-1$, ანალოგიური მსჯელობით მივიღებთ, რომ $a_{0j}=n-j+1-l=n-j, 1 \leq j \leq n$. შემდეგ, თუ $m-1 > n$, მაშინ $a_{10}=n+1+l=n+2, a_{11}=n-1+l=n, a_{1j}=n-j+1-l=n-j-1, 2 \leq j \leq n$.

ზოგად შემთხვევაში, ნებისმიერი m და n -სთვის მატრიცის ელემენტები $a_{ij}, i=\overline{0,m}, j=\overline{0,n}$, გამოითვლება შემდეგნაირად:

$$a_{ij} = K(x_i, y_j) = \begin{cases} n+2: m-i > n-j, i > j \\ n-j+1: m-i > n-j, i = j \\ n-j-i: m-i > n-j, i < j \\ -m+i+j: m-i < n-j, i > j \\ j+1: m-i = n-j, i > j \\ -m-2: m-i < n-j, i < j \\ -i-1: m-i < n-j, i = j \\ -m+i-1: m-i < n-j, i = j \\ 0: m-i = n-j, i = j \end{cases}$$

ასე რომ, სიტუაციისთვის, როცა $m=4, n=3$ მოგებათა მატრიცა ასეთია:

	y_0	y_1	y_2	y_3
x_0	4	2	1	0
x_1	1	3	0	-1
x_2	-2	2	2	-2
x_3	-1	0	3	1
x_4	0	1	2	4

თამაში 2. ბერტრანის პარადოქსი.

თამაშთა თეორია აქტიურად გამოიყენება მიკროეკონომიკური მოდელირებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოყენება ოლიგოპოლიური ბაზრების ანალიზისას. არსებობს რამდენიმე მოდელი, რომელიც აღწერს ოლიგოპოლიურ ბაზრებს: კურნოს მოდელი, შტაკელბერგის მოდელი, ბერტრანის მოდელი, ფარბერის მოდელი და ა.შ. ჩვენ თამაშთა თეორიის გამოყენებების საილუსტრაციოთ განვიხილავთ ბერტრანის მოდელს, უფრო სწორედ კი ყურადღებას გავამახვილებთ ბერტრანის პარადოქსზე.

განვიხილოთ სიტუაცია, როცა ორი ფირმა აწარმოებს ერთგვაროვან(ჰომოგენურ) პროდუქციას. წარმოვიდგინოთ, რომ ფირმები ერთდროულად და დამოუკიდებლად აცხადებენ ფასს, რომლითაც ისინი მზად არიან გაყიდონ თავიანთი

პროდუქცია. მაშინ მოთხოვნა, რომელსაც ადგილი ექნება თითოეული ფირმის პროდუქციაზე განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$D_i(p_i, p_j) = \begin{cases} D(p_i): p_i < p_j \\ \frac{D(p_i)}{2}: p_i = p_j \\ 0: p_i > p_j \end{cases}$$

ეს ფორმულა მიგვანიშნებს შემდეგ ფაქტზე: ფირმა, რომელიც დააწესებს უფრო დაბალ ფასს მიიღებს მთლიან მოთხოვნას, ანუ დაიპყრობს ბაზარს; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ფასები ტოლია, მომხმარებლები ფირმების პროდუქციას თანაბარი ალბათობით ყიდულობენ.

დავუშვათ, რომ ფასები (p_1^*, p_2^*) წარმოადგენენ ნეშის წონასწორობას. აქ უნდა აღინიშნოს რამდენიმე ფაქტი. პირველ რიგში, $p_1^* > c$, სადაც c - ზღვრული დანახარჯის მნიშვნელობაა. ეს ხდება იმიტომ, რომ ზღვრულ დანახარჯზე ნაკლები ფასის დაწესებისას ადგილი ექნება უარყოფით მოგებას, რაც შეუძლებელია, რადგან ზღვრული დანახარჯების ტოლი ფასი ნულოვან მოგებას უზრუნველყოფს. მეორეს მხრივ, ვერც ერთი ფასი p_i^* ვერ იქნება c -ზე მაღალია. მართლაც, ვთქვათ $p_1^* > c$, მაშინ თუ $p_2^* \geq p_1^*$ მეორე ფირმა საუკეთესო შემთხვევაში მიიღებს ბაზრის 50%-იან წილს. მაგრამ მას შეუძლია მთელი ბაზრის მითვისება, თუ ის დააწესებს ფასს $p_2^o \geq p_1^*$ -ს, სადაც $\epsilon > 0$ ძალიან მცირე დადებითი რიცხვია. ამით მეორე ფირმა თავის პოზიციებს გაიუმჯობესებს. თუ $p_1^* > p_2^* > c$, მაშინ სრულიად ანალოგიურად ფირმა 1ს შეუძლია დააწესოს ფასი $p_2^* - \epsilon$ და „წაართვას“ ფირმა 2ს მთელი წილი. ამრიგად ბერტრანის წონასწორობაში, ან მეორეხარის ნეშის წონასწორობაში ბერტრანის დუოპოლიის მოდელში $p_1^* = p_2^* = c$, და ფირმები იღებენ ნულოვან მოგებას. სწორედ ამაში მდგომარეობს ბერტრანის პარადოქსი.

ამ სიტუაციიდან გამოსავალი შემდეგნაირია:

- შემოვიღოთ საწარმოთა სიმძლავრის ცნება, ანუ დავუშვათ, რომ გარკვეული ფასების შემთხვევაში ფირმას არ შეუძლია მთელი საბაზრო მოთხოვნის დაკმაყოფილება

- უნდა მოიხსნას დაშვება თამაშის ერთ ეტაპად ჩატარების შესახებ, ანუ იგულისხმება ის, რომ ასეთი პარადოქსი მრავალეტაპიან თამაშებში არ წარმოიქმნება.



ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Games of Strategy: Theory and Applications by Melvin Dresher, 2007.
2. R. Gibbons. «Game theory for applied economists»
3. Т. Шеллинг. «Стратегия конфликта»

Duopoly, military actions and game theory: how we can use finite antagonistic games in modeling?

Alexander Maisuradze

Ana Merkviladze

Tbilisi State University Faculty of economics and business, 3-rd year students

Game theory is the study of strategic decision making, Specifically, it is “the study of mathematical models of conflict and cooperation between intelligent rational decision-makers.”

The following article contains information about finite antagonistic games and shows, how we can use them in modeling of different situation. We tried to show using some formal mathematics the typical usage of game theory in economical and strategical examples.



რუბრიკა მიჰყავს ომარ შუღრას

საოფისე ეტიკეტი

ნანა ლომიძე

მრავალპროფილიანი საერო სკოლის „ღმას“ მოსწავლე

რათა გავხდეთ ჩვენი საქმის პროფესიონალები, ჩვენ ელემენტარული ეტიკეტის წესები უნდა ვიცოდეთ, ხოლო მენეჯერისა თუ ბიზნესმენისთვის ეს აუცილებელია, რადგან თუ მან არ იცის საოფისე ქცევები, საქმიანი თუ სატელეფონო საუბარი და დროის ეფექტური გამოყენება, მაშინ იგი წარმატებას ვერ მიაღწევს.

პირველ რიგში ჩვენ ოთახი უნდა მოვაწყოთ ისე, რომდაცული იყოს გარკვეული წესები და კომფორტულიც იყოს. მაგალითად თანამედროვე წარმოდგენებით სამუშაო მაგიდა ისე უნდა იდგეს, რომ მენეჯერი კარებს ვერ ხედავდეს, ხოლო ხელქვეითის კარი პირიქით, კარში შემოსული ადამიანისკენ უნდა იყოს მიმართული. . . მენეჯერის ნაკლად ითვლება მოუწესრიგებელი მაგიდა თუ ოთახი . ანუ ზედმეტი ქაღალდები კარადაში უნდა იყოს მოთავსებული, მითუმეტეს როცა ინფორმაცია კომერციული ან კონფიდენციალურია . ასევე სამუშაო მაგიდაზე არ უნდა იდოს კომპიუტერი, იგი მის გვერდით უნდა იმყოფებოდეს, რადგან საქმიანი ეტიკეტი მოითხოვს, რომ სივრცე ჩვენსა და მოსაუბრეს შორის არაფრით იყოს დაკავებული.

ასევე მნიშვნელოვანია ტელეფონის სწორი გამოყენება, გარკვეული ტექნიკური, პროფესიული თუ ეთიკური წესების დაცვით. უნდა გვახსოვდეს, რომ სამი – ოთხი ზუმერის შემდეგ უნდა დავიდეთ, რადგან ცუდ შთაბეჭდილებას დაგტოვებთ. რა თქმა უნდა ყურმილის ადების შემთხვევაში უნდა გავეცნოთ და შემდეგ გადავიდეთ სააქმეზე. (მაგ: თქვენ გირეკავთ . . . თუ შეიძლება. . . ან გამარჯობა მე ვარ . . . თათბირი ხო მარ გაქვთ ?

ან გაქვთ ორიოდე წუთი ?) ამის შემდეგ საჭიროა პირდაპირ საქმეზე გადასვლა . ხოლო ხანდახან ხდება რომ შეუფერებელ დროს გვირეკავენ , ამ შემთხვევაში კი თავაზიანად უნდა ვუპასუხოთ “მაპატიეთ კოლეგა ახლა თათბირია ,დარეკეთ 20 წუთში . . . “ ან “ ახლა დაკავებული ვარ , თუ შეიძლება მერე თვითონ დაგირეკავთ . . .”

ჩვენ რა თქმა უნდა , საქმიანი ეტიკეტის წესებიც უნდა ვიცოდეთ , რადგან საქმიანი ეტიკეტი მენეჯერის პროფესიული ქცევის მნიშვნელოვანი მხარეა. ხოლო საქმიანი ეტიკეტი ინდივიდისადმი ღრმა პატივისცემას გულისხმობს. მაგალითად საზოგადოებაში ყოფნისას ინდივიდი ქვეცნობიერად ითვისებს სხვისი ქცევის ნიმუშებს და ექვემდებარება მას. გასათვალისწინებელია ის, რომ საყოფაცხოვრებო ჩვევები რადიკალურად განსხვავდება ჭეშმარიტი კულტურის წესებისგან, რის გამოც ხშირია გაუგებრობა. ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ უნდა ვცვალოთ, რომ კარგ განწყობაზე ვიყოთ, მოგვარებული გვექონდეს ურთიერთობები როგორც ოჯახის წევრებთან ისე თანამშრომლებთან. ღიმილიანი საღამი კი ძლიერი სტიმულატორია თანამშრომლისთვისაც და ბიზნეს პარტნიორისთვის . საგულისხმოა რომ კარზე კაკუნით ცუდ შთაბეჭდილებას ვტოვებთ, თუ ხელმძღვანელი არ მოითხოვს საწინააღმდეგოს. ასევე ნაკლად ჩაითვლება თუ ვილაპარაკებთ სუსტი ხმით ნახევრადღია კარეში, დაგვაგიწყდება სახელისა და გვარის დასახელება შესვლისთანავე. გვახსოვდეს, რომ საუბრისა თუ ხელის ჩამორთმევის დროს მოსაუბრეს (პარტნიორს) თვალებში ვუყურებდეთ და კონცენტრა-

ახალი ეპონომისტი THE NEW ECONOMIST

ცია გვქონდეს მხოლოდ მასზე, რა თქმა უნდა, სიტყვას არ ვაწყვეტინებთ, ხოლო ჩვენს აზრს ვამბობთ მხოლოდ თანამოსაუბრის სიტყვის შემდეგ. მაგრამ როცა ვიმყოფებით კოლექტივში მივმართავთ კონკრეტულ პიროვნებას და ამ დროს სხვა საუბარში არ ერევა, რადგან ესეც შეცდომაა.

არის ერთი რამ, რაც ყველა ჩვენთაგანს ერთი და იმავე რაოდენებით აქვს და სიცოცხლის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობაა - ეს არის დრო. მართლაც, თუ ჩვენ ვერ დავზოგავთ დროს, მაშინ დროულად ვერც შეხვედრავთ წავალთ, ვერც თათბირზე და საქმესაც ვერ შევასრულებთ ნორმალურად, ანუ ვიქნებით არაორგანიზებულნი, რაც ცუდი პროფესიონალიზმის მაჩვენებელია.

ხელმძღვანელმა წამოჭრილი პრობლემა ანალიზის პროცესში სტანდარტულ სიტუაციამდე

უნდა დაიყვანოს, თუმცა ეს ყოველთვის როდია შესაძლებელი და ხშირად რჩება არასტანდარტულინაწილი, რისი მოგვარებაც შედარებით რთულია. უნდა ვიცოდეთ, რომ საქმიანი ადამიანის აქტიურობას მაშინ აქვს აზრი, თუ მიზანი ზუსტადაა გარკვეული, ანუ ჩვენ უნდა შევადგინოთ გეგმა. საერთოდ დროის ერთი პროცენტი ანუ პრაქტიკულად 5-10 წუთი დაგეგმვას უნდა მოხმარდეს, რადგან წინასწარ დაგეგმილ დღეს თუ საქმეს ქვეცნობიერება გადაამუშავებს და დღეც ისე რთული აღარ მოგვეჩვენება.

ჩვენის აზრით, დროის დაზოგვა ბევრპრობლემას მოგვაგვარებინებს. თუმცა ეტიკეტის წესების გარეშე ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მივადწვეთ წარმატებას, რა პროფესიაც არ უნდა გვქონდეს . . .

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ПРОФЕССИЯ ОФИС- МЕНЕДЖЕР (секретарь-референт).

ХАТО КВАРАЦХЕЛИЯ

Студентка

Глданского центра профессиональной подготовки

Менеджер – это сотрудник, профессиональный управляющий, специалист по управлению, обеспечивающий текущую работу организации или ее подразделения с документами, посетителями, различной информацией. Также сотрудников офиса называют “офисный планктон”.

От того, насколько эффективно организовано делопроизводство, во многом зависит результативность работы любой организации. Ведь документы должны быть в порядке, приказы руководства - надлежащим образом оформлены и доведены до исполнителей, поступающая информация - осмыслена и принята к сведению, а посетители - своевременно приняты.

Организовать — значит создать некую структуру организации, которая даст возможность людям эффективно работать вместе для достижения целей организации. Таким образом, одним из важных элементов функции организации является создание структуры. Поскольку в организации работу выполняют люди, другим важным элементом функции организации является определение того, кто именно должен выполнять каждое конкретное задание и какие ресурсы ему для этого нужны, т.е. делегировать полномочия. Последним элементом функции организации является создание таких отношений в работе, которые позволили бы наилучшим образом использовать потенциал работников для выполнения целей организации.

Неорганизованность в этой сфере может свести на нет усилия всех других сотрудников. Поэтому, сказав, что офис-менеджер (секретарь-референт) - одна из ключевых фигур в любой конторе, не будет считаться преувеличением. Именно он отвечает за делопроизводство, ведение документации, за ввод текущей информации в базу данных, обеспечение сохранности документов и сдача их в установленные сроки в архив, обеспечение жизнедеятельности

офиса...

В его обязанности также входит первичный прием посетителей: он беседует с ними, в некоторых случаях сразу решает их вопросы (например, выдает необходимую документацию), если же необходим контакт с начальством- определяет, к кому именно следует обратиться, записывает на прием.

Он подготавливает и обслуживает различные совещания, заседания, конференции. Работает с корреспонденцией: систематизирует поступившие обычные и электронные письма по их степени важности, после чего- либо сам готовит ответы на них, либо передает вышестоящему руководителю. Принимает факсы, ведет переговоры по телефону, составляет проекты приказов, постановлений, ведет и оформляет протоколы, личные дела сотрудников и т. п.

При необходимости подбирает информацию по тем или иным вопросам, готовит рефераты, составляет презентации, аналитические справки. Конспектирует, стенографирует заседания, ведет картотеку организаций и лиц, с которыми ведутся переписка или переговоры.

Современный секретарь-референт - настоящий хозяин офиса.

Хороший офис-менеджер должен обладать такими личными качествами как общительность, доброжелательность, умение ладить с людьми. Важны организованность, четкость, пунктуальность. Полезны на этой работе хорошая оперативная память, способность к концентрации и распределению внимания. Требуются высокий уровень культуры, грамотная устная и письменная речь.

В принципе, жестких требований к образованию профессия не предъявляет, освоить ее можно и на специальных курсах. Однако работодатели чаще всего отдают предпочтение тем, кто имеет высшее образование (важнее даже не специальность, а сам

ფაქტ его наличия).

Важно уметь пользоваться компьютером и другой оргтехникой: факсом, мультимедиа-проектором и т. д., быстро находить и систематизировать информацию. Чаще всего работодатели требуют, чтобы эти специалисты хорошо владели хотя бы одним иностранным языком (в нашей стране предпочтение отдается английскому и русскому языкам). Желательны базовые знания в области экономики, юриспруденции, психологии. Могут быть востребованы и специальные знания, касающиеся тех областей, в которых ведет деятельность организация.

Офис-менеджер (секретарь-референт), выполняя возложенные на него функции, обязан:

- сохранять конфиденциальность информации;
- своевременно выполнять распоряжения

руководства;

- соблюдать правила и сроки подготовки документов;
- обеспечивать сохранность документов;
- соблюдать правила и нормы делового общения, служебную субординацию, придерживаться корректного и доброжелательного стиля общения с коллегами и клиентами.

Такие работники востребованы во всех более или менее крупных организациях и учреждениях, ведущих прием посетителей и имеющих документооборот. На них стабильно высокий спрос на рынке труда.

Хороший офис-менеджер (секретарь-референт) лицо организации, успех организации!

რამდენად მართებულია მიწის ბასხვისება ანუ კერძო

საკუთრებაში გადაცემა?

გამონხმაურება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის
საკვირაო ქადაგებასა და განცხადებაზე მიწის გასხვისების შესახებ

ჭიჭიკო ადემიშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ტელ: 595481706

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვისა და მაღალფარდოვანი სიტყვაკაზმული გამოთქმების გარეშე, აღშფოთებას (გაოცებას, გაკვირვებას) ვერ ვფარავ მაშინ, როცა საქმე ეხება მიწის (საერთოდ, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების) გასხვისებას და, მითუმეტეს, მისი კერძო საკუთრებაში უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე გადაცემას.

მიწა ერთადერთი და სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საფუძველია. მის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე. მიწა არის საყოველთაო წარმოების საშუალება.

ტერმინი მიწა ეკონომიკაში გამოიყენება, როგორც ბუნებრივი რესურსი, რომლის სარგებლობა შესაძლებელია წარმოებაში, ამიტომ აღიარებულია წარმოების ფაქტორად. მიწა არის რესურსი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის და ქვეყნის მშენებლობისთვის გამოიყენება.

როგორც ამ პატარა მიმოხილვიდან ჩანს, მიწას განუზომელი შეუფასებელი როლი აკისრია სიცოცხლის არსებობაში და არ შეიძლება შემოიფარგლოს ვიწრო კერძო საკუთრების უფლებით.

საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში კერძო საკუთრების ჩამოყალიბება დაკავშირებულია საწარმოო ძალთა განვითარების იმ საფეხურთან, როცა ადამიანს, ინდივიდს საშუალება მიეცა ეწარმოებინა ზედმეტი პროდუქტი. ეს არის ეტაპი, როცა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში მოხდა ნახტომი, საწარმოო ძალები შევიდა ახალ თვისებრივ ფაზაში და განსაზღვრა უფრო მაღალი საფეხური (ეტაპი) ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში.

კერძო საკუთრების აღმოცენებამ ხელი შეუწყო

საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას და დასაბამი მისცა ახალი ეკონომიკური სისტემის წარმოშობას. კერძო საკუთრების წარმოქმნა იმთავითვე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი (ფასეულობა), რომელსაც აქვს ღირებულება და შესაბამისად, ფასიც. მაშინ ის შეიძლება ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც გახდეს. არ ვიზიარებთ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ მცდარ (ცრუ) შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს მიწის უცხოელებზე გასხვისება დასაშვებია. ისტორიულად ბუნების პროდუქტებით სარგებლობამ და მითვისებამ თანდათანობით საკუთრების სახე მიიღო და დამოუკიდებელ ფორმად ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწა კერძო საკუთრების ფართო ობიექტი არის.

ადამიანი ბუნებას იყენებს არა როგორც ცხოველი, არამედ მასთან ურთიერთობაში ექცევა გარკვეული საზოგადოებრივი ფორმით, რომელიც განპირობებულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოცემული სისტემით.

სამყარო არის ღმერთის მიერ შექმნილი და წარმოადგენს სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საშუალებას. ის არ არის ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური (ეკონომიკური) რესურსი, ამიტომ მიწას არ აქვს ღირებულება და შესაბამისად ფასიც. მისი შეფასება შეუძლებელია და არც ყიდვა-გაყიდვა არის შესაძლებელი.

ადამიანთა საზოგადოებას, თუ სწამთ ღმერთი და აღიარებენ უფალს, მაშინ მის მიერ შექმნილი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სამყაროც უნდა ირწმუნონ და მიიღონ საჩუქრად ისევ ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანების არსებობის (სიცოცხლის) შესანარჩუნებლად.

მიწა არის სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საფუძველი, მიწის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს. ამიტომ არ შეიძლება მიწა კერძო საკუთრება იყოს.

კერძო საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი, რომელსაც აქვს ღირებულება, (ღირებულება არის საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომა) სახმარი ღირებულება და ფასი. ასეთი ობიექტები (ნივთები) მიეკუთვნება კერძო საკუთრებასაც და მისი ყიდვა-გაყიდვაც შეიძლება, ხოლო რაც შეეხება მიწას ის არც კერძო საკუთრებაა და არც ყიდვა-გაყიდვის ობიექტია.

მიწა სოფლის მეურნეობაში საყოველთაო (მთავარი, ძირითადი) წარმოების ფაქტორია და საერთოდ, ყოველგვარი წარმოების საფუძველთა საფუძველია, რადგან რაოდენობრივად იგი შეზღუდულია. მიწა წარმოების ბუნებრივი ფაქტორია.

მიწაზე ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი (ფასეულობა, რესურსი თუ სხვ.) არის კერძო საკუთრებაც და ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც.

ამჟამად ფართოდ აღიარებულია შეხედულება, რომ კერძო საკუთრების საგანს (ნივთი, ობიექტი) წარმოადგენს მიწა, რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე.

მიწა ერის საკუთრებაა. მიწა სახელმწიფოს

შეუძლია გადასცეს თავის მოსახლეობას (მოქალაქეებს) მხოლოდ უვადო სარგებლობაში იმ ოდენობით (ნორმით), რაც მათი საჭიროებისათვის არის საკმარისი და სათანადო მოვლა-პატრონობას გაუწევს (შეძლებს) მას. თუ მიწათმფლობელი ეფექტიანად ვერ გამოიყენებს მიწას, მაშინ მას უნდა ჩამოერთვას ის და გადაეცეს იმ პირს, ვინც შეძლებს მის ეფექტიან გამოყენებას.

ამრიგად, რაც შეეხება მიწის გაყიდვა-გასხვისების პრობლემას, ის შეეხება მხოლოდ მიწაზე ადამიანის შრომით შექმნილ მატერიალურ რესურსებს.

ქართველ ერს ღმერთმა უბოძა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მიწა-წყალი და მისი გაყიდვის უფლება არავის არა აქვს, მით უმეტეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ღმერთი გწამთ?

მიწა არის ერის ხელშეუხებელი სასიცოცხლო საკუთრება და ულევო სიმდიდრე. მიწის გაყიდვა და გასხვისება უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეებზე და მიღებული ფულით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და „შეჭმა“ ყოვლად გაუმართლებელია და უსასტიკესი დანაშაულია ერისა და ღმერთის წინაშე. ბიბლიაში აღნიშნულია: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა და თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან“ (ბიბლია, ძველი აღქმა, ლევიანნი. თავი 25, მუხლი 23. თბ., 1989)

ამიერიდან მაინც უნდა მოეღოს ბოლო სამშობლოს მოღალატეობით საქმიანობას, მანამ სანამ ჯერ კიდევ მცირე დოზით შეგვრჩენია სინდის-ნამუსის გრძნობა, ერისადმი (სამშობლოსადმი) პატივისცემა (სიყვარული) და უფლისადმი რწმენა.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

„შრომის გააზრების მართლმადიდებლური და ეკონომიკური საკითხები“



აღარ დაობენ, რომ ეკონომიკური პროგრესის ფუნდამენტი იყო და არის შრომა. შრომის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, არსის გაგების მატერიალისტურ განმარტებებს მიყვავართ მისი „მიწიერი“ შინაარსის განსაზღვრამდე, თუმცა შრომა, როგორც ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობა, წარმოადგენს ფაქტიურად ადამიანთა უპირატესობას, ცხოველებსა და მანქანებზე იმ განსხვავებით, რომ ის ემსახურება მათივე კეთილდღეობის ზრდას (ცხოველებში იგი ინსტიქტურია, ხოლო - მანქანებში „დაპროგრამებული“...).

გამოდის, რომ მორწმუნისათვის თუ ათეისტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის შესახებ მსჯელობას.

ქვეყანაში მომქმედი საკანონმდებლო აქტები, გარკვეულწილად, არეგულირებენ ადამიანებს შორის ურთიერთობებს (მათ შორის, შრომითს), თუმცა ქრისტიანისათვის აუცილებელია ამ ურთიერთობათა მოგვარების და შეფასების ეკლესიის სწავლების ცოდნა, რამეთუ ცივილიზაციის ყველა ინსტიტუტში ასე თუ ისე დევს ქრისტიანული ეთიკის პრინციპები, რომლებშიც საუკუნეების მანძილზე ფორმირდება საზოგადოების კულტურის, ქცევის კოდი და არქეოტიპი. ამ პრინციპის შესაბამისად, რა აზრი აქვს შრომას, თუ იგი ღმერთს არ განადიდებს. იგი ითვლება კურთხეულად მხოლოდ მაშინ, როცა არ დაირღვევა ადამიანის თანამყოფადობა ღმერთთან, ეთანხმება ღვთის ჩანაფიქრის გამოყენებას საყოველთაო მშვიდობისათვის და, რაც მთავარია, ადამიანისათვის - ამ მშვიდობაში.

შრომა და მისი შედეგი მიუღებელია ღვთისთვის თუ ის მიმართულია პიროვნების ან ჯგუფის ეგოისტური ინტერესების მსახურებისათვის, სულისა და ხორცის ცოდვილი მოთხოვნილობების დასაკ-

მაყოფილებლად, ან ერთი ადამიანის ან ჯგუფის მიერ სხვა ადამიანის ან ჯგუფის ექსპლუატაციის მიზნისკენ და ა.შ.

შრომა, როგორც მეურნეობრივი საქმიანობა, წარმოჩინდა - როგორც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ჭიდილში ადამიანის თვითღამკვიდრების მძლავრი იარაღი. იგი, როგორც შემოქმედების სახე, ადამიანის მიწაზე სუფევის, მასში ღვთიური სახის უდიდესი გამომუღავნებაა. შესაბამისად, მართმადიდებელი მუდმივად ცდილობს, რომ ქრისტიანი იყოს არა მხოლოდ დოგმატიზმში და წმ. წერილის ცოდნაში, არამედ მისი ცხოვრობისა და მოღვაწეობის წესშიც, ეწევა რა სასარგებლო საქმიანობას, განსაზღვრულ ყოფაშია და, საერთო ჯამში, ისტორიულად ჩამოყალიბებული მართმადიდებლური კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. გამოდის, რომ ადამიანის შრომით საქმიანობას თან ახლავს არა მხოლოდ მიწიერი თვალთ დანახული სიკეთე, არამედ რაღაც სხვა არამატერიალური, ზებუნებრივი, რამეთუ შრომის ნაყოფს, შედეგს მისთვის უნდა მოჰქონდეს ცხოვნების გზაზე მყარად დადგომის უხილავი საშუალება.

შესაბამისად, შრომის არსის გაგებას უნდა შეემატოს არამიწიერი დატვირთვაც. კერძოდ, შრომა არის ადამიანის სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების ღვთისთვის სათნო, შეგნებული და მიზანმიმართული საშუალება, ღირებულებებისა და დოვლათის შექმნის (საბოლოო ჯამში, სიმდიდრის შექმნის თუ დაგროვების) მიზნით. ვინაიდან შრომა დადგენილია ღვთისგან და თითოეული პიროვნება ზრუნავს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდაზე, ამიტომ იგი საზოგადოებაში ადამიანებს შორის

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ურთიერთმსახურებაცაა, ანუ მოყვასისადმი საზოგადო მსახურების ერთგვარი სახეა და ღვთის მცნების აღსრულება!

ამ საკითხებთან დაკავშირებით არის მსჯელობა ნ. ჩიხლაძის წარმოდგენილ 136 გვერდიან ნაშრომში, წიგნში, რომელიც შედგება სამი თავის, შესავლის და დასკვნითი ნაწილისგან. სათაურიდან გამომდინარე, ველოდები კიდევ ამ ცნების შესახებ ბიბლიური გადმოცემების ანალიზს და შთამბეჭდავია, რომ მან მოახერხა ასეთი მოცულობით წარმოდგენა, რაც დიდი შრომის შედეგია. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ საზოგადოების ფართო წრეებისთვის აქამდე უცნობი ხატებიც კი წარმოადგინა ავტორმა.

შესავალ ნაწილში აღწერილია „შრომა“, როგორც ეკონომიკური კატეგორია და, ასევე, ადამიანთა შორის საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობა და საფუძველი. ნ. ჩიხლაძე აქვე გვაცნობს შრომითი საქმიანობის როლზე საზოგადოებაში და მის მნიშვნელობაზე ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირში. ავტორი აქედანვეამზადებს მკითხველს ფაქტიურადმომაჯავალი კვლევის მოსალოდნელი შედეგების გასაცნობად, რაც წიგნის ძირითადი შინაარსის გაცნობის სურვილს კიდევ უფრო ზრდის.

პირველი თავის - „შრომის მართლმადიდებლური და ეკონომიკური ასპექტები“ - დასაწყისშივე ჩანს ავტორის, როგორც მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ეკონომისტის მსჯელობა ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლების ანალიზზე, როგორცაა ერთობლივი ეროვნული და მთლიანი შიდა პროდუქტი, დასაქმება და შრომის ანაზღაურება და ა.შ. ავტორს მოხერხებულად მოაქვს საერთაშორისო შედარებები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მსჯელობას. რაც მთავარია, გამოკვეთილია ის ფაქტი. რომ ადამიანი, როგორც „რესურსების მფლობელი“ და „განმკარგავი“ დადგენილია ღვთისგან. მოკლედ, რომ ვთქვათ, ასეთ წოდებას წმ. მამები უწოდებენ „ღვთის ქონების მოურავს“ (კეთილი იქნება თუ ბოროტი, ეს პიროვნებაზეა დამოკიდებული). ახალი პროდუქტის შექმნის, ხელფასის და, ზოგადად, შრომის ანაზღაურების ანალიზის დროს მნიშვნელოვანი დასკვნებია მოტანილი საქართველოს მაგალითზე. ამ კონტექსტში საგულისხმოა ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანური კაპიტალისწილზე მსჯელობა. ამ პროცესში იკვეთება ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრის - მოსახლეობის შესწავლის აუცილებლობა, რომლისსაფუძველია საყოველთაოდრიცხვა/აღწერა, რისი ისტორიული წინამძღვრები კარგათაა

ნაჩვენები წმ. წერილის წიგნების (გამოსვლათა, რიცხვთა, მეფეთა და სხვ.) მაგალითზე. პარალელურად განხილულია შრომითი საქმიანობის სახესხვაობა ცალკეული პროფესიების, შრომის ანაზღაურების, შრომის სტიმულირების და სოციალური სისტემების საკითხებთან ერთად.

კარგია, რომ ვეცნობით პროფესიათა ისტორიული გენეალოგიის სრულ ჩამონათვალს ადამიდან - ახალი აღთქმის გმირამდე, მებაჟე ზაქემდე. ქრისტიანული სწავლებით, ადამიანი პროფესიული სიყვარულით და შრომით უცვლის ბუნებრივ საგნებს სახეს, თავისივე მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რადგან ნათქვამია - „არა ადამიანი ცხოვდება სამყაროს მიერ, არამედ სამყარო - ადამიანის მიერ“, რამეთუ შრომა ქრისტიანისათვის, უპირველესად, ღვთის დიდებაა, რადგან მან თვით უფლისგან მიიღო სამყაროზე ბატონების, მისი გარდაქმნისა და გამოყენების კურთხევა იმავე შრომის წყალობით.

ახალი აღთქმის იგაგების და ძველადთქმისეული სიბრძნის თანამედროვე ეკონომიკური ახსნა ურთულესი პროცესია, რასაც ავტორმა კარგად გაართვა თავი. მისი მსჯელობა ხშირად გამყარებულია წმიდანთა გამონათქვამებით და აზრებით. აქვეა განხილული „დაქირავებული მენეჯერის“ როლი შრომით საქმიანობაში, უმუშევრობის ხასიათი, „ეკონომიკურ ციკლებსა“ და ძველიაღთქმისეულ დროით ციკლების შორის კავშირი და სხვა მრავალი.

წიგნის მეორე თავი - „პირველქრისტიანთა სწავლება შრომის შესახებ“ - მდიდარია ანტიკური ხანის გამოჩენილ მეცნიერთა მოსაზრებებით შრომის შესახებ. მოტანილია ძველი საბერძენეთის (ქსენოფანტე, პლატონი და არისტოტელე) და რომის (მარკ ტერენციუს ვარონი, ლუციუს კოლუმელა, ტიბერიუს და გაიუს გრაკუსები) მეცნიერებების აზრები. უფრო საყურადღებოა ავტორის კვლევა პირველი ქრისტიანული თემების წარმოშობისა და განვითარების, მათი შრომითი ურთიერთობების თავისებურებებისა და მიღწევების შესახებ.

განსაკუთრებულად განხილულია მოციქულთა სწავლება „დიდაქე“, რომლის მიხედვით ნ. ჩიხლაძე აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნებს შრომითი ურთიერთობების სფეროში და, საერთოდ, საზოგადოების ფართო წრეებისთვის გასაგებად ხსნის იმ დიდ სიბრძნეს, რაც ამ სწავლებაშია („საქმე მოციქულთა“ და წმ. მოციქულთა ეპისტოლეებზე დაყრდნობით).

მესამე თავი - „მართლმადიდებელ წმინდანთა და საეკლესიო მოღვაწეთა შრომისადმი დამოკ

იდებულების შესახებ“ - ერთგვარი დაგვირგვინებაა იმ ძირითადი აზრისა, რასაც ჰქვია ადამიანი, მისი შრომითი შემოქმედება და კავშირი ღმერთან. თანამედროვე სამეურნეო საქმიანობა რთული გახდა. მასზე გავლენას ახდენენ არ მარტო მიკრო, არამედ მაკრო ფაქტორები და, ხშირ შემთხვევაში, მსოფლიო კრიზისები და გლობალური პრობლემები. ასეთ ურთულეს სიტუაციებში მეურნეობის მართვა, გაძღვლა ძნელდება, მაგრამ ვიტოვებთ იმედს, რომ „... შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელად სდმართისამიერ“ (ლკ. 18, 27).

სწორედ ასეთ დამოკიდებულებაზეა აგებული ამ თავში მოცემული მსჯელობა, რომელიც გამყარებულია წმიდანთა ცხოვრებით, მათი ქადაგებებით და, რაც მთავარია, დამკვიდრებულია ძირითადი აზრი: შრომა ღოცვის გარეშე კარგავს მადლს! ავტორი სწორად მიუთითებს, რომ ადამიანს სიცოცხლეს ჩუქნის უფალი, მაგრამ მისი შენარჩუნება და გახანგრძლივება ხდება შრომითი ფორმით, სამეურნეო საქმიანობაში ღირსეული მონაწილეობით.

შრომას, როგორც „უდიდეს სიქველეს“, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო მოძღვართა - ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და გრიგოლ ღვთისმეტყველი (დიოლოლოსი) - ცხოვრებაში. ნ. ჩიხლაძის მიერ მოძიებული და დამუშავებული მასალები გადმოცემენ იმ ძირითად აზრს, რასაც ეს დიდი წმიდანები თავიანთი მოღვაწეობით და ქადაგებებით გვასწავლიდნენ. ეს თავი, ასევე, გამორჩეულია სხვა დიდი წმიდანების სწავლებებით, როგორცაა ნიკოლოზ სერბი, ეგნატე ბრიანჩანინოვი, სერაფიმ საროველი, იოანე კრონშტადელი, თამედროების გამოჩენი ქრისტიანი პაისი ათონელი.

ავტორს ბევრი შრომა ჩაუდევს ქართველი წმიდანების და სასულიერო მოღვაწეების ნაშრომების გაცნობა-ანალიზში. რათქმა უნდა, ის იწყებს ილია მართლით, სადაც ქართველთა „უგვირგვინო მეფე“ „შრომით ომს“ და წარმატებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი ძირითადი მოწოდება იყო ეკონომიკური ექსპანსიისთვის ქართველს წინააღმდეგობა გაეწია შრომით, გარჯით, საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვით და ა.შ. დაუშვრელი მონდომობის, შრომის და ღვაწლის ჭეშმარიტ მაგალითად წარმოდგენილია წმ. ეპისკოპოსი გრიგოლ ხანცდელი, რომელიც, მის მიერვე შექმნილი საძმოს დახმარებით, ახერხებს მიაღწიოს წარმოუდგენელ შედეგებს, რაც უპირველესად, ღოცვის და ღვთის წყალობით შეძლო. ნ. ჩიხლაძეს, როგორც პატრიოტს და ქრისტიანს, არც შეეძლო გვერდი აეარა ჩვენი

დიდი კეთილმორწმუნე მეფეების მოღვაწეობაზე, რომლებმაც შეძლეს საქართველო შეასაუკუნეების ეკონომიკურად წამყვანი ქვეყნების რიგში გამორჩეული ყოფილიყო.

ალექსი შუშანია, ანტონ ჭყონდიდელი, გრიგოლ ფერაძე და გაბრიელ ქიქოძე (ამ უკანასკნელის სწავლებებს ავტორი უთმობს დიდ ადგილს) იმ წმიდანთა მცირე ჩამონათვალია, ვინც ქართული სულიერების ამაღლება და უცხო რომელი შრომით შეძლო, ხოლო მათ ღირსეულ მემკვიდრედ, ფაქტიურად, ჩვენი პატრიარქი ილია II-ა დასახელებული.

„ჩვენს შორის ყველაზე დიდი ქართველი და უფალთან ახლოს მდგომი“ - განსაკუთრებული სიყვარულის გამო მისმა სამწყსომ ასეთი განმარტება მისცა უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ღვაწლს ქართველი ერის წინაშე. მის ქადაგებებში ყოველთვის არის მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი ქართველი კაცის გონიერებასა და გარჯილობაზე, მშობლიური მიწისა და შრომის სიყვარულზე, ოჯახის სიმტკიცის აუცილებლობაზე, გამრავლებაზე და სულიერ ღვაწლზე. მისი გულისტკივილი ქართული მიწების გასხვისებაზე, მეურნეობრივ სუსტ კავშირებზე, შრომისადმი უარყოფით განწყობაზე, წარმოების, მათ შორის, ტრადიციული დარგების სუსტ განვითარებაზე - თვალშისაცემია. ჩანს, რომ ნ. ჩიხლაძე დეტალურად გაცნობია პატრიარქის ქადაგებებს და ეპისტოლეებს. ავტორი ცდილობს გააშუქოს ის ძირითადი პრობლემები, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებს „ჩვენი უწმინდესი“, კერძოდ, დასაქმებაზე, შრომითი ურთიერთობების ახალ კულტურაზე, რეგიონებში მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების გააქტიურებაზე, ცოდნის როლზე და სიყვარულზე, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაზე და მათ რაციონალურ გამოყენებაზე, ერთმანეთისათვის ზრუნვაზე და სხვ.

ნაშრომს აქვს ლოგიკური დასასრული - დასკვნითი ნაწილი, სადაც ავტორი აჯამებს მის კვლევას და გვთავაზობს ამ პრობლემისადმი დამოკიდებულების მისეულ, მაგრამ აქამდე დიდი ხნით ნაცნობ და დავიწყებულ „ქრისტიანული სწავლების“ გზას. როგორც ქრისტიანი და თეოლოგი ნიკო ჩიხლაძე იმედით ივსება, რომ გათვალისწინებული იქნება მისი და თეოლოგიური ეკონომიკის სხვა წარმომადგენლების მიერ მითითებული გზა, რომელიც აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს. მთავარია იყოს ნება როგორც ინდივიდის ისე ხელისუფლების - დაამკვიდროს ქრისტიანული სწავლებით მოცემული ურთიერთობები საზოგადოებაში! დღეს კი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



შამის შანსი არსებობს, რასაც ადასტურებს ნ. ჩი-ძლადის მიერ წარმოდგენილი ეს არაჩვეულებრივი კვლევა.

ამასთან, მკითხველი ადვილად მისხვდება, რომ საქართველო, როგორც მართლმადიდებლური ქვეყანა უნდა ესწრაფოდეს, რომ შეისწავლოს სხვა აღმსარებლობის საზოგადოებისთვის და/ან ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სოციალური აზროვნების გამოცდილებაც (განსაკუთრებით შრომითი ურთიერთობის სფეროში), სადაც შესაძლებელია გამოიყოს ის დადებითი და პოზიტიური, რაც იქნა დაგროვილი იმ პერიოდში, როცა პოსტსაბჭოური ქვეყნების მართლმადიდებლურ

ეკლესიებს ძალადობრივად ჰქონდათ წართმეული ფართო საზოგადოებრივი მსახურება. მიგნდოთ ღვთის სწავლებას, როცა ის თვითონ ხილულად გემოდგურავდა ან საუბრობს წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და სხვა გამორჩეულ მოღვაწეთა ბაგებით და შედეგად არ დააყოვნებს: „ესევედ უფალსა და ყავ სიტკობება, დაემკვიდრე ქუეყანასა და დაემწყსო სიმდიდრესა ზედა მისსა. იშუებდ უფლისა მიმართ და მან მოგცეს შენ თხოვა გულისა შენისა“ (ფს. 36, 34). ამინ!

აკაკი ბაკურაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს “ლოი“-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HG000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: economist_n@yahoo.com

ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziuime in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in **English, Russian, German and France** languages. So, it is also our request to prepare reziuime in Georgian and Egnlish languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8GEL(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GEL(lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. “loi's” account: identification code – 204439296, the account number- GE61HG000000000713602, “Halyk Bank Georgia”, central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: economist_n@yahoo.com

Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.



შპს “**Smarty**” გთავაზობთ სრულ
სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი
დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

**ციფრული
ბეჭდვა**

**ფართოფორმატიანი
ბეჭდვა**

**ოფსეტური
ბეჭდვა**



- სავიზიტო
- ფლარი
- ბუკლეტი
- ტრიპლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითჩაბადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი:
- ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასარეკლო ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აბლაქის ქ.83

☎ 551 30 33 20

✉ smartyLTD@gmail.com

🌐 smarty.ltd

Smarty
www.smarty.ge